# საერთო გაზეთი

№37 (349) • 25 ნოემბერი, 2015 წელი • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## დავით გაგნიძე:



ბიძინა ივანიშვილი მართლაც ნიჭიერი და ჭკვიანი ადამიანი ყოფილა — მშვიდად, დავიდარაბის გარეშე ყველას გამოავლენინა, ყველას გააშიფრინა საკუთარი თავი — პოლიტიკოსებსაც, მედიასაც, არასამთავრობოებსაც

## ანტიქართული ანტიჟურნალისტიკა და ქრონიკული ალიაქოთი „კვესოს“ ლაბორატორიიდან





ქალბატონო ინგა, ბატონი ბიძინასგან კი არა, თქვენ სერიოზული საფრთხე თქვენი ახლადშეძენილი „მოყვრებისგან“ და „კეთილისმყოფელებისგან“ გემუქრებათ, რომლებიც, არ არის გამორიცხული, თქვენს ლიკვიდაციას გეგმავდნენ, რომ მერე ყველაფერი ეს ბიძინა ივანიშვილს დაბრალდეს

## ტერორიზმი ქართულად

„ნაცმოძრაობა“ — ტერორისტული ორგანიზაციაა, ხოლო მიხეილ სააკაშვილი — ქართველი ბენ ლადენი?



## სოსო ცინცაძე:

მე თუ მკითხავთ, აი, ახლა რაც ევროპაში ხდება, ეს არის ევროპის დასასრულის დასაწყისი



## „მამა“

## ლადო ბედუკაძე:



რა ხდება ამ ქვეყანაში - პრემიერ-მინისტრის ლანძღვა შეიძლება, ბიძინა ივანიშვილის კრიტიკაც შეიძლება, მაგრამ ნუგზარ ფოფხაძის სახელის ხსენება აკრძალულია?!



## „ქინძისთ“

# ანტიქართული ანტიჟურნალისტიკა და ქრონიკული ალიაქოთი „კვესოს“ ლაბორატორიიდან




## ქალბატონო ინგა, ბატონი ბიძინასგან კი არა, თქვენ სერიოზული საფრთხე თქვენი ახლადშეძენილი „მოყვრებისგან“ და „კეთილისმყოფელებისგან“ გემუქრებათ, რომლებიც, არ არის გამორიცხული, თქვენს ლიკვიდაციას გეგმავდნენ, რომ მერე ყველაფერი ეს ბიძინა ივანიშვილს დაბრალდეს

გსმენიათ სადმე, რომელიღაც ტელეკომპანია მხოლოდ იმისთვის არსებობდეს, რომ ერთ კაცს ებრძოლოს და ამ ერთი კაცის დამარცხება იყოს მისი მთავარი დანიშნულება და მთავარი ამოცანა?

ერთი კაცი მაინც კაცია, ხოლო ტელეკომპანია, თავისი ჟურნალისტთა კორპუსით, გავრცელების დიაპაზონით, ადამიანებზე ზემოქმედების საშუალებით, სერიოზული ძალაა და, წესით და რიგით, ერთი კაცის დამარცხება ამ მონსტრს არ უნდა გაუჭირდეს, თუმცა ქართულ სინამდვილეში გასაოცარი ამბავი ხდება და ამ უთანასწორო ბრძოლაში ის ერთი კაცი პირწმინდად იმარჯვებს.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მუშაობას თუ გავაანალიზებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ეს ტელეკომპანია მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ერთ კაცს, ერთ ბიძინა ივანიშვილს, როგორმე სძლიოს, როგორმე დაამარცხოს, მაგრამ არაფერი გამოსდის.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტელეკომპანიის საეთერო ბადე, თავისი საინფორმაციო გამოშვებებით, თავისი თოქ-შოუებით, გასართობ-შემეცნებითი გადაცემებით და კიდევ სხვა ათასი ჯანდაბით და დოზანით, მხოლოდ ფონია, მხოლოდ ანტურაჟია, ტელეკომპანიის მთავარი ამოცანა, მისი უპირველესი მიზანი კი ის არის, ანგარიში გაუსწოროს ბიძინა ივანიშვილს.

აი, ამისთვის წვალობს და ჯახირობს „რუსთავი-2“ დილიდან დილამდე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე, მაგრამ ამაოდ.

„რუსთავი-2“ რომ დაიხუროს, სიტყვის თავისუფლებას და დემოკრატიას უდიდესი ზიანი მიადგება. ამით, ფაქტობრივად, დემოკრატია დამთავრდება საქართველოში, — ირწმუნებიან „რუსთავი-2“-ის მესვეურები და მათი მხარდამჭერები, თუმცა უკაცრავად გამოთქმისთვის და, ამათ, სიტყვის თავისუფლებაც და მით უმეტეს, დემოკრატიაც, სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ — ერთადერთი რამ ადარდებთ და ერთადერთი რამ აწუხებთ — „რუსთავი-2“-ზე კონტროლის დაკარგვით, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი იარაღი არ გამოეცალოთ ხელიდან, რითაც დაჰკარგავენ ყველაფერს.

„რუსთავი-2“-იო კი ვამბობთ, მაგრამ, სინამდვილეში, ეს „ნაცმოძრაობაა“, ამ გაერთიანების ბოლო და მთავარი ფორპოსტია.

„ნაცმოძრაობას“ „რუსთავი-2“-ში უდგას ამოსასვლელად გამზადებული სული, ჯერ კიდევ მასში ხროტინებს სიკვდილისთვის გადადებული, მასში იგესლება და იდორბლება, მისი ეკრანიდან ცდილობს საქართველოს და ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ მიაყენოს საბედისწერო დარტყმა.

ხომ გახსოვთ ეს სტრიქონები: „ვამბობთ ლენინი და ვგულისხმობთ დიად პარტიას, ვამბობთ პარტიას და ვგულისხმობთ დიდ ლენინს“.

ზუსტად ასეა ამ შემთხვევაშიც — ვამბობთ „რუსთავი-2“-ს და ვგულისხმობთ „ნაცმოძრაობას“, ვამბობთ „ნაცმოძრობას“ და ვგულისხმობთ „რუსთავი-2“.

ჰოდა, ასეა თუ ისე, ეს „რუსთავი-2“, „ნაცმოძრაობის“ უბადრუკი სულის ჭირჭელი, „ნაცმოძრაობის“ ბუკი და ნაღარა, როგორც ვთქვით, უკვე მერამდენე წელია, მხოლოდ იმისთვის არსებობს, მხოლოდ იმისთვის ყრის მილიონებს, მხოლოდ იმისთვის ხარჯავს ამდენ დროსა და ენერგიას, რომ როგორმე ბიძინა ივანიშვილი გაანადგუროს მორალურად, პოლიტიკურად.

ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად „რუსთავი-2“ ყველაფერს კადრულობს, ყველაფერზე მიდის.

საიდან არ შემოუარეს ამ ხნის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილს, ყველაფერი გადაჩიჩქნეს და გადმოჩიჩქნეს, ყველა ხვრელში და ღრიჭოში შეძვრნენ და ხელმოსაჭიდი ვერაფერი რომ ვერ ნახეს, საიდანღაც ქალბატონი ინგა პავლოვა გამოჩხრიკეს და ეკა კვესიტაძის პირით გვაუწყეს „შოკისმომგვრელი“ ამბავი — ბიძინა ივანიშვილს ოდესღაც მეორე ცოლი ჰყავდა და ამ „სახელმწიფო საიდუმლოებას“ გვიმალავდაო.

ქალბატონი ეკა კვესიტაძე სირენასავით გამკივანი ხმით გაჰკიოდა მთელი შვიდი დღე: კვირას „განსხვავებულ აქცენტებში“ ჩვენს მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგად ბიძინა ივანიშვილის ცხოვრების და მისი ბიზნეს-საქმიანობის აქამდე უცნობი დეტალები აღმოვაჩინეთ და, არიქა, ნახეთო.

ვნახეთ!

მსგავსი უნიჭობა, მსგავსი ყალთაბანდობა და ტუტუცობა მრავლისმნახველ ქართველ მაყურებელს დიდი ხანია არ უნახავს...

* * *

გადაცემიდან ვიგებთ, რომ ღრმად პატივცემულ ქალბატონ ინგას 21 წლის შემდეგ, ანუ 2011 წელს, უცებ გახსენებია, რომ ოდესღაც ქმარი ჰყავდა და ამ ქმარს ბიძინა ერქვა.




ხომ გასაოცარი და გასაკვირი ამბავია, 21 წლის განმავლობაში ცოლი ქმარს, თანაც როგორ ქმარს — მილიარდერს, არ მოისაკლისებს და ერთხელაც არ იკითხავს, სად წავიდა ეს ჩემი ქმარი, სად გაქრა? ხომ ცოცხალია და ხომ კარგად არიო?

2011 წელი, როდესაც ქალბატონ ინგას მახსოვრობა დაუბრუნდა, როგორც გახსოვთ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის წელია.

სწორედ ამ წელს უნახავს ქალბატონ ინგას რაღაც ფილმი ბიძინა ივანიშვილზე, საიდანაც გაუგია, რომ მის უგზო-უკვლოდ დაკარგულ თანამეცხედრეს მეორე ცოლი შეურთავს, ისე რომ, მასთან ხელი გაწერილი არ ჰქონდა, თუმცა, დოკუმენტების მიხედვით დასტურდება, რომ ივანიშვილი და პავლოვა 1994 წელს ოფიციალურად გაეყარნენ.

— ეს ჩემი ხელმოწერა არ არის, ხელმოწერა გაყალბებულია, ჩემს ნაცვლად, როგორც ჩანს, სხვა ქალი მოიყვანეს, რომ ჩემთვის კუთვნილი კომპენსაცია არ მოეცათ, — ამბობს ქალბატონი ინგა, თუმცა მის საუბარს თუ კარგად დააკვირდები, შეიძლება აღმოჩინო, რომ ქალბატონ ინგას მაინცდამაინც თვითონაც არ სჯერა ბოლომდე, რასაც ლაპარაკობს.

მართლაც როგორი დასაჯერებელია, გეკუთვნოდეს ფრიად სერიოზული კომპენსაცია მილიარდერი ქმრისგან და ეს ქმარი 21 წლის განმავლობაში არ მოიძიო და ისიც კი არ გაარკვიო, ხარ თუ არა მასთან ქორწინებაში?

არადა, ქალბატონ ინგას რომ მოენდომებინა, „დაკარგული ქმრის“ მოძებნა, მისი ადგილსამყოფელის და სხვა ცხოვრებისეული დეტალების დადგენა მარტივზე მარტივი საქმე იყო — ერთადერთი რამ იყო საჭირო — მიემართა განხცადებით სათანადო სახელმწიფო სამსახურებისთვის, აღეწერა შექმნილი სიტუაცია და გაუჩინარებული ქმარყოფილის მისამართს, ტელეფონის ნომრიანად, ერთ დღეში დაუდგენდნენ და თუ რაღაც კანონდარღვევასაც ჰქონდა ადგილი, სარჩელსაც დაუყოვნებლივ აღძრავდნენ.

ინგა პავლოვას, რომელიც სულაც არ ჩანს უწიგნური და უბირი ადამიანი, რომელსაც სამართლის და კანონების არაფერი გაეგება, არავისთვის არ მიუმართავს, არავინ შეუწუხებია თავისი პრობლემით (და ასე გრძელდებოდა ეს 21 წლის განმავლობაში), რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ ქალბატონ ინგას გასარკვევი და გასარჩევი არც არაფერი ჰქონდა და არც არაფერი აქვს — მისთვის 1994 წელს ყველაფერი გარკვეული იყო და ყველაფრისთვის წერტილი იყო დასმული.

მაშინ რა მოხდა 2011 წელს, ანუ მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა და ხმამაღლა განაცხადა: — საქართველოს „ნაცმოძრაობის“ ჭირი უნდა მოვაშოროთო?

რა მოხდა და სახიფათოდ გააქტიურებული ივანიშვილის გასაჩერებლად და მისი ენთუზიაზმის ჩასაცხრობად ნაციონალებმა მათ მიერ ათასგზის ნაცად ხერხს — შანტაჟს და პროვოკაციას მიმართეს.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ინგა პავლოვა, სწორედ „ნაცმოძრაობამ“ მოძებნა მთელ მსოფლიოში გაბლანდული თავისი ჯაშუშურ-აგენტურული ქსელის საშუალებით და სწორედ მან დაარწმუნა ეს ქალბატონი, რომ თუ ის „ნაცმოძრაობის“ ნაკარნახევ სქემას გაჰყვებოდა, შანსი უჩნდებოდა საკმაოდ სერიოზული თანხა გამოეძალა ივანიშვილისთვის.

— ქალბატონო ინგა, თქვით, რომ ხელმოწერა გაგიყალბეს, თქვით, რომ კომპენსაცია გეკუთვნით... ხმაურს ჩვენ ავტეხთ, ადვოკატს ჩვენ დაგიქირავებთ, მსოფლიოში ცნობილი ჟურნალისტი ივანიძე აგერაა, „რუსთავი-2“ და სხვა საინფორმაციო საშუალებები ჩვენს ხელთაა. საერთაშორისო ტრიბუნა და საერთაშორისო მხარდაჭერა გვაქვს... თქვენი რა მიდის, თქვენ რას კარგავთ? თქვით ორიოდე სიტყვა და შეიძლება მილიონებს გამოჰკრათ ხელი — ალბათ, ამ შინაარსის სიტყვებით არწმუნებდნენ ქალბატონ ინგას „ნაცმოძრაობის“ ემისრები, დათანხმებულიყო მათთან თანამშრომლობაზე და, ბოლოს და ბოლოს დაიყოლიეს კიდეც.

არც ის არის გამორიცხული, „ნაციონალებს“ ინგა პავლოვასთვის გარკვეული რაოდენობის ჰონორარიც გადაეცათ სახარჯოდ და პურის ფულად...

„ნაციონალებმა“, ცხადია, იციან, რომ საქმე სასამართლომდე არ მივა იმ მარტივი მიზეზის გმო, რომ ამ საქმეში კანონის დარღვევის არანაირი ფაქტი არ არსებობს.

მაშინ რატომ გაკეთდა ეს გადაცემა? მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის სახელი გაეტეხათ?

გადაცემის ავტორებმა და, პირველ ყოვლისა, მისმა შემკვეთებმა, რა თქმა უნდა, ისიც იციან, რომ არ არის ეს ისეთი რეზონანსული ფაქტი, ამის გამო ივანიშვილს სამუდამო შერცხვენა და საზოგადოების მხრიდან საყოველთაო ანათემა ერგოს.




„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

აბა, სად მარხია ძაღლის თავი და რა მიზნით გაკეთდა ეს გადაცემა, რომელიც, სხვადასხვა მიზეზთა გამო, საკმაოდ დიდი თანხა დაჯდებოდა?

გადაცემას ლაიტმოტივად გასდევს წამყვანისა და გადაცემის მონაწილეთა ფრაზები იმის შესახებ, რომ ინგა პავლოვა შეშინებულია, რომ მასზე ზეწოლა ხორციელდება, რომ მას საფრთხე ემუქრება.

იქმნება შთაბეჭდილება, გადაცემა იმ მიზნით გაკეთდა, რომ დახატონ საგანგაშო სურათი, თუ რა განსაცდელშია ჩავარდნილი ინგა პავლოვა, რომელიც ივანიშვილის მხილების გზას დაადგა და ამის გამო გაბრაზებულმა მილიარდერმა შეიძლება მასზე შური იძიოს.

გვინდა მივმართოთ ქალბატონ ინგა პავლოვას: ქალბატონო ინგა, ბატონი ბიძინასგან კი არა, თქვენ სერიოზული საფრთხე თქვენი ახლადშეძენილი „მოყვრებისგან“ და „კეთილისმყოფელებისგან“ გემუქრებათ, რომლებიც, არ არის გამორიცხული, თქვენს ლიკვიდაციას გეგმავდნენ, რომ მერე ყველაფერი ეს ბიძინა ივანიშვილს დაბრალდეს.

აი, ამ მზაკვრული სცენარის მონახაზები იკვეთება ეკა კვესიტაძის გადაცემიდან.

ქალბატონი ინგა თავის ახალ „მოყვრებს“, ალბათ, კარგად არ იცნობს და არ იცის, რა შემზარავი საქმეები აქვთ ჩადენილი მათ საქართველოში, თორემ შორს დაიჭერდა თავს ცხვრის ტყავში გახვეული ამ მგლებისგან.

რაც შეეხება თავად გადაცემის წამყვანს და ავტორს ეკა კვესიტაძეს, ეს ქალბატონი დიდი ხანია, ლამის ქალიშვილობის პერიოდიდან, „ნაცმოძრაობის“ და მისი ბელადის ინტერსებს ემსახურება.

ჟურანლისტი ეკა კვესიტაძეო – ხშირ-ხშირად კი იმეორებს ქალბატონი ეკა, მაგრამ ჟურნალისტი კი არა, კვესიტაძე „ნაცმოძრაობის“ მეხოტბე და მისი შეკვეთების შემსრულებელია, ისე, როგორც მისი თანამეცხედრე შოთა უტიაშვილი, ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელი, ყველა იმ უბედურების უშუალო მოწმე და დამგეგმავი თუ არა, დამფარავი მაინც, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი რეჟიმის დროს ქვეყანას თავს დაატყდა.

ქალბატონო ეკა, თუ მორალის, ზნეობის, საოჯახო დრამების თუ ტრაგედიების შესახებ გინდოდათ რეიტინგული გადაცემის გაკეთება, რაღა მაინდამაინც ბიძინა ივანიშვილს მიადექით, კაცს, როემლსაც მთელი ქვეყანა იცნობს, როგორც სანიმუშო მეოჯახეს, შესანიშნავ მამას და ერთგულ მეუღლეს?

ამგვარი გადაცემებისთვის შესაფერისი იმდენი პერსონაჟი გყავდათ და გყავთ, „ნაცმოძრაობაში“, 3-4 წელი მაინც გეყოფოდათ ეროტიკულ-პაროდიული შინაარსის სერიალების მოსამზადებლად.




თუ თქვენ არ მიგიწვდებათ ხელი ამ მასალებისთვის, თქვენი ქმრისთვის გეთხოვათ და ნაირნაირი პასაჟებით გადავსებულ მთელ ვიდეოთეკას მოგართმევდათ, სადაც იმის გაგება, ვინ ვისი ცოლია და ვინ ვისი ქმარი, ნამდვილად ძნელი ამოსაცნობია.

თქვენი საყვარელი „ნაცმოძრაობის“ თავკაცის მიხეილ სააკაშვილის შემხედვარე ვის უკითხავთ თქვენ მორალს, ქალბატონო ეკა?!

ასეთი ობიექტური, ასეთი მიუკერძოებელი და ასეთი გაბედულები თუ ხართ „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები და კერძოდ თქვენ, ქალბატონო ეკა, მიხეილ სააკაშვილის ფანტასმაგორიული სექსუალური თავგადასავლებისთვის მიგეძღვნათ ერთი-ორი გადაცემა და ხალხისთვის გეჩვენებინათ, როგორ ატენიდა „დემოკრატიის შუქურა“ ადგილობრივი მნიშვნელობის ბოზანკალებს და საერთაშორისო მასშტაბის სექსმუშაკებს სიმწრით და ტანჯვით შეკოწიწებული ბიუჯეტიდან მოტეხილ ფულებს.

* * *

„განსხვავებულ აქცენტებში“ გარდა პირადული საკითხებისა, ბიძინა ივანიშვილის ბიზნესწარსულის შესახებაც დაისვა კითხვები, თუმცა ეს კითხვები არახალია, ძველია, რომლებზეც არგუმენტირებული პასუხები კარგა ხნის წინათ გაიცა, რაც არ შეიძლება გადაცემის ავტორს არ სცოდნოდა, თუმცა ის მაინც ვითომ გაოცებული და გაკვირვებული ფართოდ შლიდა მკლავებს და ისე წარმოაჩენდა ამ გაცვეთილ კითხვებს, თითქოს ახლახან გაეგოს ეს ყველაფერი.

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საინფორამციო ომი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2006 წლიდან დაიწყო.

კარგად ორგანიზებული და უხვად დაფინანსებული შავი პიარკამპანია ფართოდ გაიშალა სხვადასხვა ბეჭდური გამოცემების ფურცლებზე.




დაიბეჭდა უამრავი ცილისმწამებლური ხასიათის წერილი და ინტერვიუ, რომლებშიც ბიძინა ივანიშვილს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ათასგვარ ბრალდებებს უყენებდნენ.

კაცს, რომელიც უკვე იმ პერიოდისთვის ქართულ სინამდვილეში არნახული მასშტაბების საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა, კაცს, რომელსაც ასეულობით მილიონი ჰქონდა გაღებული საქველმოქმედო საქმეების განსახორციელებლად თუ რიგითი მოქალაქეების პრობლემების მოსაგვარებლად, უტიფრად ლანძღავდნენ და ლაფსა და ტალახს ესროდნენ.

ეს იყო უმადურობის, უსინდისობის, ავზნიანობის და ავკაცობის შემაძრწუნებელი გამოვლინება, რასაც ბევრი ვერ გაუძლებდა და თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის ერთი ნაწილის უმადურობით შემკრთალი და გაოცებული, ხელს ჩაიქნევდა და აქაურობას გაეცლებოდა.

დიახ, ბევრი ვერ გაუძლებდა ამას, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა გაუძლო...



„ქართუ ჯგუფის“ თაოსნობით ამ პიარკამპანიის საპირწონედ გამოიცა 2008 წელს წიგნი „ანტიჟურნალისტიკა, ანუ ქრონიკული ალიაქოთი“, სადაც დეტალურად, არგუმენტების და დოკუმენტების მოშველიებით გაბათილებულია ყველა ის ბრალდება, რაც ბიძინა ივანიშვილის რუსთში ბიზნესსაქმიანობას ეხება.

„გამომძიებელი“ „კვესო“ სხვა საკითხებთან ერთად, ბანკ „როსიისკი კრედიტ“-საც შეეხო, თავისი ჭკუით, ბევრი ჩამჭრელი კითხვა დასვა, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, ბატონ ბიძინას ამ „ჩამჭრელ“ კითხვებზეც ამომწურავი პასუხი აქვს გაცემული 10 წლით ადრე, ჟურნალ „ვედომოსტში“ დაბეჭდილ ინტერვიუში, რომელიც 2005 წელს გამოქვეყნდა.

**გთავაზობთ მცირე ამონარიდს ინტერვიუდან:**

*„– 1998 წლის დეფოლტის შემდეგ ყველანაირი ძალისხმევა „როსიისკი კრედიტის“ პრობლემების მოგვარებას დასჭირდა. სხვათა შორის, მაშინ სახელმწიფო მოხელეებმა მოგვატყუეს. მსხვილი ბანკების მფლობელები დეფოლტის შესახებ მის გამოცხადებამდე გაგვაფრთხილეს. პირადად მე, დეფოლტის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, თუმცა ყველა მამშვიდებდა, ხოლო ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი სერგეი დუბინინი დაგვპირდა, რომ თუ საჭირო გახდება, ბანკისთვის კრედიტს მიიღებთო. გამოცხადდა დეფოლტი და მენაბრეები თავიანთი ფულის წასაღებად ბანკებს მიაწყდნენ. სხვებივით რომ მოვქცეულიყავით, – ფული არ გაგვეცა, ჩვენი ბანკისთვის კრიზისის შედეგები ასეთი დამანგრეველი არ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ორი კვირის განმავლობაში ყველა მსურველს პატიოსნად დავუბრუნეთ 180 მილიონი დოლარი. როცა ფული გაგვითავდა, დუბინინს თავისი დაპირება შევახსენე, მაგრამ კრედიტი არ მომცა.*

***– რა შედეგები მოუტანა დეფოლტმა ბანკს? რა მოიმოქმედეთ ბანკის კრიზისიდან გამოსაყვანად?***

*– მაშინ რთული არჩევანის წინაშე აღმოვჩნდი – ან გავკოტრებულიყავი ან დამოუკიდებლად გამეტარებინა რესტრუქტურიზაციის პროცესი. ძნელი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა რესტრუქტურიზაცია ვარჩიე. ჩემთვის, როგორც ბანკის აქციონერისთვის, მას ეკონომიკური თვალსაზრისით, აზრი არ ჰქონდა – კარგად მესმოდა, რომ რესტრუქტურიზებული ბანკის საბაზრო ღირებულება ძალიან დაბალი იქნებოდა. პასივსა და აქტივს შორის განსხვავება დაახლოებით, ერთი მილიარდი დოლარი იყო.*

*პარადოქსულია, მაგრამ საფასური ყველა ჩემი აქტივისა, რომლებიც ბანკთან დაკავშირებული არ ყოფილა, იმ დროს ერთი მილიარდიც კი არ იყო. მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, ყველა ჩემი სამრეწველო საწარმოს – ლებედინსკის, სტოილენსკის, მიხაილოვსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატების, „ტულაჩერმეტის“, ორლოვსკის ფოლადსაგლინავი ქარხნის, სასტუმროების აქციები ბანკის ვალების უზრუნველსაყოფად ჩამედო. ასეთი გირავნობის გარეშე, რომლის ნაწილის მოგვიანებით გამოსყიდვა მომიხდა, „როსიისკი კრედიტის“ კლიენტები უკიდურესად დაზარალდებოდნენ, რასაც ჩემი ცხოვრებისეული პრინციპების გათვალისწინებით ვერ დავუშვებდი. ბევრს არ ესმოდა ჩემი – ნაცნობ ბიზნესმენებს ლამის თვითმკვლელად მივაჩნდი („როსიისკი კრედიტი“ საკრედიტო ორგანიზაციების რესტრუქტურიზაციის სააგენტოს /□—˛/ მმართველობაში გადავიდა. მიიღო რა ბანკის 25 პროცენტი + 1 აქცია საკუთრებაში, კიდევ 50 პროცენტი – მართვაში, სააგენტომ მას 4,5 მლრდ რუბლის საკრედიტო ხაზი გაუხსნა. იმ მომენტში „როსიისკი კრედიტის“ საკრედიტო დავალიანება დაახლოებით, ერთ მილიარდს შეადგენდა. 2000 წლის აგვისტოში დამტკიცდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მეანაბრეებმა (მოთხოვნა – 1,8 მილიარდი რუბლი) ერთჯერადად 30 000 რუბლი და ბანკის ვექსილები მიიღეს, ხოლო კორპორაციულმა კლიენტებმა (მოთხოვნა – 21 მილიარდი რუბლი) – მოთხოვნის 10 პროცენტამდე ფულის სახით და ბანკის ვექსელები, რომლებიც ათ წელიწადში იყო დასაფარი. 2003 წლის ივნისში ბანკმა ფიზიკური პირების მიმართ არსებული ვალდებულებების 90 პროცენტი დაფარა. 2003 წლის ნოემბერში „როსიისკი კრედიტის“ კაპიტალი კვლავ დადებითი გახდა. რესტრუქტურიზაციის სააგენტოს წარმომადგენელთა თქმით, ეს ყველაფერი დამატებითი ემისიის მიმდინარეობისას ბანკის კაპიტალში ვალების კონვერტაციის შედეგად მოხერხდა. – ‘□□□-□□æ□Ł)*

***– რა აქტივები გაყიდეთ კრედიტორების გასასტუმრებლად?***

*– პაკეტები, რომლებითაც ლებედინსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის გაკონტროლება შეიძლებოდა, ორლოვის ფოლადსაგლინავი ქარხანა, „ტულაჩერმეტი“. ვყიდდი იმას, რაზეც ყველაზე დიდი მოთხოვნილება იყო. სხვათაამორის, მიხაილოვსკის კომბინატის აქციები მაშინ არავის სჭირდებოდა, იმ დროს მათში 50 მილიონ დოლარსაც კი არავინ გადაიხდიდა. სულ ბანკის აქციონერებმა კრედიტორებს დაახლოებით, 450 მილიონი დოლარი გადაუხადეს – ამ თანხაში შედის აქციების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი და „არკოს“ კრედიტები, რომლებიც ჩვენ მოგვიანებით საკუთარი ბიზნესის მეშვეობით დავფარეთ. სხვათა შორის, მაშინ რომ შემენარჩუნებინა და ახლა გამეყიდა, კიდევ 3 მილიარდს მივიღებდი.*

*შეიძლებოდა, ყველაფერი დამეკარგა. ქვეყანაში ეკონომიკის აღმასვლა კიდევ ნახევარი წლით რომ შეფერხებულიყო, იძულებული გავხდებოდი, ჩადებული ქონება გამეყიდა და არაფერი შემრჩებოდა. შარშან ბანკის რესტრუქტურიზაცია დასრულდა. დარწმუნებული ვარ, ამით არა მარტო „როსკრედიტისა“ და მისი აქციონერების პრესტიჟი, არამედ მთლიანად რუსეთის საბანკო სისტემისადმი ნდობა ამაღლდა. უცხოელი ბანკირები გაფაციცებული აკვირდებოდნენ რუსეთში სიტუაციას, ხოლო ჩვენი ბანკის რესტრუქტურიზაციამ ყველას დაანახა, რომ მსგავსი პრობლემის ცივილიზებულად მოგვარების მაგალითები რუსეთში შესაძლებელი იყო.*

***– დღეს ხომ არ ნანობთ, რომ ასეთი რესტრუქტურიზაცია გადაწყვიტეთ?***

*– ვამაყობ, რომ ასე მოვიქეცი. შევინარჩუნე ჩემ მიერ შექმნილი ბანკი. „როსკრედიტის“ რესტრუქტურიზაცია ერთადერთი შემთხვევაა მსოფლიო პრაქტიკაში, როცა მთავრობის მიზეზით წარმოქმნილი ვალები კერძო კომპანიამ გაისტუმრა. თუმცა, რასაკვირველია, ოდნავ გულსატკენია, რომ ძალიან ცოტამ დააფასა ის, რისი გაკეთებაც მაშინ მომიწია.“*

ბატონმა ბიძინამ, ამ თავისი საქციელით, არაორდინარული, ერთი შეხედვით, ბიზნესმენისთვის შეუფერებელი, არაპრაგმატული ნაბიჯით, თავის ღირსებასთან ერთად სახელმწიფოს ღირსებაც დაიცვა.

ამის დანახვა და ამის დაფასება მხოლოდ ღირსეულ ადამიანებს შეუძლიათ და არა კვესიტაძეებს, არა გვარამიებს, არა გაბუნიებს, რომლებმაც „რუსთავი-2“ შხამის და სიძულვილის მწარმოებელ ლაბორატორიად გადააქციეს.

ორიოდე დღის წინ რედაქციაში **ლადო ბედუკაძე** გვეწვია და კატეგორიულად მოგვთხოვა, ინტერვიუ ჩაგვეწერა მისგან.

**— კი, ბატონო, ჩავწეროთ ინტერვიუ, მაგრამ რა საკითხზე?**

— მინდა ვილაპარაკო **ნუგზარ ფოფხაძეზე**.

**— გასაგებია, მაგრამ ამ ადამიანის შესახებ თქვენ ადრე მესაუბრეთ და დავბეჭდეთ კიდევაც ინტერვიუ.**

— ადრე კი გესაუბრეთ, შემდეგ კიდევ რამდენიმე გაზეთს მივეცი ინტერვიუ, სადაც ვახსენებდი ნუგზარ ფოფხაძეს, მაგრამ ყველამ ამოაგდო ინტერვიუდან ის ადგილი, სადაც ამ კაცზე იყო საუბარი. რა ხდება ამ ქვეყანაში — ყველას სახელის ხსენება შეიძლება, ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა, ღარიბაშვილის ძაგება, მაგრამ ნუგზარ ფოფხაძის სახელის ხსენება არ შეიძლება?!

ამიტომ მოვედი თქვენთან და გთხოვთ ჩემი საუბრიდან ერთი სიტყვაც არ ჩაასწოროთ. რასაც ვამბობ, იმაში დარწმუნებული ვარ და ყველაფერზე თვითონ მე ვარ პასუხისმგებელი.

**— ლადო, სანამ თქვენს ძირითად სასაუბრო თემაზე ვილაპარაკებთ, მოდი, თქვენი და ჯღარკავას ფეისბუკ-მიმოწერის შესახებ გვესაუბრეთ. რამდენადაც ცნობილია, პროკურატურამ გამოაქვეყნა დასკვნა მიმოწერის ფალსიფიკაციის თაობაზე.**

— ასეც ველოდი და ეჭვიც არ მეპარებოდა, პროკურატურამ დადო დასკვნა, რომ **კვესიტაძის გადაცემაში გახმაურებული მიმოწერა ჩემსა და ნინო ჯღარკავას შორის არის ფალსიფიკაცია**.

ამ სიუჟეტის ავტორებისთვის მთავარი იყო, გამოძებნილიყო ადამიანი, რომელიც ჩემსა და ბიძინა ივანიშვილს შორის თითქოსდა შუამავლის რეალური კანდიდატი იქნებოდა.

ასეთ სიტუაციაში ყველაზე კარგი პერსონა **ნინო ჯღარკავა** გახლდათ, რომელიც აცხადებს, რომ არის პრემიერის ოჯახის ახლობელი. ახლობლობაც არ იქნებოდა საკმარისი. ჩემთან „შეთქმულების თანამონაწილე“ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი უნდა ყოფილიყო და იმ პერიოდისთვის „ობიექტივთანაც“ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

მოკლედ, შეუდგენიათ რაღაც დიალოგის ტექსტი, სადაც მე ისეთი ტერმინებით ვლაპარაკობ, როგორადაც საერთოდ არასდროს მილაპარაკია. რაც სისტემაში მიმუშავია, ქურდულ ტერმინოლოგიაშიც არ გამიგონია მსგავსი სიტყვები, ახლაც არ ვიცი, მაგალითად, „ყვავის მოხარშვა“ რა არის. მაგრამ გადაცემაში მთავარი სულ სხვა რამე იყო — ამ თემის მიბმა **ეროსი კიწმარიშვილის** გარდაცვალებასთან.

მეორე დღეს კიდევაც დაუსვა „ტაბულას“ ჟურნალისტმა კითხვა ყოფილ პრემიერს ამ თემასთან დაკავშირებით — ხომ არ იცოდა რაიმე კიწმარიშვილმა ისეთი, რითაც თქვენ გაშანტაჟებდათო. ფაქტობრივად, პირდაპირ აბრალებენ ივანიშვილს: მოიშორა იმის გამო, რომ, თითქოს, კიწმარიშვილი ფლობდა ციხის კადრებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, თითქოს მე ავიღე ფული და თუ „თამაშში“ არ ჩაერთვებოდა ივანიშვილი, იმ ვითომდა გარიგების კადრებს გამოფენდა კიწმარიშვილი.

ერთი შეხედვით მარტივი სქემაა, მაგრამ დიდი ლაბირინთები დევს შიგ.

მე ვვარაუდობ, რომ ყველაფერი ნუგზარ ფოფხაძის მიერ შეთხზული სცენარია.

**— რას ერჩით, რას გადაეკიდეთ ნუგზარ ფოფხაძეს, ყველაფერზე მისკენ რატომ იშვერთ ხელს?**

— ჯერ ერთი, მე არავის გადავკიდებივარ, თვითონ გადამეკიდა და არ ვიცი, რატომ. არაერთხელ ვახსენე მისი სახელი და გვარი ორ სხვადასხვა გამოცემასთან, მაგრამ, რატომღაც, ზუსტად ის ადგილები ამოჭრეს, სადაც მასზე იყო საუბარი.

საქმე რაშია, იცით? პროკურატურას ეს თემა თითქოს რაღაცნაირად მოიოლებული აქვს, არადა, საქმე სხვაგვარადაა. ყველაფერი თითქოს ჩემი დისკრედიტაციისკენ იყო მიმართული. ამაში გამოიყენეს ჯღარკავა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის „გაშავებას“ ისახავდა მიზნად — აი, როგორ მოვიდა ბიძინა ხელისუფლებაში, როგორ გამოიყენა ბედუკაძის დადგმული კადრები, რამდენი გადაიხადა ამ ტყუილში და ა.შ. ეს იყო ძირითადი მიზანი. მე და ჯღარკავა პაიკები ვიყავით ამ საქმეში.

ვინც ეს გააკეთა, ცდილობდა 2012 წლის მოვლენების მნიშვნელობა ამ მდარე ფალსიფიკაციის დონეზე დაეყვანა და გაეცამტვერებინა „ქართული ოცნების“ მაშინდელი ღვაწლი, სცენარი — როგორ მოატყუა ბიძინა ივანიშვილმა ხალხი 2012 წელს, პათოსი — ივანიშვილი ამის შემდეგ სულ გვატყუებს.

სხვათა შორის, კვესიტაძის გადაცემიდან ორი დღის შემდეგ სააკაშვილი გამოვიდა და თქვა: ხომ ვამბობდით, რომ ეს კადრები დადგმული იყო, ხომ დაადასტურა ყველაფერი „განსხვავებულმა აქცენტებმა“ და ჟურნალისტურმა გამოძიებამო?! ეს გადაცემა ნაცებისთვის მნიშვნელოვანი რომ არ ყოფილიყო, სააკაშვილი ყურადღებას გაამახვილებდა? ცხადია, არა.

ჩემი აზრით, გარკვეულ ძალებს, რომლებიც „რუსთავი-2“-ზე ასეთ გადაცემას გეგმავენ და უშვებენ ამ ტელეკომპანიის გარშემო ატეხილი აურზაურის პარალელურად, მინიმუმ, არეულობის პროვოცირება სურთ, მაქსიმუმ, სახელმწიფო გადატრიალება.

პროკურატურა ამბობს, რომ ჩანაწერის სიყალბეში გარკვევა დაინტერესებული პირისთვის ძნელი არ იქნებოდა.

ადრე არ მიმიქცევია ყურადღება და ორიოდე დღის წინ ვნახე, ე.წ. „დამლაიქებელი“ არის „ქრონიკა+“-ის თანამშრომელი, ამ გაზეთის რედაქტორი ქალბატონის **ელისო კილაძის** ნდობით აღჭურვილი პირი, მეგობარი და ახლობელი, რომელიც ფეისბუქზე დარეგისტრირებულია, როგორც **Toni Montana** და **დასელ შიჯი**. რაც ეჭვის საფუძველს მაძლევს, რომ ყველაფერი არის შეთითხნილი კილაძის ოფისში.

„რუსთავი-2“-ის დანამატია „ქრონიკა+“. რასაც იტყვის „რუსთავი-2“, იგივეს იმეორებს მერე კილაძე, ან, პირიქით, ელისოს სიტყვებს იმეორებს „რუსთავი-2“.

ჩემთვის როგორც ცალკე, ისე სხვების თანდასწრებით, ნუგზარ ფოფხაძეს არაერთხელ აქვს ნათქვამი — ელისო კილაძე მე ვარო!

სადაც ფულის სუნს იგრძნობენ, იქეთ მიიწევს ეს ხალხი.

ამ ადამიანს დღემდე აქვს ამბიცია, იყოს ქვეყანაში ქართული მედიის იდეური ხელმძღვანელი, რათა პოლიტიკური პროცესები თავის ჭკუაზე მართოს.

**— ასე დარწმუნებით რომ ამბობთ ამას, თუ ასეთი ყოვლისშემძლეა ბატონი ნუგზარი, არ გეშინიათ?**

— არ მეშინია! ვიღაცამ ხომ უნდა თქვას სიმართლე?!

ეს კაცი ადრინდელ, კომუნისტურ ეპოქაში მოღვაწე ხალხს აშანტაჟებს, თითქოს მას ჰქონდეს კომპრომატები, როგორ თანამშრომლობდნენ ადრე ისინი სუკთან.

რამდენადაც ვიცი, მას აქვს ბიზნესები საქართველოსა და რუსეთში.

ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ სწორედ პასტერის ქუჩაზე მდებარე **ნუგზარ ფოფხაძის** სახლში გაკეთდა ის სკანდალური აუდიოჩანაწერი, რომელშიც შს მინისტრის იმჟამინდელი პირველი მოადგილე **გელა ხვედელიძე** მონაწილეობდა. ეს ნუგზარ ფოფხაძე თავის ჭკუაზე, მარიონეტივით ატრიალებს ქართული მედიის დიდ ნაწილს და თვითონ ჩრდილში ზის.



# „მამა“

## ლადო ბედუკაძე: რა ხდება ამ ქვეყანაში — პრემიერ-მინისტრის ლანძღვა შეიძლება, ბიძინა ივანიშვილის კრიტიკაც შეიძლება, მაგრამ ნუგზარ ფოფხაძის სახელის ხსენება აკრძალულია?!



ელისო კილაძე



ნუგზარ ფოფხაძე

ჩანაწერი პრესაშიც გამოქვეყნდა.

საინტერესოა, ისეთ რა საიდუმლო ძალაუფლებას ფლობს პენსიონერი ფოფხაძე, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს სახლში იბარებს და საქმეს ურჩევს?

**ამ აუდიოჩანაწერში ფოფხაძე იქადნება, რომ შეუძლია დაუყოვნებლივ მოახსნევინოს ან დააჭერინოს, დიახ, დააჭერინოს რამდენიმე მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელე.**

თურმე ფოფხაძე ფლობს სხვადასხვა პერიოდში მოგროვილ კომპრომატებს პოლიტიკოსებზე, ბიზნესმენებზე, სამართალდამცავი სტრუქტურების ყოფილ და ამჟამინდელ წარმომადგენლებზე.

მინდა იცოდეს საზოგადოებამ, ნუგზარ ფოფხაძეს მჭიდრო კავშირები ჰქონდა და აქვს „ნაცმოძრაობასთან“, მის ლიდერებთან, სააკაშვილის პერიოდის „სოდ“-ის და „კუდ“-ის მაღალჩინოსნებთან.

ამის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, თუ რა მიზნებისთვის იყენებს ფოფხაძე მის კონტროლს დაქვემდებარებულ მედიასაშუალებებს და „აგენტ“ ჟურნალისტებს, რომელთა შორის ელისო კილაძეს განსაკუთრებული ფუნქცია აქვს დაკისრებული...

**— ლადო, როგორ და სად გაიცანით თქვენ ნუგზარ ფოფხაძე?**

— ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ჩემი იძულებითი დევნილობის დროს 2012 წლის არჩევნებამდე ბელგიაში ყოფნისას ბევრი ჟურნალისტი მიკავშირდებოდა, მათ შორის იყო ელისო კილაძეც, რომელსაც, ცხადია, მანამდე არ ვიცნობდი.

**კილაძემ მითხრა, ერთ მილიონერ, ყოფილ კომუნისტ მოხუცს, დიახ, ასე თქვა, სურს დაგეხმაროს, რადგან მას მიაჩნია, რომ შენ გმირული საქციელი ჩაიდინეო. ფეისბუკ-მიმოწერის ასლსაც წარმოგიდგენთ:**

***„Eliso Kiladze 2012 წლის 15 დეკემბერი, შაბათი, 19:48-ზე U UTC+04***

*— ლადო მე მყავს ძალიან ახლობელი მეგობარი უფროსი. ის ვინც თედოს ძმაკაცია. დღეს ვიყავი დამირეკა. მილიონერია. მითხრა იპოვოს ადვოკატი რომელიც თავშესაფარის საქმეებზე ივლის და ბოლომდე მიიყვანს. ფულს მე გადავუხდიო. სულ წერს აქაც ბედუკაძე გმირიაო. მითხარი კიდე რა დახმარება გჭირდებაა. დაგაკავშრებ ამ ადამიანს. მოკლედ ამ კაცმა მითხრა რომ მე დავეხმარებიო ფინანსურადო. ადვოკატის ფული და სხვა ხაარჯებიო*

*დამიჯერე თავად მითხრა. ძალიან კარგი კაცია. მე არ მითხოვია. შვილებს გეფიცები. ვაიმეე გადავირიე შენ ეტყობა კიდე ვერ ხვდები რა გააკეთე ამ ქვეყნისთვის. ვიცით ბატონო რომ არ თვლი ვალდებულად ჩვენ ვთვლით თავს ვალდებულად. ხვალ მივალ და ყველაფერს მოვაგვარებ.“*

აქედანაც ჩანს, რომ მე ვუთხარი: არავისგან არ მინდა ფული არაფრისთვის, ძალიან მეუხერხულება უცნობისგან თანხა ავიღო-მეთქი. ეს ჩვენი სურვილიაო. მითხრა ელისო კილაძემ და ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტის ანგარიშზე მაშინ, ბელგიაში ყოფნისას, 1000 ევრო ჩამირიცხეს. ამის მომსწრე არის კიდევ სხვა ემიგრანტი **დათო სილაგაძეც** (ეს ადამიანი მეუბნებოდა კიდეც, რომ კილაძე, მისი ინფორმაციით, შემოგზავნილი აგენტი იყო).

მაშინ ვიფიქრე, რომ ეს იყო რაღაც შემთხვევითი საჩუქარი ღმერთისგან გამოგზავნილი ადამიანის ხელით, რადგან მართლაც უკიდურეს მდგომარეობაში ვიყავი. თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო უანგარო საჩუქარი, ეს იყო ჩაფიქრებული გეგმის ნაწილი, ერთგვარი ბე ჩემთვის, რათა სამომავლოდ თავიანთი ბინძური განზრახვებისთვის გამოვეყენებინე კილაძეს და ფოფხაძეს..

**თბილისში რომ ჩამოვედი შევხვდი ქალბატონ კილაძეს. მან მითხრა: ის მოხუცი, რომ გეუბნებოდი, ჩემი მეორე მამა და პატრონი ნუგზარ ფოფხაძეა,** შენი გაცნობა უნდა და გაგაცნობო. შემდეგ დამირეკა ბატონმა ფოფხაძემაც, შევხვდი „რეპორტიორის“ ოფისში. მან მითხრა: თუ დამიჯერებ, „კაცად გაქცევო“ — ეს იყო დამოუკიდებელი თამაში ბიძინა ივანიშვილისა და ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ დაგვენახვებინა თითქოს „ჩვენი“ ძალა.



დავით დარჩიაშვილი

თავიდან მეუბნებოდნენ — ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირები და მეგობრები ვართო. ჩვენ ვართ „ქართული ოცნების“ ინტელექტუალური ბირთვიო. წერდნენ კიდევაც თავიანთ „ქრონიკა+“-ში ხელისუფლების მაღალჩინოსნების ქებას შერჩევით, მერე ნელ-ნელა დაიწყეს ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ძირის გამოთხრა, რამაც დღესდღეობით კულმინაციას მიაღწია.


ლევან რამიშვილი

დღეს ელისო კილაძე, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი გახლავთ, გამოდის „რუსთავი-2„-ის ეთერში და როგორც სჩვევია, ტყუილ-მართალს ერთმანეთში ისე ურევს, თავს და ბოლოს ვერ გაარჩევ და ეს, რომ იცოდეთ, ნუგზარ ფოფხაძის სტილია.

გაზეთი „ქრონიკა +“ ფოფხაძის დაარსებულია. ეს თვითონვე თქვა ჩემთან.

ელისო კილაძე საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს ის რაღაც განსაკუთრებული სტატუსით არის აღჭურვილი და თავისუფლად მიუწვდება ხელი ყველანაირ კულუარულ ინფორმაციაზე, მათ შორის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციებზეც.

იგი ღიად აცხადებდა, რომ მას თავისი ინფორმატორები ჰყავდა სახელისუფლებო სტრუქტურებში, საიდანაც ოპერატიულად იღებდა მასალებს. მე დახურული თათბირებიდანაც კი ვიღებ ინფორმაციებსო, გახსოვთ, რომ ამბობდა ელისო კილაძე?


ნინო ჯღარკავა

როგორც ვთქვი, კილაძე სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებულ, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე პერსონად წარმოაჩენს თავს, რომელიც არც ბიძინა ივანიშვილთან, არც ირაკლი ღარიბაშვილთან, არც მთავრობისა და პარლამენტის წევრებთან დაპირისპირებას არ ერიდება.

ეს ქალბატონი, დროდადრო იმეორებდა „ნაცმოძრაობის“ მიერ გაცხადებულ დეზინფორმაციას და ამბობდა: ივანიშვილი სულ მალე დატოვებს საქართველოს, რადგან რუსეთთან დადებული ვალდებულებები ვერ შეასრულაო.

ის ხან სამთავრობო გადატრიალების სქემას „შიფრავდა“ და ერთ პერიოდში ამტკიცებდა: უახლოეს ხანებში ოთხი მინისტრი ერთდროულად დატოვებს პოსტს, რაც ავტომატურად ღარიბაშვილის გადადგომას გამოიწვევს და მერე მარგველაშვილი პრემიერ-მინისტრად ირაკლი ალასანიას კანდიდატურას წარადგენსო და ა.შ. და ა.შ.

რას ვიღლი თავს


გია ნოდია

და გაწუხებთ თქვენც, ისედაც ყველას ახსოვს, რომ ასეთი განცხადებები უამრავი აქვს გაკეთებული ქალბატონ კილაძეს და მიუხედავად იმისა, რომ ამ განცხადებების უმრავლესობა მოსახლეობაში დესტაბილიზაციის, მოსალოდნელი ქაოსის, სახელმწიფოს ნგრევის მოლოდინს ნერგავდა, ელისო კილაძისთვის არავის არაფერი უკითხავს.

ელისო კილაძეს რომ ვამბობ, ვგულისხმობ ნუგზარ ფოფხაძესაც — ვამბობთ ლენინს, ვგულისხმობთ პარტიას მსგავსად, რადგან ისინი, როგორც ვთქვი, ერთად არიან და ერთად „ალაგებენ“ საქმეებს...

**ნუგზარ ფოფხაძე ხან გმირად მაცხადებდა, ხან პარლამენტარობას მთავაზობდა, „გადმობირებას“ მთხოვდა: იქნებ ერთობლივი პარტია შევქმნათო.**

**— ლადო, თქვენ ზემოთ თქვით, რომ თქვენთან მიმართებით გარკვეული გეგმა ჰქონდათ. რა გეგმა იყო ეს?**

— დიახ. მათი მიზანი იყო კავშირების აღმოჩენა ჩემსა და ივანიშვილს შორის. ამ ადამიანებს, არ ვიცი, რისი ინტერესით და რა დავალებით, **სურდათ მეთქვა და „მეღიარებინა“ მე, თითქოს, ციხის კადრები მე დავდგი ბიძინა ივანიშვილის დავალებით და დაფინანსებით**. რაც, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება სიმართლეს და მეც, ბუნებრივია, ვერ ვიტყოდი. ეს სქემა აინტერესებს „ნაცმოძრაობის“ საიტებს, გაზეთებს და ტელევიზიებს — „რუსთავი-2“-ს და სხვებს და დროგამოშვებით ცდილობენ კიდევაც ამ თემის ასეთი კუთხით წამოწევას.

გახსოვთ, სააკაშვილმა განაცხადა კიდევაც — ბედუკაძისთვის შეიქმნა მე-9 არხიო და ა.შ.

ყოველივე ამასთან ერთად, ფოფხაძე მეუბნებოდა ირაკლი ღარიბაშვილი ჩემს გარეშე გადაწყვეტილებებს არ ღებულობს, ჩვენ ვართ „ნაცმოძრაობასთან“ დაპირისპირებული ხალხიო. მიკვირდა, მაგრამ სიტყვა სხვა იყო და ქმედება — სხვა.

შემდეგ დაიწყეს მოქმედებები, დავპირისპირებოდი ღარიბაშვილს, „ქართულ ოცნებას“, როგორც ამბობდნენ ამ ოდიოზურ ფიგურებს. მე ეს არ გავაკეთე, მათ ჩემი გამოყენება ვერ მოახერხეს და არ მაპატიეს განზე გადგომა მაშინ, როცა მათიანი ვეგონე, მოსყიდული ვიყავი უკვე ბელგიაში ჩემთვის გადმოგზავნილი იმ 1000 ევროთი...

მათთან ურთიერთობაში არ უნდა შევსულიყავი, მაგრამ რაც მომივიდა, ყველაფერი გამოუცდელობით და ჩემი მიმნდობი ხასიათის გამო მომივიდა. რომ მცოდნოდა, ვინც იყვნენ ესენი, ახლოსაც არ გავეკარებოდი, არც ერთ თეთრს დახმარებას მაგათგან არ მივიღებდი და რა ინტერვიუებზეა, საერთოდ, საუბარი, არც ელისოს გავეკარებოდი სიახლოვეს, არც ნუგზარს, და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხომ ცხადი და ნათელი გახდა ამ ბოლო ხანებში, რომ კილაძე „ნაცმოძრაობის“ რუპორი, მხარდამჭერი და მათი დანაშაულების „გამპრავებელია“, ფოფხაძეც ნაცებს გულშემატკივრობს?!

**გივი თარგამაძესთან, ლევან რამიშვილთან, გია ნოდიასთან, დავით დარჩიაშვილთან** ერთად „ნაცმოძრაობაში“ მიღებული კაცია ნუგზარ ფოფხაძე და ამავე დროს „ქართული ოცნების“ წინაშე გულმხურვალე გულშემატკივრის როლს თამაშობს. შევარდნაძის პოლიტიკაა ზუსტად. იქითაც არის, აქეთაც არის, თამაშობს თავისი ჭკუით, ვითომ ვინმეს თვალს უხვევდეს.

ფოფხაძემ ბოლოს მითხრა, ჩემზე ნაწყენი იყო იმის გამო, რომ მე, თითქოს, ერთ ქალბატონთან, ალბათ, მიხვდებით, ვისთანაც, მქონდა სქესობრივი კავშირი და მერე ეს ამბავი ხალხში გავიტანე, რაც არის სრული აბსურდი.

„კგბ“-ს მეთოდებით მოქმედებს დღემდე და ვისთანაც გასდის, იმას იყენებს.

**— კარგი, მოვეშვათ ამ თემას. სხვა გაზეთებს, ან ინტერნეტგამოცემებს რატომ ეუბნებით უარს და არ აძლევთ ინტერვიუებს? ერთმა საიტმა ამ დღეებში „განსხვავებული აქცენტების“ თემაზე ნინო ჯღარკავასთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, იქვე მითითებული იყო, რომ თქვენ უარი თქვით არათუ ინტერვიუზე, კომენტარებზეც კი, რატომ?**

— ჯერ ერთი, არ ვენდობი მედიაგამოცემებს, რომლებიც ვიცი, რომ ნაცების შექმნილია, მეორეც, არ ვიცი, როგორ შემიცვლიან ნათქვამს.

ამას წინათ ერთ გაზეთს მივეცი ინტერვიუ და როგორც გითხარით, ის ადგილი ამომიჭრეს სწორედ, სადაც ნუგზარ ფოფხაძეზე ვსაუბრობდი. ბევრი ერიდება კილაძის სახელის ხსენებასაც, არავის უნდა ამ ბინძური ქალის ყბაში აღმოჩნდეს. ნუგზარ ფოფხაძეს კი გულში ჰყავს ჩახუტებული, შვილად აღიარა და მისი ხელით აკეთებს შავ-ბნელ საქმეებს.

ბოლოს და ბოლოს, ეს ადამიანი გამოვიდეს საჯაროდ და ან უარყოს, ან დაადასტუროს ელისო კილაძესთან რა სახის კავშირი აქვს.

მე კი ვკითხე მას პირადად შეხვედრის დროს — თქვენ და კილაძეს რა კავშირი გაქვთ-მეთქი და ელისო კილაძე მე ვარო, მითხრა. **ახლა ხმამაღლა დაადასტუროს, კილაძის ბინძური პროვოკაციების უკან, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო და არის მიმართული, ქვეყნის უსაფრთხოების წინააღმდეგ დაგებულ მახეებში ფოფხაძე იდგა და დგას თუ არა?!**

ვინ დაუფინანსა „რეპორტიორი“ დასაწყისისთვის, ვისი ჩარიცხული თანხებით დაარსდა „ქრონიკა+“, ლაურა ლაჭავასი ხომ არა?! თქვას, გაბედოს, ან უარყოს. იმიტომ გამომაქვს ყველაფერი საჯაროდ, რომ ამ კაცის ქმედებებმა უკვე მანიაკალური ხასიათი მიიღო. ცინიკური პოზა უჭირავს და თითქოსდა ფეხებზე ჰკიდია ყველა და ყველაფერი.

**მე რომ მიწყობენ სატელევიზიო და საგაზეთო პროვოკაციებს, თქვან, რა უნდათ ჩემგან, რა სურთ**

6 gv.

5 gv.

**ხელისუფლებისგან, მე კარგი, მოვითმენ, როგორც არაერთხელ მომითმენია მაგათგან ათასგვარი სიბინძურე, მაგრამ კვესიტაძის გადაცემა რომ კვლავ მე მომექძღვნა, ეს ნიშნავდა ხელისუფლების დისკრედიტაციას. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ვითომდა სიცრუეში მხილებას. ჩვენი ქვეყნის იმიჯის შელახვას, და ამაზე გაჩუმება არაფრით არ შეიძლება.**

**ბატონო ნუგზარ,** რა გინდათ თქვენ, რის მიღწევას ცდილობთ?

# „მამა“

გასაგებია, რომ ახლო ურთიერთობა გაქვთ ლაურა ლაჭავას რძალთან **ნანუკა ჟორჟოლიანთან.**

ისიც მაინტერესებს, რა დავალებით მიაგზავნეთ კილაძე გივი თარგამაძესთან. ეს ამბავი მეც რომ არ ვიცოდე, კილაძემ დაწერა არაერთხელ: ფოფხაძემ მიმაგზავნა თარგამაძესთან საქმის მოსაგვარებლადო, მაგრამ რა საქმეს აგვარებდნენ ნუგზარ ფოფხაძე და გივი თარგამაძე?

ეს ის კილაძეა, რომლის გაზეთის ფინანსური შემოსავალ-გასავალით აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ფინანსური სამსახური.

ჩემო კარგო, როგორც თქვენს გაზეთში მოვდივარ, ისე მივდიოდი „ქრონიკა+“-ში და რამდენიმეჯერ ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ჟურნალისტებს კონვერტებით ჰონორარებს დოლარებში რომ ურიგებდა ელისო კილაძე.

ნახეთ „ქრონიკა+“-ის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და ა.შ. ნომრები და დაათვალიერეთ, რამდენი თანამშრომელია დაფიქსირებული გაზეთის ბოლო გვერდზე.

არც უწყისი აქვს ამ ქალბატონს და არც ერთი თანამშრომელი არავითარ საბუთში არ ჰყავს გაფორმებული, როგორც თანამშრომელი.

რატომ არავინ არ ინტერესდება ამ ამბით?

ვინ ჰყავს მფარველად ელისო კილაძეს?

ქალბატონი ჯღარკავა სოციალურ ქსელში კილაძესა და ფოფხაძეს შორის დაკარგულ 80 000-ზეც საუბრობს. მეც მსმენია ბევრი რამ 80 000-ზე, 100 000-ზეც, ეს ამ ორი ადამიანის ანგარებიან ურთიერთდამოკიდებულებაზე მეტყველებს.

ასევე მსმენია, თუ როგორ შეიძლება ეს შიდა სამზარეულოა, მაგრამ აგვიხსნან საზოგადოებას, რა თანხებზეა საუბარი.

არ მინდა ჭორაობა გამომივიდეს, ამიტომ ბევრ ამბავს შეგნებულად არ ვყვები. ერთს გავიხსენებ მხოლოდ — კილაძის რედაქციაში ვარ და ელისო ცოფებს ყრის, ლანძღავს და აგინებს ნუგზარ ფოფხაძეს. ვკითხე: გუშინ მამობილს ეძახდი, დღეს ლანძღავ უწმაწური სიტყვებით და მის სქესობრივ ორიენტაციაში ეჭვი შეგაქვს. რა ხდება-მეთქი?!

მერე, როცა ძალიან გადააჭარბა ელისომ, ბატონ ნუგზარს შევხვდი, რომ ამ ქალის პროვოკაციებისთვის საზღვარი მიეცა და ისიც ვუთხარი, მარტო ჩემზე არ ლაპარაკობს ბილწ სიტყვებს, თქვენც კარგად „გამკობთ“, ორიენტაციაარეულს გეძახით-მეთქი. გაატარა. ერთ ყურში შეუშვი, მეორედან გამოუშვის პრინციპით მოისმინა ჩემი ნათქვამი.

**— ვერავინ ვერ მართავს, უმართავია ელისო?**

— ჰო, უმართავია, ხან ფოფხაძე ამბობს, მე ვმართავო, მოწმეებიც არსებობენ იმ საუბრის, ფოფხაძე რომ ამბობს, ჩემს მიერ არის ეს ქალი მართულიო, ხან სხვები მართავენ. ვერ გაიგებ, ვინ ვის მართავს მაგათთან.

კიდევ ერთ რამეს გთხოვთ, კილაძეს როცა ახსენებთ, დაწერი ამბავია!) და იტყვის ყველაფერს ჩემზე. მოვუწოდებ, თქვას ყველაფერი, რაც იცის ჩემს შესახებ. ისიც არ დაავიწყდეს, რომ მე ვარ და ვიყავი ლაკმუსის ქაღალდი „ნაცმოძრაობისთვის“ და მისი მხარდამჭერებისთვის. ვინც მე ვერ მიტანს, ნაციონალები არიან, აბა, უბრალო, ჩემნაირი ხალხი ყველა სოლიდარულია ჩემს მიმართ.

საინტერესოა, რომ **ამ სამი წლის განმავლობაში დიდი ლუსტრაცია მოხდა საქართველოში ეტაპობრივად. ჯერ 1 ოქტომბერს 2012-ში, მერე 17 მაისს, „რუსთავი-2“-ის ამბების დროს და ახლა საგარეჯოს არჩევნებზე. ლუსტრაცია გრძელდება და კარგია ეს. ბოლომდე უნდა გაიგოს ყველამ ვინ ვინ არის.**

რამდენი სიცოცხლე უნდა გვქონოდა, რომ ეს გაგვეგო და დაგვენახა. სამ წელიწადში ბიძინა ივანიშვილმა შეძლო, ნიღაბი აეხადა ყველასთვის მათივე ხელით და გამოეჩინა თითოეულის ნამდვილი სახე.

დიქტატორი მოგვაშორა, პოლიტიკაში ფულის საშოვნელად შეფარებულები გამოააშკარავა, არასამთავრობოები ამხილა, არაკეთილსინდისიერ ჟურნალისტებს თავისი სახელები დაარქვა. მეტი რა უნდა გააკეთოს ერთმა კაცმა. უკვდავების წყალს ვერ დაგვირიგებს, რადგან არ არსებობს ასეთი რამე.

დაბოლოს, თუ ვინმეს კიდევ ეჭვი ეპარება იმაში, რომ ნუგზარ ფოფხაძე „ნაცმოძრაობას“




მიაწერა ფოფხაძემ ფონდ „ღია საზოგადოების“ მიერ დაფინანსებულ ერთ პროექტს ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალისტი, რომელმაც ამის შესახებ პოსტფაქტუმ გაიგო და მისთვის კუთვნილი ჰონორარიც მოითხოვა, თურმე.

ამ თემის გაგრძელებას, სავარაუდოდ, ვიხილავთ კიდეც...

**— მაგრამ, რა კავშირი არსებობს ნუგზარ ფოფხაძესა და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ შორის?**

— ეს სხვა თემაა, გასარკვევია, რა კავშირი არსებობს ფოფხაძეს დარჩიაშვილის ნავსაყუდელთან.

ამ ფულის „მოტეხვა“-გაქრობაზე მარტო ჯღარკავა არ ლაპარაკობს, ბევრისგან მსმენია მსგავსი რამ.

რეთ „ე.წ. ჟურნალისტი“. იმიტომ გთხოვთ ტიტულის მოხსენიებას, რომ ამ ქალბატონს პირადად მე ჟურნალისტად ვერ მოვიხსენიებ და ჟურნალისტებს შეურაცხყოფას ვერ მოგაყენებთ, ბევრჯერ მითქვამს, ეს ქალბატონი ტიპიური პროვოკატორია კონკრეტული დავალებით. ძალიან მიკვირდა ამ ქალბატონის მეგობრობა ქალბატონ ინაშვილთან, მით უმეტეს, რომ ინაშვილი და კილაძე სულ ორიოდე წლის წინ ვანო მერაბიშვილის აგენტობაში ამხელდნენ ერთმანეთს. ყველამ იცის, ინაშვილმა ქალბატონი კილაძის აგენტურული სახელი „ნუკრი“ რომ გაშიფრა.

ეს ინტერვიუ თუ დაიბეჭდა, ფოფხაძე იტყვის, ალბათ, რომ მე ვარ უმადური, „კუ და მორიელის“ იგავს გაიხსენებს (გასაკვიუჭერს მხარს და ფარულად მის გაძლიერებას ემსახურება, წაიკითხოს მისი პოსტები ფეისბუკში. ყველამ ნახა, რაც დაწერა ნიკა გვარამიაზე, ჯერ ნოდარ მელაძეს აქებდა და ადიდებდა, ვარსკვლავი არის ჟურნალისტიკაში ნოდარ მელაძეო. მერე ნიკა გვარამიას მხარდაჭერა დაიწყო — სამოქალაქო გმირობა ჩაიდინა გვარამიამო, წერდა კილაძე, ფოფხაძე კიდევ გვარამიას მიმართავდა: — გისმინონ! გისმინონო! გვარამიას უნდა უსმინოს საქართველომ და ნუგზარ ფოფხაძეს, ხომ?! კარგად წაგვივა საქმე, ჩემმა მზემ. მეტი რა გითხრათ, ამ ყველაფრის შემყურემ უნდა ვთქვა: **მდააა! ამჯერად, ფინიში!..**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

Nugzar Popkhadze
18 ნოემბერი, 21:46-ზე · რედაქტირებული ·

"ნიკა გვარამია: მისმენენ!"

სანდო მეგობრისგან მაქვს გაგონილი ამ რამდენიმე წლის წინ: პატრიარქს უთხრეს, საააკაშვილის უშიშროება თქვენს საუბრებს უსმენსო! პასუხად კათალიკოსს ღიმილით უთქვამს: მთელი ცხოვრება მინდოდა რომ ესმინათ და ძლივს მივაღწიე რომ მისმენენო!:-)))

ასე რომ, ნიკა ბატონო, როგორც იქნა ჩაწერილხართ "რჩეულთა" შორის... ამ მხრივ მე ვეტერანი ვარ, ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს მისმენდნენ... და ერთი მაშინდელი "ბოსი" კრეტინული მიამიტობით ჩემივე თანდასწრებით, მოურიდებლად "ტრაბახობდა" ამით...

საკუთარი გამოცდილებით გირჩევთ: არ აყვეთ მითქმა-მოთქმას, და მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს, გისმინონ! გისმინონ! გისმინონ! ამინ!



Nugzar Popkhadze
2 ნოემბერი, 15:20-ზე ·

დღეს გახმაურებული სატელეფონო საუბრის ფარულმა ჩანაწერმა კიდევ ერთხელ დამიდასტურა ერთი კლასიკური ინგლისური მაქსიმის სიბრძნე: "ყველა ბოზანკალა სხვას განსჯის საკუთარი გარყვნილების გამოცდილებიდან გამომდინარე"...
რაც შეეხება ნოდარ მელაძეს, გარდა იმისა რომ პიროვნულად აშკარად მაღლა დგას ყველა ჯურის ჭორიკანაზე (მათ შორის ამ ჩანაწერის "გმირებზე"), იგი ერთერთი ყველაზე საუკეთესო პროფესიონალია ქართულ ტელე-რადიო-ჟურნალისტურ სივრცეში.
მიხარია, რომ ის მუდმივად იზრდება და არ ღალატობს ზნეობრივ, პროფესიულ პრინციპებს.



Nugzar Popkhadze
25 წთ. · რედაქტირებული ·

შეიძლება არ მოგწონდეს "ნაცები" და მათი ლიდერები...შეიძლება არ იყო აღტაცებული ქართული "დესანტის" გადასხმით უკრაინაში...
მაგრამ, ამ ვიღაც კორბანის "შანტაჟმა" დავით საყვარელიძისადმი, შეუძლებელია ირონიული ღიმილი არ გამოიწვიოს...
დავით საყვარელიძის პასუხი მომწონს.
ღირსეულია! მხარდასაჭერი!
ამასთან, კარგი გაკვეთილიც არის მისთვის (და არა მარტო მისთვის): ადრევე უნდა გცოდნოდათ ვისთან, ანუ რა არამზადებთან იჭერდით საქმეს!
კარგი იქნება ამ ისტორიიდან სწორი დასკვნების გამოტანა!



**გვესაუბრება ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის ხელმძღვანელი, უფლებადამცველი ბატონი გრიგოლ გაგნიძე**



## გრიგოლ გაგნიძე:

# ირაკლი შოთაძე ადეიშვილის არც მოადგილე ყოფილა, არც თანაშემწე, არც მარჯვენა ხელი

**— გრიგოლ, როგორ მოგწონთ ახალი გენერალური პროკურორი?**

— თავიდან 7 პროკურორობის კანდიდატურა იქნა დასახელებული და წარდგენილი იუსტიციის სამინისტროში. აქედან შეარჩიეს სამი რეალური კანდიდატი. იუსტიციის მინისტრის სურვილის შესაბამისად, გენდერული ბალანსის დაცვისთვის ერთი ქალბატონიც იყო წარდგენილი — **ნანა რევაზიშვილი, ირაკლი შოთაძე** და **ვალერიან გაბრიჩიძე**.

ჩვენმა ორგანიზაციამ რეკომენდაცია გაუწია **ირაკლი შოთაძეს** და დღეს მოხარულნი ვართ, რომ ჩვენმა წარდგენილმა კანდიდატურამ გაიმარჯვა მართლაც გამჭვირვალე არჩევნებში. არჩევნებს თითქმის ყველა ტელევიზიის ჟურნალისტი ესწრებოდა. ხმის დათვლის პროცესს კი თვით მინისტრიც კი დაესწრო. პროკურორთა საბჭოს 14 წევრმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში და 13 ხმით ირაკლი შოთაძე გახდა გენერალური პროკურორი.

მივულოცე კიდევაც პირადად ქალბატონ **თეა წულუკიანს** არჩევნების გამჭვირვალედ და ობიექტურად ჩატარება.

**— რის გამო გაუწიეთ რეკომენდაცია ირაკლი შოთაძეს?**

— წელიწადნახევარია, რაც იგი მოადგილის პოსტს იკავებს და მშვენივრად უძღვება მოვალეობას, არის ენერგიული, კვალიფიციური, პროფესიონალი ადამიანი. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ახალი პროკურორი აპოლიტიკურია. ის არ ყოფილა არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში.

**— როგორც ამბობენ, ადეიშვილის აღზრდილი კადრია.**

— ირაკლი შოთაძე ადეიშვილის არც მოადგილე ყოფილა, არც თანაშემწე, არც მარჯვენა ხელი.

2006 წელს დაიწყო მუშაობა დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურაში, შემდეგ გენპროკურატურაში გადმოინაცვლა.

ეს არის მავანთათვის კითხვების დასმის მოტივაცია, მაგრამ მე ვიცი ერთი რამ — ისეთ პროკურორებზე, რომლებმაც უხეში სამსახურებრივი გადაცდომები ჩაიდინეს, გატარდა შესაბამისი სანქციები. გათავისუფლდნენ თანამდებობებიდან ჯერ კიდევ კბილაშვილის გენპროკურორობის პერიოდში. ეს ჩვეულებრივი, მუდმივი პროცესია.

დღეს რეფორმები მიმდინარეობს მართლმსაჯულების სისტემაში, შეუცდომელი არავინ ვართ, მაგრამ, ვთქვათ, 10-დან სამი შეცდომა გაქვს და შვიდი წარმატება, რა თქმა უნდა, უკეთესისკენ იხრება წარმოდგენები პერსონალიებზე. მის საქმიანობაში შეცდომები ბევრი რომ ყოფილიყო, შოთაძე მოადგილეც ვერ გახდებოდა.

დამკვეთები და შემსრულებლები ვინ იყვნენ წინა ხელისუფლებისგან, დაინახეთ ყველამ, ბრალი დაუმძიმდა **მერაბიშვილს** და **ადეიშვილს** საკუთრების ჩამორთმევის ნაწილში და საქმის მთავარ მოწმედ ბატონი **გია ჰაკუაშვილი** ბრძანდება, რომელიც აჭარის ოლქის პროკურორი იყო. ანუ მე იმის თქმა მინდა, რომ თვით პროკურორმა ითანამშრომლა გამოძიებასთან. ასეთი ხალხი უნდა დარჩეს სისტემაში, ისინი სამართლიანობის აღდგენას ემსახურებიან. სიტუაცია უკეთესობისკენ მიდის ნაბიჯ-ნაბიჯ და იუსტიციის სამინისტროს მიერ ახალი გენერალური პროკურორის არჩევის საკითხი ბოლო 20 წლის განმავლობაში უპრეცედენტოდ გამჭვირვალე და ობიექტური იყო.

მინდა აქვე აღვნიშნო ქალბატონი თეა წულუკიანის რეფორმების შესახებ და მსურს დადებითად შევაფასო ეს ტენდენციები.



ჩვენი ორგანიზაცია ჩართულია სს პროექტებში და ვხედავთ, დღეს უფრო გამჭვირვალე პროცესია, სააკაშვილის მმართველობის პერიოდთან შედარებით. იმ ხანებში 3-4 არასამთავრობო ორგანიზაცია იყო ჩართული ასეთი ტიპის პროექტებში. დღეს ეს სპექტრი მაქსიმალურად არის გაზრდილი. სს რეფორმები მართლაც წარმატებულად მიმდინარეობს — პროკურატურის რეფორმები, სასამართლოს რეფორმები, არასრულწლოვანთა საკითხებისადმი მიდგომა და ა.შ. სწორი მიმართულებით ვითარდება. ასე ვთქვათ, დუღილის პროცესია.

თუმცა ყველა კმაყოფილი ვერ იქნება.

ზოგი პროკურატურის უკმაყოფილოა, ზოგი სასამართლოსი, მაგრამ უნდა ითქვას, სასამართლო ხანდახან სცოდავს.

მაგალითად, ფოთის საქალაქო სასამართლო სამართლიანობის აღდგენას აჭიანურებს, შეიძლება ითქვას, საბოტაჟს ახორციელებს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი **შალიკაშვილის** მიმართ.

საქმე სპეციფიკურობით გამოირჩევა და მის განხილვაში ახლა არ შევალ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ადრინდელი მოსამართლეების საქმეები, განსაკუთრებით რეგიონებში, კარგად უნდა იქნას შესწავლილი და არ უნდა იყვნენ დასაქმებულნი ამ ხელისუფლების პირობებშიც, მით უმეტეს, პროკურატურაში.

წარმოიდგინეთ, მოქალაქეს საჩივარი შეაქვს სამართლიანობის აღდგენისთვის და საქმე ხელში უვარდება პროკურორს, რომელიც ადრე მოსამართლე იყო და უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო იგივე საქმეზე.

ვფიქრობ, კონკრეტულად, ფოთის პროკურატურა დროულად გამოასწორებს ამ ხარვეზს.

**— ირაკლი შოთაძე ახალგაზრდაა. შეძლებს ის ასეთი რთული და საპასუხისმგებლო სტრუქტურის ხელმძღვანელობას?**

— კი, ახალგაზრდაა ბატონი ირაკლი, მაგრამ მას 10 წლის მუშაობის სტაჟი აქვს ამ სფეროში, თუმცა იმიტომ არსებობს პროკურორთა საბჭო, რომ მას დაეხმარონ ეფექტურ მუშაობაში. საბჭო მთლად პროკურორის არჩევისთვის არ არსებობს, ის უნდა დაეხმაროს გენერალურ პროკურორს საქმიანობაში. დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნებიან მისი მოადგილეები.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

## რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებას პუტინი ზურგში დარტყმად აფასებს



რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებას ზურგში დარტყმად აფასებს. ლაპარაკია სირია-თურქეთის საზღვარზე თურქული გამანადგურებლების მიერ რუსული სამხედრო თვითმფრინავის — „სუ-24-ის" ჩამოგდებაზე.

„რია ნოვოსტის" ცნობით, ვლადიმირ პუტინმა აღნიშნა, რომ ეს მოვლენა ტერორიზმთან ჩვეულებრივი ბრძოლის ფარგლებს სცდება.

„დღევანდელი დანაკარგი დაკავშირებულია დატყმასთან, რომელიც ტერორისტების თანამზრახველებმა მოგვაყენეს. არ შემიძლია, სხვაგვარი კვალიფიკაცია მივცე იმას, რაც დღეს მოხდა. და ეს იმ ფონზე, როცა ამერიკელ პარტნიორებთან ერთად საჰაერო სივრცეში ინციდენტების გაფრთხილების შესახებ შეთანხმებას მოვაწერეთ ხელი. როგორც ცნობილია, თურქეთი იმ ქვეყნების რიგებშია, რომლებმაც გამოაცხადეს, რომ ამერიკული კოალიციის შემადგენლობაში ტერორიზმს ებრძვიან", — აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა.

მისივე შეფასებით, ეს ტრაგიკული მოვლენა რუსულ-თურქულ ურთიერთობებზე სერიოზულ გავლენას მოახდენს.

„თურქეთს ყოველთვის ვეპყრობოდით არა მხოლოდ როგორც ახლო მეზობელს, არამედ როგორც მეგობრულ სახელმწიფოს. არ ვიცი, ვის სჭირდებოდა ის, რაც დღეს მოხდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ — არა. ჩვენთან აუცილებელი კონტაქტის დამყარების ნაცვლად, თურქულმა მხარემ ამ საკითხის განსახილველად ნატო-ში პარტნიორებს მიმართა, თითქოს მათი თვითმფრინავი ჩვენ ჩამოგვეგდოს და არა — მათ ჩვენი", — აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა.



# სოსო ცინცაძე: მე თუ მკითხავთ, აი, ახლა რაც ევროპაში ხდება, ეს არის ევროპის დასასრულის დასაწყისი

გვესაუბრება პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე:**

**— ბატონო სოსო, 13 ნოემბრის ღამეს პარიზის დედაქალაქზე ტერორისტების მიერ განხორციელებული შეტევა. სპეციალისტებმა ფრანგული სპეც. სამსახურების სრულ კოლაფსად შეაფასეს. აშკარაა, რომ „ისლამურ სახელმწიფოში" ინტელექტუალური პოტენციალი დიდია. როგორ შეაფასებთ მომხდარს?**

— როდესაც ქვეყანაში ნახევარ მილიონზე მეტი მუსულმანი გყავს, მშვიდად ყოფნა და ყურადღების მოდუნება არ შეიძლება. ამ ნახევარ მილიონ მუსულმანში განა ყველა მშვიდი, წყნარი და ნორმალურია? მათგან რადიკალურად განწყობილი არავინაა? რასაკვირველია, გამოხშირვა, ძალიან ძნელია. თავად ფრანგებიც ვერ მალავენ გაოცებას — ამ ტერაქტების ორგანიზატორი 37 წლის ბელგიელი თურმე, ბელგიაში ყველაზე პრესტიჟულ სკოლაში სწავლობდა და ძალიან ნიჭიერ მოსწავლედ ითვლებოდა, უკვე გაევროპებული იყო, მაგრამ ხომ ნახეთ, როგორი ევროპელიც აღმოჩნდა. ამიტომ, ის რომ მას ასეთი წარსული ჰქონდა, დღეს, ეს, არაფერს ნიშნავს. როგორც ჩანს, მსოფლიოში არსებულ კონფესიებში ყველაზე იოლად აალებადი რელიგია სწორედ ისლამია. თუ რატომ ხდება ეს, ამაზე მუშაობა ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს, ალბათ, ათეული წლები მოუწევთ. დღეს, ვისმენთ მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ „ისლამური სახელმწიფოს" მოსპობით რადიკალური ისლამის საფრთხე არ განადგურდება, რადგან ამ საფრთხეს, ძირითადად, არა „ისლამური სახელმწიფო", არამედ სოციალური პრობლემები ქმნის. „ისლამური სახელმწიფო" სწორედ სოციალური პრობლემების პირდაპირი შედეგია. მაგრამ აქვე, ჩნდება კითხვა — ათასობით ახალგაზრდა ისლამისტმა რადიკალმა, რომლებიც ინგლისში, ზოგადად, ევროპაში მშვენივრად ცხოვრობდნენ, ეს გზა რატომ აირჩიეს? რატომ წავიდნენ შეძლებული ოჯახის შვილები „ისლამურ სახელმწიფოში"? ქრისტიანი კათოლიკები, პროტესტანტები, რატომ გახდნენ უცებ, ისლამისტი მუსულმანები, თანაც რადიკალური ისლამისტები?! მოსაზრება, თითქოს, მთავარია, არაბულ აღმოსავლეთში



სიღატაკე, უმუშევრობა აღმოიფხვრას და მორჩა, გათავდა იქ, ისლამური რადიკალიზმი საერთოდ გაქრება, მცდარია. სინამდვილეში, ასე როდია, აქ, უფრო რთულ პრობლემებთან გვაქვს საქმე. არავის უნდა აღიარება, რომ შეცდომები იქნა დაშვებული და ახლაც ასე გრძელდება. რაზე ვსაუბრობთ, როცა დღეს, ინგლისის „ლეიბორისტთა პარტიის" ლიდერი საჯაროდ აცხადებს, რომ ტერორისტების წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციების დროს, როცა ტერორისტები ალყაშია, იარაღის გამოყენება არ შეიძლება. როგორ შეიძლება ტერორისტების მოკვლა, ისინი უნდა დავაპატიმროთ, გავასამართლოთ, მათ, ადვოკატის, სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეთო. მაგრამ აბა, ჰკითხეთ იმ პოლიციელებს როგორი დასაპატიმრებელია ტერორისტი შიშველი ხელებით? ბევრი რამაა შესაცვლელი, თუნდაც, უსაზღვრო ტოლერანტობის, ლიბერალიზმის გადასინჯვა, რთული იქნება.

ახლა ირკვევა, რომ დაახლოებით, 700-მდე რადიკალი ისლამისტი შეყვანილი ჰყავთ ე.წ. შავ კომპიუტერში ბელგიისა და საფრანგეთის სპეცსამსახურებს. მაგრამ რა შედეგია? რა დასკვნა უნდა გაკეთდეს? ბრიუსელის გარეუბანში პოლიციაც ვერ შედის, ყველამ იცის, რომ ეს ისლამური ტერორიზმის მთავარი შტაბი და კრაზანების ბუდეა. ყველამ იცის იქ, რაც ხდება, მაგრამ პოლიცია არ შედის, მათ არაფერს უშავებს და როდესაც ტერორისტული აქტი მოხდება, მერე იწყება მათი დევნა.

**— ბატონო სოსო, დაწყებულია მიგრაციის სახიფათო პროცესი, რამაც შეიძლება ევროპა ააფეთქოს. ევროპის ყველაზე უფრო ტოლერანტულ ქვეყნებშიც კი ფეხს იკიდებს ნაციონალისტური განწყობა. ყოველივე, რა შედეგს მოიტანს?**

— გერმანიაში, ამ წელიწადს, 800 ათასი ლტოლვილი შედის. როგორ უნდა შეამოწმო ყველა სათითაოდ. ტელეეკრანებზე რასაც ვხედავ, ლტოლვილებად შემოდიან ახალგაზრდა ბიჭები სპორტული აღნაგობის, დაკუნთული, მშვენივრად ჩაცმულები, აცვიათ „ნაიკის" ბოტასები, რაც თბილისში 400-500 ლარი ღირს, ყველას ფული აქვს. ორი კვირის წინ თავად გერმანიის სოც.უზრუნველყოფის საქმეთა მინისტრი იყო აღშფოთებული — ჩამოსულები ერთი ქალქიდან მეორეში ტაქსით დადიან, სადაც მოეწონებათ ცხოვრებას იქ იწყებენ და არა იქ, სადაც გერმანიის მთავრობამ გამოუყო უფასოდ ბინები, ასევე, დახმარება, მაგრამ არ იყენებენო. ჩვენს მოქალაქეებს კი ასე ტაქსით სასეირნო ფული არ აქვთო. რასაკვირველია, ძირითადი მასა, ალბათ, მშვიდობიანი მოქალაქეებია, რომლებიც იმ საშინელებას გამოურბის, რაც სირიაში და ერაყში ხდება, მაგრამ მეორე მხრივ, თუ ასი ათას ლტოლვილს ღებულობ და აქედან, 50 მაინც პოტენციური ტერორისტია, საფრთხე დიდია. მაშინ, შეიძლება ვიღაცამ თქვას: ამ ასიათასიდან არცერთს არ მივიღებ, რადგან ვინ პოტენციური ტერორისტია და ვინ მშვიდობიანი მოქალაქე, ამის გარკვევა შეუძლებელიაო. ახალგაზრდა, ძალ-ღონით სავსე ბიჭი სასწავლებლად, ახალი ცხოვრების დასაწყებად მოდის თუ „ისლამური სახელმწიფოს" მიერაა გამოგზავნილი, ამას ვერ არკვევენ. ამიტომ, ეს, ძალიან რთული პრობლემაა. კაბინეტში ჯდომა და ადამიანის უფლებებზე საუბარი — მისი შეურაცხყოფა არ შეიძლებაო და ა.შ., ძალიან იოლია. ამასთან დაკავშირებით მახსენდება პარიზში „შარლი ებდოზე" დატრიალებული ტრაგედია. ამაზე, ჩვენთანაც, ატყდა ერთი ამბავი. აქ, არამკითხე მოამბე ექსპერტებს რომ ეძახიან საკუთარ თავს, ბევრია. საქართველოში მეცნიერული კვლევები ტელე თოქ-შოუებმა ჩაანაცვლა, სადაც ორწიგნწაუკითხავები, რომელთაც საბაზო განათლება ზოგს ინჟინერის აქვს, ზოგს კბილის ექიმის, ზოგს სანტექნიკოსის, მაგრამ ყველა პოლიტოლოგი გახდა და ჭკუას გვასწავლიან. მაშინ, ეს ხალხის „მაესტროს" თოქ-შოუში პირზექაფმორეულები იცავდნენ ტერორისტებს, ამბობდნენ, მათი გრძნობების შეურაცხყოფა როგორ შეიძლებოდაო. თუ არ ვცდები ერთ-ერთი ლაშა ბაქრაძე იყო. ისე გამოიყვანეს, თითქოს, მთავარი დამნაშავეები თავად კარიკატურისტები იყვნენ. იცით, დღეს ევროპაში ეს მიდგომა აბსოლიტიზირებულია, რომლის შეცვლასაც იგივე ფრანსუა ოლანდი აპირებს, მაგრამ მაინც უკან მოხედვით იმიტომ, რომ საფრანგეთში დაღუპულის ახლობელი გამოდის და ტერორისტებს მიმართავს — თქვენ, ვერ ეღირსებით იმას, რომ მე შეგიძულოთო. ეს რას ნიშნავს, გაუგებარია. ე.ი. ვერ ეღირსებით ჩემს სიძულვილს, ანუ მაინც მეყვარებითო?! ჩემი სტუდენტობის დროს, მოსკოვში, ევროპის აღსასრულის შესახებ სემინარებს გვიტარებდნენ, მაშინ „ზაკატ ევროპი" მოდაში იყო. მე თუ მკითხავთ აი, ახლა, რაც ევროპაში ხდება, ეს არის ევროპის დასასრულის დასაწყისი. წლების მერე რა იქნება ევროპა, ძნელი სათქმელია. თუ ამჟამად, რამდენიმე მილიონი მუსულმანი, თავი დავანებოთ იმას ტერორისტია თუ მშვიდობიანი მოქალაქე, შევიდა ევროპაში, გეკითხებით, გათვალისწინებით დემოგრაფიული ფენომენის — ფრანგებს საეროოდ, მრავალშვილიანობა არასოდეს მოსწონდათ, ფრანგ ქალს მეტი საქმე არ აქვს ნახევარი ცხოვრება ფეხმძიმობასა და მშობიარობაში გაატაროს, მუსულმანები კიდევ როგორც თვითონ ამბობენ, ბაჭიებივით მრავლდებიან, ამის გათვალისწინებით, 15-30-40 წლის მერე, რა იქნება ევროპა? გეკითხებით, ჩვენ, ასეთი ევროპისკენ მივილტვით?!

აქვე, კიდევ ერთ საკითხზე მინდა თქვენი მკითხველის ყურადღება მივიქციო: მე, არ ვიცი რა სამუშაოები წარმოებს ჩვენთან შემდეგი მიმართულებით — ყველა, იქნება ეს გრიგორიანელი, იაღოველი, მუსულმანი, კათოლიკე თუ სხვა, პოლიტიკურად ქართველი გახდეს. ამაში ეთნიკურად ან ხელოვნურად გაქართველებას არ ვგულისხმობ. რუსიფიკაცია, რუსული პოლიტიკა იყო, ამას როდი ვგულისხმობ, ღმერთმა დაგვიფაროს. არამედ, იაღოველი იქნება თუ მუსულმანი, სადაც უნდა იქ ილოცოს, ოღონდ პოლიტიკურად ქართველი იყოს. ძალიან მეეჭვება, პოლიტიკურად ქართველი იყოს აზერბაიჯანული სოფლის მაცხოვრებელი, რომელიც ხიდაშელს ისე



აძლევს ხმას, რომ ფოტოზე ამ უკანასკნელსა და ინაშვილს ერთმანეთისგან ვერ არჩევს. ეს ტრაგედიაა. თუნდაც, ამ ფაქტის გამო, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, იგივე, განათლების სამინისტრო, რაღაც პროგრამას შეიმუშავებდა მათი პოლიტიკური განათლებისთვის, რათა იგრძნონ, რომ ისინიც ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები არიან. თქვენ, ისეთი ეროვნული, პატრიოტი რედაქტორი გყავთ, ვიცი, ასეთი საკითხები მასაც აინტერესებს, ვახტანგი, სულ სხვა დონეა. ამიტომ, მინდა მის ჟურნალისტს გკითხოთ — რით ხსნით იმას, რომ მინიმუმ, ოთხი-ხუთი თაობა, თუ მეტი არა, საქართველოში ცხოვრობენ და ქართული კიდევ არ იციან. რით ავხსნათ ეს? — სამწუხაროდ, მათ ქართული არ სჭირდებათ.

**— ეს, ალბათ, სახელმწიფო პოლიტიკის ბრალია...**

— დიახ, სახელმწიფო პოლიტიკის კრახი სწორედ ისაა, რომ მათ ქართული არ სჭირდებათ. ეს შედეგია. მაშინ, როდესაც ამერიკაში, აბსოლუტურად, წერა-კითხვის უცოდინარი რომელიღაც აფრიკული ტომის წარმომადგენელი ჩა-



# ტერორისტული მარყუჟი საქართველოს ყელზე

***მსოფლიო შეიშალა... წინასწარმეტყველი ვანგას მიხედვით კი სამყაროს აღსასრული სირიიდან დაიწყება... რელიგიური დაპირისპირების თემა იმდენად აშკარაა, რომ შესაძლოა ვივარაუდოთ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს ჩვენს რეგიონში, კერძოდ კი, მრავალი ქვეყნისა და სარწმუნოების გზაგასაყარ მართლმადიდებლურ ქვეყანას... არავისთვის დასამალი არ არის, რომ რელიგიური დაპირისპირების თემა საქართველოში პერიოდულად გვახსენებს ხოლმე თავს, და ისიც აშკარა გახდა, რომ ამ პროვოკაციების უკან რაღაც ძალები დგანან ხოლმე, რომლებიც უმალვე მოჰფენენ მსოფლიოს შემზარავ ნიუსს — საქართველოში რელიგიურ უმცირესობებს ებრძვიანო!..***

საქართველოში მოქმედი ასობით თუ არა, ათობით არასამთავრობო ორგანიზაცია კი ბგერის სისწრაფის ტოლფასად უმალ იქ გაჩნდება, სადაც მართლმადიდებლები და მუსლიმებით დასახლებული რაიონია და რატომღაც, დამნაშავენი ყოველთვის ქართველები, ანუ მართლმადიდებლები გამოჰყავთ, რაშიც ადგილობრივი ხელისუფლებების რაიონის გამგებლებისა და საკრებულოს წევრების წილიც არცთუ უმნიშვნელოა.

აგრეთვე ელვისუსწრაფესად რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების ახალი კერებიც აღმოცენდება ხოლმე და ეს პრობლემა უპირველესად ან აჭარაში, ან პანკისის ხეობაში, ან სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში ისხამს ფრთებს... ერთი მეგობარი მყავდა, აწ განსვენებული მაჰმად მარგოშვილი, რომელიც პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ წლების განმავლობაში. იგი თბილისში ჩამოსვლისას აუცილებლად მიკავშირდებოდა და გულისტკივილით მიყვებოდა, თუ როგორ ხალისდებოდა ტრადიციული ისლამის საპირწონედ ვაჰაბიზმი, რომელიც სუნიტური ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობაა.

ჩვენ ხშირად გაგვიგია, რომ ვაჰაბიტები საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ახალ-ახალ მეჩეთებს აგებდნენ, მაგრამ წლების განმავლობაში არავინ დაინტერესებულა, თუ საიდან შეიძლება ჰქონოდათ დიდძალი ფული და რესურსები, რათა საქართველოში მეჩეთები აეგოთ? ეჭვგარეშეა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ვაჰაბიზმს საქართველოში „მწვანე შუქს“ უნთებდა, თორემ იგივე პანკისის ხეობაში ტყის გადამამუშავებელ საამქროებსა თუ სხვა ფულის საშოვნელ ობიექტებში, ტრადიციული ისლამის მიმდევრებს დაასაქმებდა და არა მათ, ვისაც ისლამის რელიგია თავისებურად წარმოუდგენია!



რა არის ვაჰაბიზმი?.. როგორც უკვე მოგახსენეთ, იგი სუნიტური ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობაა, მე-18 საუკუნის შუა პერიოდში დღევანდელი საუდის არაბეთის ტერიტორიაზე მოღვაწე თეოლოგმა მუჰამედ იბნ აბდ-ალ-ვაჰაბმა დაუდო სათავე. მან და მისმა მიმდევრებმა უკიდურესობამდე განავითარეს მე-14 საუკუნის რელიგიური მოღვაწის იბნ ტეიმის იდეები — ისლამის განწმენდისა და განახლების შესახებ. მათი მოძღვრების მიხედვით არავითარი წმინდა ადგილები და წმინდანები არ არსებობენ, რადგან ვაჰაბიტური იდეოლოგიის მიხედვით და ამ მიმდინარეობის ძირითადი ცნების მიხედვით, მხოლოდ ალაჰია ღირსი თაყვანისცემის და სხვა არაფერი და არავინ... ყურანი უნდა იყოს ყველა მუსლიმანისთვის ამოსავალი წერტილი, ვაჰაბიტების მიერ ასევე უარყოფილია მუჰამედის კულტი, რადგანაც მათი აზრით, ხალხსა და ღმერთს შორის არავითარი შუამავალი არ უნდა არსებობდეს.

თუმცალა ვაჰაბიტები იმავდროულად ეყრდნობიან მუჰამედის შემდეგ სიტყვებს: „ყოველი, ვინც შემოიტანს ჩვენში რაღაც ახალს და ჩვენთვის მიუღებელს, განდეგილ იქნება ჩვენგან...“ ამავე დროს, ვაჰაბიზმის ქვაკუთხედი დებულებაა — საღვთო ომი ყველა ურჯულოსა და „გზააცდენილი მუსლიმანის“ წინაალმდეგ. მათი აზრით, ჯიჰადი არის, უპირველეს ყოვლისა, ბრძოლა, ისლამის დასაცავად და ჯიჰადს ვაჰაბიტები ოთხ ტიპად ყოფენ:

1. ჯიჰადი შაიტანის წინააღმდეგ;

2. ჯიჰადი სულის (ანუ მტრის იდეოლოგიის) წინაალმდეგ;

3. ჯიჰადი ურჯულოების წინაალმდეგ (კიაფირების);

4. ჯიჰადი მუნაფიკიების წინაალმდეგ.

ვაჰაბიზმის იდეოლოგია აღიარებს ჯიჰადს, როგორც ისლამის მეექვსე პრინციპს, წინა ხუთ აღიარებულ პრინციპთან ერთად. ვაჰაბიზმის ფუნდამენტალისტური მიმართულება გამოირჩევა მაღალი დონის აგრესიულობით და სამხედრო ორიენტაციის მაღალი მაჩვენებლით. მის ძირითად კრედო შეადგენს „სუფთა ისლამის ექსპორტის“ პრინციპი. მოცემული მიმართულების გეოპოლიტიკურ არეალს



წარმოადგენს ისლამური სამყაროს მარგინალური ტიპის სახელმწიფოებში, მაგალითად, სუდანში, ავღანეთში, თუმცალა ვაჰაბიზმი ამ ქვეყნებში, როგორც მოძრაობა ოფიციალურად დაფიქსირებული არ არსებობს.

სადღეისოდ აბდ ალ-ვაჰაბის დოგმატიკა აღიარებულია სახელმწიფო დონეზე გაერთიანებულ არაბთა საამიროში, ყატარში, ბაჰრეინში, ნაწილობრივ ქუვეითში და იორდანიაში.



როგორც ირკვევა ისლამური სახელმწიფოს მთავარმა მრწამსმა ვაჰაბიზმმა საქართველოშიც მოიკიდა ფეხი და არავისთვის აღარ არის დასამალი, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მათ რიგებში გასაწევრიანებლად ათეულობით ახალგაზრდა გაემგზავრა. როგორ მოხვდნენ ისინი სირიაში, ბევრ კითხვას აჩენს, რადგან მათ გადასალახი ჰქონდათ ორი სახელმწიფოს საზღვარი, კერძოდ, საქართველოს და თურქეთის და რაოდენ გულუბრყვილო პასუხი მიიღო საქართველოს მოსახლეობამ მაშინ, როცა პანკისის ხეობის ახალგაზრდა ბიჭის საზღვრის გადაკვეთის ამბავი შეიტყო? — მესაზღვრის უყურადღებობითო!.. ვერაფერი ნუგეშია, მესაზღვრის ან მესაზღვრეთა უყურადღებობა, ბატონებო, რადგან დღეს საქართველოს საზღვრები ისეა გავერანებული, რომ ვაჰაბიტებს კი არა, ვისაც გაეხარდება ის შემოვა და რაც გაუხარდება იმას გააკეთებს...

პანკისის ხეობაზე ვსაუბრობდი... ცხონებული მაჰმად მარგოშვილი გულისტკივილით მიყვებოდა, რომ მათ ხეობაში შესული თითო-ოროლა ვაჰაბიტი ნელ-ნელა ისეთ აგიტაციას ეწეოდნენ, მოკლე დროში ახალგაზრდების უმრავლესობა თავის ჭკუაზე გადაიყვანესო, მაგრამ ამ ყველაფერს იმას კი არ აბრალებდა, რომ მათ მოზარდებს ოჯახებში რელიგიური უკმარისობა ჰქონდათ, არამედ ხეობაში შექმნილ უკიდურეს სოციალურ გაჭირვებას, სამუშაო ადგილების არარსებობას და ახალგაზრდებიც იმიტომ მიდიან ვაჰაბიტებთან, რომ დასაქმდნენო. დასასაქმებელი ადგილები კი ვაჰაბიტებს არცთუ ცოტა ჰქონდათ, მაგალითად, ხეტყის დამზადების ბიზნესი, ნარკოტიკები და მათი წარმოდგენით, სულის ცხონება, რაც ტრადიციული ისლამიდან განდგომა მოჰყვებოდა და ჯიჰადის გამოცხადების შემთხვევაში, ალაჰის სახელით „ურწმუნოთა განწმენდაში“ გააძლიერებდა მათ!..

2004 წლიდან არაერთი საგაზეთო სტატია მიმიძღვნია ვაჰაბიზმის ასე გავრცელებასთან დაკავშირებით, იგივე მაჰმად მარგოშვილთან რამდენიმე ინტერვიუც მქონდა ჩაწერილი და გამოქვეყნებული, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც ვაჰაბიტების ეკონომიკურ გაძლიერებაზე იყო ორიენტირებული, ჟურნალისტების ხმას გაიგონებდა?!..

რა იყო ლაფანყურის სპეცოპერაცია, რას ემსახურებოდა შემდგომ პანკისის ხეობის მოსახლეობის ასეთი შეურაცხყოფა?!.. სად არის პასუხი ამ ყველაფერზე, ვინ და როდის უნდა აგოს პასუხი იმაზე, რომ ჩვენ ქისტ და-ძმებს შორის ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს ნდობა და სიყვარული?!.. არა მხოლოდ ისლამური რელიგიის შეურაცხმყოფელია მიცვალებულის ექსგუმაცია (მიწიდან ამოღება), მაგრამ იმიტომ, რომ სიმართლე გარკვეულიყო, ხომ წავიდნენ გამწარებული მშობლები ისლამისთვის მიუღებელ ამ ნაბიჯზე?! მაგრამ რა მოხდა?.. მოხდა ის, რომ სიმართლეს კვლავ მიწა წაეყარა და გამწარებული პანკისელების ნაწილი შურისძიებაზე ალაპარაკდა, რასაც ჩეჩნეთის პრეზიდენტი კადიროვიც გამოეხმაურა და მივიღეთ რა? — მივიღეთ მარყუჟი, რომლისგანაც თავის დაღწევა შესაძლოა გაგვიჭირდეს, რადგან, რაც დავთესეთ, იმას მოვიმკით!.. როგორ, განა მხოლოდ პანკისია ამ მხრივ ყურადსაღები?!.. რას ნიშნავდა და რას და ვის ემსახურებოდა ქობულეთში თუნდაც არარეგისტრირებული მედრესეს კარებზე ჩამოკიდებული ღორის თავი, რომელიც არა მხოლოდ ვიზუალურად არის ამაზრზენი, არამედ ისლამის მიმდევრებისადმი უკიდურესად შეურაცხმყოფელია?! იგივე ადიგენში, სამთაწყაროში მომხდარი რელიგიური პროვოკაციები ვის და რის ინტერესებში იჯდა?!.

დაბოლოს, ეს ყველაფერი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საქართველოს უჩინარი ხელი რელიგიური დაპირისპირების ალში გახვევას უპირებს?!..

რა საჭირო იყო მინარეთის აქეთ-იქით ავტომობილით გადაადგილება, თუკი საბოლოოდ მაინც იქ უნდა აღმართულიყო, სადაც მუსლიმები ითხოვდნენ? ვის სჭირდება ამხელა აჟიოტაჟი და სასწრაფოდ გატელევიზორებული ე.წ. ნიუსები?!.. ამ ყველაფერზე დაფიქრება ნამდვილად საჭიროა და იმაზეც ღირს დაფიქრება, რომ შს სამინისტრომ და სპეცსამსახურებმა რატომ დროულად ვერ აღკვეთეს ინტერნეტსივრცეში ისლამური სახელმწიფოს ვებ-გვერდის არსებობა, საიდანაც აჭარიდან წასული ყოფილი დეპუტატობის კანდიდატი ჭიღლაძე საქართველოს საპატრიარქოს და მართლმადიდებლებს ერთად გვემუქრება, ხოლო მათი პროპაგანდისტული მანქანა ინტერნეტსივრცეში, თურმე, ნუ იტყვით და, ერთი წლის განმავლობაში უპრობლემოდ მაუწყებლობდ?

ძნელი დასაჯერებელია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს სპეცსამსახურები არ ფლობდნენ ინფორმაციას იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც საქართველოს საზღვარი სირიის მიმართულებით არაერთხელ გადაკვეთეს და ახლა, პარიზის ტერაქტის შემდეგ ასე რომ გააქტიურდნენ ჩვენი სამართალდამცავები და რამდენიმე პირი დააკავეს, ტერორისტებთან თანამშრომლობის უკანონო გადასვლა-გადმოსვლის გამო ვერაფერი ნუგეშია, რადგან სწორედაც რომ საქართველოდან გასული „საღვთო ომის“ ლიდერები, თავის დროზე არ იყვნენ გამოვლენილები.

ამ ყველაფრის შემდეგ რა ელოდება საქართველოს? — აი, კითხვა, რომელიც თითოეული ქართველის, თითოეული ტრადიციული ისლამის მიმდევარი ჩვენი პანკისელების, აზერბაიჯანელების საფიქრალია!.. საქართველოს ელოდება ის, რომ მაქსიმალურად

10 gv.

8 gv.

დის და 6 თვეში დამტვრეულად, მაგრამ ინგლისურად მაინც ლაპარაკობს. იცით, რატომ? — იქ, ენა სჭირდება, ჩვენთან — არა. იმიტომ, რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელს თავისი ქინძი, პეტრუშკა მოჰყავს და ბაზარში მის გასაყიდად ქართულის ცოდნა არ სჭირდება. მწვანილი ძალიან მიყვარს და წლის ნებისმიერ დროის, თითქმის, ყოველ მეორე დღეს ბაზარში ვარ, ჯერ არ მახსოვს აზერბაიჯანელს ქართულად ეთქვას თუნდაც, 20 თეთრი, ამასაც რუსულად გეუბნება „დვადცატ კაპეეკ". ეს ორი სიტყვაც კი არ ისწავლა, ამასაც რუსულად გეუბნება. იცით, რატომ? — მას რუსული უფრო სჭირდება, ქართული კი საერთოდ არ სჭირდება. ეს უკვე ჩვენი პოლიტიკის შედეგია. ახლა, უსაფრთხოების სამსახური შეიქმნა, რას ბჭობენ, არ ვიცით. ამბობენ, გადაწყვეტილება მივიღეთ საზღვრებს გავამკაცრებთო, მაგრამ რეალურად, რა შედეგია. გვესმის, რომ ისევ იქმნება თოდ არ დადიან. ისინი თავიანთი კანონებით, წესებით ცხოვრობენ, თანაც, თუ შენ მათ წესებს ოდნავ მაინც შეეხები, გკლავენ, ტერორისტულ აქტებს გიწყობენ. გეუბნებიან, კი ბატონო, ქრისტე შენია და გინდ კარიკატურა დახატე, რაც გინდა, მაგრამ ჩემსაზე, არ გაბედო და კარიკატურა არ დახატო, შენი კანონებით მე ნუ შემეხები, ჩამოვედი ჩემი კანონებით და აქ ასე უნდა ვიცხოვროო. მაშინ გეკითხებით, რა ქვია ამას? საქართველოში, თითქოს, სხვა საფიქრალი აღარ გვაქვს, ტელევიზიები თოქშოებს მართავენ და შფოთავენ — როგორ შეიძლება მათი ეროვნული თუ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაო. ჯერ ერთი, 21-ე საუკუნეში რაღა დროს ორთოდოქსალური რელიგიაა. დღეს, ევროპა ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა და ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომში, როგორც ჩანს, რუსეთის გარეშე, ამ საკითხს ვერ მოაგვარებს. ესაა მთავარი დასკვნა. შარშან პუტინი ავსტრალიიდან გამოაპანღურეს, დღეს, კი ანტალიაში დიდი პატივით მიიღეს, ყველა ცდილობდა შეხვედროდა, და-

# მე თუ მკითხავთ, აი, ახლა რაც ევროპაში ხდება, ეს არის ევროპის დასასრულის დასაწყისი



რუსული სკოლები, მაგრამ ისე არ უნდა გაკეთდეს როგორც კომუნისტების დროს, როდესაც რუსული სკოლების მოსწავლეთა მხოლოდ 5-10%-მდე იყო რუსები, დანარჩენი სომხები და აზერბაიჯანელები იყვნენ. თბილისში მაცხოვრებელი სომხები და აზერბაიჯანელები ქართულ სკოლებში საერთოდ არ შედიოდნენ. ოთხი სკოლა გამოვიცვალე და არცერთში მათგანში, ჩემს კლასებში, სომეხი ან აზერბაიჯანელი არ ყოფილა, ყველანი რუსულ სკოლებში შედიოდნენ. ოჯახებიც სომხურ-რუსული იქმნებოდა — სომეხი ბიჭები რუს გოგონებს თხოულობდნენ. ეს, ეროვნული პოლიტიკის მარცხია. დამოუკიდებლობის 25 წლის თავზე, ამ კუთხით, დეგენერატული უნარ-ჩვევების შემოღების გარდა, რამე, ახალი პოლიტიკა შევიმუშავეთ?

**— თქვენი საუბრიდან აშკარაა, რომ მსოფლიო „ისლამური სახელმწიფოს" წინაშე უძლურია. თვითონ, მუსულმანურმა სამყარომაც ხომ არ უნდა იმოქმედოს უფრო რადიკალურად, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ შეიძლება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის უფსკრული უფრო გაღრმავდეს?**

— რასაკვირველია. დღეს, თავად ევროპელი ექსპერტები მესამე მსოფლიო ომზე შემთხვევით როდი ლაპარაკობენ. ფრანსუა ოლანდი თავად ამბობს, რომ ეს ომია. დევიდ კემერონის თქმით, ეს ცივილიზაციათა ომია. როდესაც, სამ-ნახევარი წლის წინ, მერკელს ეყო გამბედაობა და პირველმა თქვა, მულტიკულტურალიზმმა ევროპაში კრახი განიცადაო, ამას ყურადღება არავინ მიაქცია. იმიტომ, რომ ევროპაში, დღეს, გაევროპებული მუსულმანი არაა ჩასული. 40 გრადუსიან სიცხეში ისევ გრძელი კაბა მოსავთ, ჯინსიც კი არ ჩაიცვეს, არც თმის ვარცხნილობას იცვლიან, სალონებში საერლაპარაკებოდა, ულიმოდა, ბარაკ ობამაც კი შეხვდა. აი, ესაა მთავარი შედეგი.

მოსკოვში პარიზის მსგავსი რამ რომ მოხდეს, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ ამის შედეგი ის იქნება, რომ რუსი მოსახლეობა, პუტინის გარშემო, კიდევ უფრო შეიკვრება და გაერთიანდება.

გარდა ამისა, რუსეთს თავისი ბრძოლის მეთოდები აქვს. ევროპელებს ხომ ხედავთ რას აკეთებენ — გამოდის „ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი და ამბობს, ტერორისტს არ ესროლოთო. პუტინმა კი, ალბათ, გახსოვთ რა დღე დააყარა თავის დროზე ჩეჩნებს, როგორ აქცია გროზნო მკვდარ ქალაქად.

**— ბატონო სოსო, ცოტა ხნის წინ საინტერესო კითხვა დასვით — როგორ ევროპაში შევდივართო. ჩვენ რა გზა უნდა ავირჩიოთ, სად არის ჩვენი ხსნა?**

— დაწყებული, თავისუფლების მოპოვების, პირველივე დღიდან დღემდე დამთავრებული, ეროვნული უმცირესობები, ძირითადად, აზერბაიჯანელები, ყველას არჩევნების დღეს ახსენდება, ჩაივლის ეს პროცესი და მორჩა, ისინი უკვე აღარავის ახსოვს. აი, ესაა ჩვენთვის მთავარი, რა გაკვეთილს გამოვიტანთ. საფრანგეთის ტერაქტს რომ მივუბრუნდეთ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია მათ სამხედრო ან პროფესიული დახმარება აღმოვუჩინოთ — ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო. ჩვენ, მხოლოდ მორალური მხარდაჭერა შეგვიძლია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც სხვის შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ. რაც ფრანგებმა, ინგლისელებმა, თუნდაც, ამერიკელებმა 11 სექტემბრის ტერაქტისას შეცდომები დაუშვეს, ამაზე უნდა ვისწავლოთ. მაგრამ ვსწავლობთ?

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**

# ტერორისტული მარყუჟი საქართველოს ყელზე

9 gv.

ფრთხილად უნდა გაიაროს ეს გზა, რათა ნაკლებად შეგვეხოს ის, რაც გარდაუვალია.

დღეს მსოფლიოს ლიდერები ერთი იდეის გარშემო გაერთიანდნენ და მესამე მსოფლიო ომის მასშტაბებს მხოლოდ ამით თუ ავიცილებთ. მსოფლიოს მეგასახელმწიფოები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ რუსეთის ხელისუფლებას მწვანე შუქი აუნთონ ტერორიზმთან ბრძოლაში, თავადაც მიეხმარონ და პარალელურად რუსეთს მოუხსნან ის სანქციები, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დაუწესეს. გასაკვირია ის, რომ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი მეზობელი თურქეთის რესპუბლიკა ფეხს ითრევს, არადა, სწორედ იმ ნატოს შემადგენლობაშია თურქეთი, რომელშიც საქართველო ასე ძალუმად მიისწრაფვის. თურქეთის ინტერესები და თქვენ წარმოიდგინეთ, მუქარაც კი, რუსეთის წინააღმდეგ ექსპერტებში გაოცებას იწვევს, თუმცალა რა არის გასაკვირი?!.. მაშინ, როცა ვლადიმერ პუტინმა სწორედაც რომ თურქეთი დაადანაშაულა ისლამური სახელმწიფოს ფინანსურ დონორობაში და არა მხოლოდ ფინანსურში, არამედ იარაღის მიწოდებაშიც?

გასაგებია, რომ თურქეთის ხელისუფლება ისლამური სახელმწიფოსგან იაფ ნავთობს იღებს და მხოლოდ ამ გზით ნაშოვნი მილიონების თვლაც მოსწონს, მაგრამ იმ მილიონების ნაწილს ჩვენთან, აჭარაში და დანარჩენ საქართველოშიც რომ უკეთებდა რეალიზაციას, კერძოდ კი, მეჩეთების მშენებლობასა და თურქეთის მოქალაქეების აჭარაში ჩასახლების სპეცოპერაციას ხელმძღვანელობდა, გასაგებია, მაგრამ ამავდროულად, სააკაშვილის ხელისუფლებამ და პირადად მან რომ 3500 გაურკვეველი წარმომავლობის თურქი ჩაგვიწერა საქართველოს მოქალაქეებად, ახლა ძნელი ამოსახსნელია რა ინტერესებს ემსახურებოდა?!..

რუსეთის ხელისუფლება ამბობს და არც მალავს, ჩემი სახელმწიფო საზღვარი ასე იწოდება — „რუსეთ-თურქეთის საზღვარი" და გულისხმობს სამხრეთის მიმართულებით რუსეთის საზღვრებს. მაშ, ჩვენ როგორც სახელმწიფო და ტერიტორია, განა სახელმწიფოა საქართველო მაშინ, როცა მთელი მსოფლიო ტერორიზმს ომს უცხადებს და აქ, თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მსოფლიოში აღიარებული ტერორისტი ბასაევი ლოგინში ნებივრობდა?!.. ეს ყველაფერი ხომ „რუსთავი-2"-ის ეთერით, როგორც ექსკლუზიური კადრები, ისე ნახა მსოფლიომ? ანდა გილაევს რა უნდოდა აქ, რომელსაც მაშინდელმა ხელისუფლებამ კავკასიონის მთები დაალაშქრინა და ამ კადრებმაც მთელი მსოფლიო მოიარა!.. მთელმა მსოფლიომ იცის ის ამბავი, რომ პანკისის ხეობიდან წასული ვაჰაბიტი ახალგაზრდები არიან ისლამური სახელმწიფოს ტერორისტთა თვალსაჩინო ლიდერები და ბატონებო, რა გამოდის, თურმე ტერორისტთა თავშესაფრად ქცეული ქვეყანა ვართ?!.. ჰოდა, თუ ვართ, მაშინ ჩვენს ე.წ. პოლიტოლოგებს და აგრეთვე ე.წ. პოლიტიკოსებს აღარ უნდათ სილაში თავის ჩარგვა და იმის მტკიცება, რომ საქართველოს საფრთხე ამ თვალსაზრისით არ ემუქრებაო!!! ემუქრება ბატონებო, ემუქრება თუნდაც იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა ის რუქა და ის ინტერნეტმუქარა, რომელზეც საქართველო „გურჯისტანის ვილაიეთად" არის შემოხაზული და რადგან შემოხაზულია და რაღაც ფორმით უეჭველად იქნება ის, რაც კარგა ხნით ადრე დაწერილია და სისრულეში მოყვანის დროს და მომენტს ელოდება!..

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ რუსეთის პრეზიდენტს კითხვით მიმართა, — როდის გახსნის რუსეთის სახელმწიფო საქართველოს მოსახლეობისათვის საზღვრებს და უვიზო მიმოსვლა ჩვენს ორ ქვეყანას შორის როდის აღდგებაო?!.. რაზედაც მისმა უწმინდესობამ ვლადიმერ პუტინისგან ასეთი პასუხი მიიღო: ახლა მაგის დრო არ არის, ჯერ ადრეა და გავხსნით მაშინ, როცა ტერორიზმის საფრთხეს აღმოვფხვრით საქართველოშიო!..

ძვირფასო მკითხველო და საქართველოს მოსახლეობავ, ესე იგი რა გამოდის? გამოდის ის, რომ ჩვენ გვეუბნებიან იმას, რის დამალვასაც ასე ვცდილობთ?!.. თუმცა, რატომ ვცდილობთ, ჩვენ ღიად ვაჩვენეთ მთელ მსოფლიოს ჩვენი ტელევიზიების საშუალებით ტერორიზმის ხელშეწყობა და კიდევ ვიმეორებ, — ცინიზმის, უტიფრობის




და არაპროფესიონალიზმის მწვერვალი იყო თუნდაც „რუსთავი-2"-ის მიერ ნაჩვენები ბასაევის ნებივრობა თბილისის „რესპუბლიკურ საავადმყოფოში"!!!

მოდის, არ ვარსებობთ?!.. რასაკვირველია, არ ვარსებობთ, რადგან ეს ქვეყანა მხოლოდ არჩევნებიდან არჩევნებამდე იწოდება სახელმწიფოდ, ეს ქვეყანა მხოლოდ მაშინ ხდება საინტერესო, როცა რელიგიურ თუ სამხედრო თემაზე პანკისის ხეობის პრობლემა იჩენს თავს და ანდა მაშინ, როცა ბუნებრივი კატაკლიზმები და ომებია გაჩაღებული... ამ მხრივ საქართველოს არავის სახელმწიფოდ არ განიხილავს და სასაცილოა ის კლოუნადაც, რომელიც ევროკავშირში და ნატოში ვითომც და გასაწევრიანებლად ამდენი წელია და დასასრული კიდევ ერთი საუკუნე არ ექნება.

წინ რთული და დაძაბული ვითარება აქვს ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას, ისეთ გზაგასაყარზე ვდგავართ, როგორც ზღაპრებშია — მარჯვნივ წახვალ მოკვდები, მარცხნივ წახვალ მოგკლავენ და თუ წინ წახვალ, გადაიჩეხებიო... ჰოდა, ახლა საკითხავი ისაა, რა გზას დაადგეს საქართველო, რომ გადარჩეს!!!

**ირინე გოგოსაშვილი**
**555 25 43 35**




# ტერორიზმი ქართულად

## „ნაცმოძრაობა" — ტერორისტული ორგანიზაციაა, ხოლო მიხეილ სააკაშვილი — ქართველი ბენ ლადენი?

ბოლო დროს, როგორც მსოფლიოში, ისე კონკრეტულად საქართველოში, აქტუალურია ტერორიზმზე საუბარი, თუმცა მიზეზთა გამო არავის უნდა მოაგონდეს, რომ საქართველოსაც ჰყავდა და ჰყავს საკუთარი ტერორისტები, რომლებიც ისევე არიან შეფუთული „ვიღაცის" მიერ, როგორც „ისლამური სახელმწიფო" იყო შეფუთული ბოლო დრომდე, როგორც „ალ-ქაიდა", როგორც ცალკე, ბენ ლადენი და ა.შ მეტ-ნაკლებად სისხლისღვრის მოყვარე პირები თუ ორგანიზაციები.

რაგინდ უცნაურად ჩანდეს, 1986 წლის მოკლე პოლიტიკურ ლექსიკონში ჯერ კიდევ არ არის შესული ტერმინი „ტერორიზმის" განმარტება, მაგრამ უკვე 1989 წლის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში" ვკითხულობთ, რომ „ტერორი" ლათინური სიტყვა — შიში, საშინელება და პოლიტიკურ და კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ანგარიშსწორება ყოფილა ძალადობით (მოკვლითაც კი);

ტერორიზება — ტერორით, ძალადობით დაშინება;

ტერორიზმი — ტერორის პოლიტიკა და ტაქტიკა;

ტერორისტი — ინდივიდუალური ტერორის აქტის მომხრე და მონაწილე.

რომელი განმარტება არ ესადაგება იმას და იმათ, ვინც 2003 წელს ე.წ „ვარდების რევოლუცია" მოუწყო საქართველოს და 2012 წლამდე საკუთარი განუკითხაობა ჰქონდა მოწყობილი ციხეებსა თუ ციხის გარეთ ე.წ დემოკრატიიის სახელით?

ძალადობა და დაშინება, ინდივიდუალური ტერორის აქტის მომხრე, პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გამსწორებელი, მონაწილე და მომწოდებელი იმდენი იყო ქვეყნის პრეზიდენტის მეთაურობით „ნულოვანი ტოლერანტობა! ყველანი ციხეში!" სათვალავი აირია... იყო, ერთია და არსად რომ არ წასულა ის ხალხი და აქვე არიან — მეორე! ორიოსამი კინკილა კაცია სადღაც გაბნეული და ისიც იმათივე „კეთილი ნებით", ვინც შექმნა ისინი — ნებისმიერი ქვეყნის ასეთი გაუგონარი მასხრად აგდება გაგონილა? ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა ვართ თუ მართლა აშშ-ის მიერ თავსლაფდასხმული ერთი უბადრუკი კოლონია? რა გვაქვს ამისთანა იმ ვითომდა მეგობარი ქვეყნის ვალი, რომ ველარ ამოვსულვართ?

ერთია, როდესაც უცხო ქვეყნაში კონკრეტული მისიით შექმნილი დახურული ტერორისტული ორგანიზაცია ტერორისტულ აქტს (აქტებს) აწყობს რომელიმე ქვეყნაში, არ აქვს მნიშვნელობა, შურისძიების მიზნით, დაშინების თუ სხვა, მაგრამ როდესაც ხელისუფლება გამუდმებით უწყობს ტერორს საკუთარ ხალხს, შედარებისთვის, რომელი უფრო დაუნდობელი და საშიში ტერორისტია?

დღეს საუბარია, რომ პარიზში ტერაქტების მრავლაფეროვნება — მძევლების აყვანა, სადღაც შეჭრა, უმისამართო სროლები მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართულებით და ა.შ სწორედ შიშის დანერგვას ემსახურებოდა — სხვა მიზანი და გამოვლენის ფორმები არც სააკაშვილის ხელისუფლების ტერორისტებს ჰქონდათ, ყველა შემთხვევას რა ჩამოთვლის, მაგრამ აბა, წამიერად გადავავლოთ თვალი, რაც უცბად გაგვახსენდება — და დაასადგურეს კიდეც შიში.

უცხო ქვეყნის ტერორისტული ორგანიზაციის წევრებმა თუ რომელიმე ქვეყნის ერთი მედია-საშუალების ჟურნალისტები დახოცეს ღიად, საქართველოს ტერორისტმა ხელისუფლებამ „ცალობით" მიითვალა, ვინც იგუმანა რა ელოდა, მოასწრო — გაასწრო;

პირველები თუ სხვა ქვეყნის რომელიმე თავშეყრის ადგილას შევარდებიან ხოლმე და მძევლები აყავთ, მეორენი ყველგან ვარდებოდნენ და მძევლები მათ რომ ჰყავდათ აყვანილი, ისე და იმდენი უნდა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პირველებს კონკრეტული, ჩამოყალიბებულ შურისძიებასთან ერთად ნაზავი მიზანი აქვთ, ქართველ ტერორისტებს მხოლოდ შიშის დათესვა და სრულიად საქართველოს ქონების საკუთარ ყულაბაში ჩაძახება ჰქონდათ, ამის გამო წირავდნენ საკუთარ მოქალაქეებს, საკუთარ სისხლსა და ხორცს;

საქართველოს უდანაშაულო მოქალაქეების ქუჩაში (და საკუთარ სახლებში) დახოცვის სტატისკა აჩვენებს, რომ ტერორისტებისგან განსხვავებული არც ამ





მხრივ ჰქონდათ დიდი სხვაობა სააკაშვილის ტერორისტულ ქვედანაყოფებს, არ აქვს მნიშვნელობა ცალკეული რიგითი პოლიციელები იყვნენ, პოლიციის რაზმი, სამხედრო თუ სპეცდანიშნულების — რომელი ერთი უნდა თქვა...

ტერორი — შიში, საშინელება და პოლიტიკურ და კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ანგარიშსწორება ყოფილა ძალადობით (მოკვლითაც კი); რაც სააკაშვილის ტერორისტ ხელისუფლებას სწორედ ამ ნიშნით ჰყავს ნადევნი მშვიდობიანი მომიტინგეები, მოწამლული, გატაცებული, ნაწამები, ზოგნი სადღაც შემოდებული, ზოგნი — ღიად ჩაცხრილული — რომელი ერთი შემთხვევა გავიხსენოთ, რომელი ერთი თვის და ერთი რიცხვი...

თითქოს უკვირთ, მუსლიმანურ ექსტრემისტულ დაჯგუფებებში კარგად გაწვრთნილი პროფესიონალი სამხედროები და სპეცდანიშნულებით მომზადებული ადამიანები არიანო — სააკაშვილის ტერორისტულ ხელისუფლებასაც კარგად გაწვრთნილი შემსრულებლები ჰყავდა, ნარჩევ-ნარჩევი ტალიკ-ტალიკა ბიჭები, აშშ-ის „სკოლებში" გამოწვრთნილი და კიდევ, სიხეებში მოწყობილი სასაკალაოები, ისიც ამერიკული გაიდლაინებით მოქმედი...

„ჩავწვდით ამერიკის სულს", თან ისე ძლიერ, რომ სული ვეღარ მოგვითქვამს და აღარ კმარა? ორ დღეში ერთხელ მაინც გვესმის რას ბაასობენ ჩვენი ვითომ ძებნილები და მეგობარი ქვეყნის „ძიები", ვკითხულობთ და ვშფოთავთ, დანარჩენი, ვითომ არაფერი ხდება. იქით, რაღაც პროვოკაციულ განცხადებებს აცხობენ ცალკეული მინისტრები; იმის იქით — უცნაური მოწოდებები გაისმის, რა ხდება, ვის უნდა ამ ისედაც ერთი ციდა საქართველოს აალება?

გასაგებია, ტერორიზმი ვიღაცისთვის მხოლოდ პირდაპირ კაცისკვლასთან ასოცირდება, მაგრამ რეალურად ხომ ფორმები აქვს ტერორიზმს? მეტი ტერორი და ტერორიზმი რაღა უნდა ვინმეს, როცა ქვეყნის მმართველობაში ის ხალხია, ვისი პარტიაც საკუთარი ხალხის ტერორშია ხელდადებული (ლამაზად, ეჭვმიტანილი რომ ჰქვია) და კიდევ არ ისვენებენ, აგრძელებენ ღია მუქარას? აშშ-ის ადმინისტრაცია უკვე აღარც კი ინილბება, თითის ავისმომაწავებლად გაშკვერით მოგვითითებს, დიახ, იგივენი (ქართველი ტერორისტები) უნდა დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, ჩვენ ასე გვინდა (გვაწყობს!), არადა, თქვენი აჯობებსო. როგორ გავიგოთ, რატომ არ გაუგრძელეს უფლებასილებაქაშშ-ის წინა ელჩს, მოსალმება რომ ვერ მოასწრო და უკვე გამოგვემშიდობა, მოკრძალებული გამოდგა, იან კელი კი უფრო შემტევია, ჯერ არ მოსულა და უკვე კატეგორიულ ბრძანებებს იძლევა დიპლომატიური ენით?

რატომ არ მიაჩნია ტერორიზმთან ე.წ მებრძოლ დასავლეთის დიპკორპუსს, უპირველესად კი აშშ-ის ელჩს „რუსთავი-2-ის" გენდირექტორის, ცრუ სერიალების რეჟისორის, ნაპროკურორალ გვარამიასა და მრავალ დანაშაულში ეჭვმიტანილი ნაპრეზიდენტალი სააკაშვილის საუბარი სისხლისღვრის მოწყობაზე ტერორისტულ განზრახვად? ვინმე მომღერალთან იგივე სისხლიან აქტზე საუბარი თუ სხვა დანარჩენებთან ასევე, ცემა, ჟეჟვა, თავ-პირის დასისხლიანება, ბარიკადები თუ თუნდაც ერთი ბავშვიანი ქალის სიკვდილის მოწყობა? ვინ აქვეყნებს ამ საუბრებს ისაა გასარკვევი თუ ძებნილების საუბრების მიზანი?

ვის აინტერესებს სიმართლე და ტერორიზმის გამოვლენა, თორემ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლო არ იქნებოდა ტერორში! ტერორშია, აბა, რაშია, როცა იმ პარტიის გავლენის ქვეშაა, რომელიც ეჭვმიტანილია საკუთარი ხალხის ტერორში? მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლო? იგივე გვარამია არ ბრძანებდა, დიახაც, მოვახდენთ ზეწოლას სასამართლოზეო? უკრაინის რომელიღაც საუნის ჩანაწერებიდან არ გავიგეთ გვარები, რომელსაც ქვეყნიდან გაქცეული (თუ მავანთა მიერ გაპარებული?) ზურაბ ადეიშვილი ურაკრაკებდა ასევე ქვეყნიდან მშვიდად „გაფრენილ" მეორე ძებნილს, სააკაშვილს, სასამართლოები ჩვენიაო?

ქვეყანაში, სადაც სასამართლო ტერორშია და ცნობილია ვისგან და რა ხერხებით, კიდევ საკითხავია ვინ არიან ტერორისტები? ლამაზი სიტყვებია, რომ დამოუკიდებელი სასამართლო გვაქვს, თორემ ამ სიტყვების მთქმელსაც არ სჯერა, ალბათ, არათუ ხალხს...

იმავე „საუნის საუბრებში" ნახსენები იყო ქალბატონი ნინო გვენეტაძის (უზენაესი სასამართლოს თამჯდომარის) გვარ-სახელიც, მოკლე აზრით, მაგასაც მოვუვლითო. უვლიან თუ ვერა, ფაქტი ერთია, რომ სასამართლო სისტემა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე — სიმაღლეს ვინ ჩივის, ფიგურალურად დგას... შენობები

13 gv.

ამას წინათ სოციალური ქსელის ჩემს გვერდზე ჩემმა ძველმა ნაცნობმა, რომელიც მუსულმანური სარწმუნოებისაა და ამჟამად თურქეთში ცხოვრობს, ისეთი პროვოკაციული ინფორმაცია გაავრცელა, თავი სიზმარში მეგონა.

თუმცა, თქვენ წარმოიდგინეთ, სიზმარი ნამდვილად არ არის ის, რაც მან საქართველოს მომავალი პერსპექტივისთვის დახატა.

*„სულ მალე აჭარაში და სამცხე-ჯავახეთში თურქული წითელი დროშა აფრიალდება თავისი მთვარით და ვარსკვლავით გაბრწყინებული. ამაში ეჭვი არავის შეეპაროს.*

*2023 წელს თურქეთის სახელმწიფო ბოლომდე გაშლის ფრთებს. საქართველო მის საზღვრებში მოექცევა, ასევე სირია, ყირიმი, ყაზახეთი, თურქმენეთი და ა.შ. დიდი ოსმალური სახელმწიფო შეიქმნება. ოსმალური სახელმწიფო მსოფლიოს მმართველად მოგვევლინება.* ***ლოზანის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ყველა ვალდებულებას ჩამოიხსნის თურქეთი, ნატოს შემადგენლობიდან გამოსვლის საკითხს დააყენებს,*** *რადგან მშვენივრად ხვდება რუსეთის, ირანის და ევროკავშირის მისწრაფებებს ტერორისტული აქტებითა და ქურთული პროვოკაციებით რომ დაასუსტონ თურქეთის სახელმწიფო, ლოზანის ხელშეკრულება კვლავ ძალაში რომ დარჩეს 2023 წლის შემდეგაცო. თურქები ბრძოლისთვის მზად არიან.*

*შიდა პოლიტიკური ბალანსი უკვე ისეთ დონეზე აქვთ, რომ თურქულ პოლიტიკურ ძალებს შორის არსებობს კონსოლიდაცია 2023 წლის სტრატეგიის განხორციელებისთვის.*

*რაც შეეხება თურქულ საზოგადოებას, ის ინფორმირებულია და მზადაა მოითმინოს 2023 წლამდე, ოსმალეთის დიდი იმპერიის შექმნამდე.*

***ჩვენ ევროპას დავაჩოქებთ, რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან დავჯდებით, რაც შეეხება საქართველოს. ის დარჩება იმ საზღვრებში, რაც მას ეკუთვნის. ახალციხე, აჭარა უპირობოდ თურქეთისაა, დანარჩენი, მოლაპარაკების თემააო“,*** — განაცხადა ჩემმა ნახევრად თურქმა ნაცნობმა.

ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი აცნობიერებს იმ საშიშროებებს, რასაც 9 წლის განმავლობაში ხელისუფლება ახორციელებდა აჭარის ვითომდა „გათავისუფლების“ შემდეგ, მას მერე, რაც აჭარის ლომად წოდებული ასლან-ბაბუ, აბაშიძე, განდევნეს იქედან. მართალია, მაშინ იმასაც ამბობდნენ, აჭარა მიშა სააკაშვილს გარკვეული გასამრჯელოს ფასად დაათმობინეს რუსეთისა და თურქეთის მოლაპარაკების შედეგადო, მაგრამ ფაქტია, რომ თურქეთმა აჭარის რეგიონში ფეხის მოკიდებით დაიწყო იმპერიალისტური მიზნების განხორციელება კავკასიის რეგიონში.

რაც „აჭარა გათავისუფლდა“, მას შემდეგ გაფორმდა უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულება თურქეთთან. მოხდა თავისუფალი ვაჭრობის ლეგალიზაცია — ქართველი ქალი ყველაზე მოთხოვნადი „საქონელი“ გახდა თურქულ სექსინდუსტრიაში და თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე, ქართველი მამაკაცებიც სასურველი სექსპარტნიორები ყოფილან — ამბობენ, ძალიან ძვირად ფასობენო...

თავის დროზე, როცა ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთ-თურქეთს შორის შეთანხმება დაიდო, აჭარა რუსებს „გადაეცა“, ქართული მოსახლეობა გადაურჩა გათურქებას, ენის, სარწმუნოების, ანუ თვითმყოფადობის განადგურებას.

დღეს მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში თურქეთის სახელმწიფო გარკვეულ და კონკრეტულ როლს თამაშობს. მან მკვეთრი ნახტომი გააკეთა ბოლო წლებში და გლობალური პოლიტიკის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. გამოიკვეთა მისი მიდგომები ნატოსა და ევროკავშირის მიმართ მაშინ, როცა საქართველო იგივე რიტორიკას აგრძელებს და არათუ ფრთხილობს, ყბადაღებული (უკაცრავად, პირდაღებული არ ვთქვი) გაჰყვირის — თურქეთი ჩემი მეგობარიაო. სწორედ ისე, ქალბატონი მეგი გოცირიძე რომ იჭაჭება — მიშა მაგარია, მიშა ჩემი მეგობარიაო. როგორც მიშაა მეგის მეგობარი, ისეა თურქეთი საქართველოს მეგობარი. მაგრამ მოვეშვათ მართლა, მოვასვენოთ პოლიტიკურ საფლავში ქართველთა წყევლით ისედაც შეშლილი მიშა სააკაშვილი და იმას მივხედოთ, თურქეთის ლიდერი **რეჯებ თაიფ ერდოგანი,** მსოფლიოში ნეოოსმანიზმის იდეის პროპაგანდით რომ არის შეპყრობილი, ხოლო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ახმედ დავითოღლუ** რომ აცხადებს — დღევანდელი თურქეთი განისაზღვრება ისტორიული წარსულით, ანუ ის უნდა არსებობდეს იმ ფარგლებში, როგორშიც ადრე ოტომანთა იმპერიაო.

პანთურქიზმი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობაა თურქეთში (რომ იცოდეთ, აზერბაიჯანშიც). სწორედ ამაზე საუბრობდა, ალბათ, ჩემი მუსულმანი მეგობარი სოციალურ ქსელში, როცა ლაპარაკობდა, თურქული საზოგადოებაც მზად არის ხელისუფლების რადიკალურ ნაბიჯებს შეუერთდესო.

პანთურქიზმის იდეა თურქულენოვანი ხალხების კულტურულ და პოლიტიკურ ერთობას ნიშნავს ერთი დიდი სახელმწიფოს ფარგლებში.

ამ მიმართულების ერთ-ერთი იდეოლოგი, ყირიმელი თათარი გასპარლი მიიჩნევს, რომ უნდა ჩამოყალიბდეს „ერთობა ენაში, აზროვნებასა და ქმედებაში“.

როგორც ამბობენ, პანთურქული კონცეფციით, ოსმალთა დიდი იმპერია მოიცავს ბალკანეთს ყირიმამდე და აღმოსავლეთ ციმბირს ჩინეთამდე. ამ კონცეფციას ეწოდება „დიდი თურანის“ სტრატეგია, ანუ ნეოოსმანიზმი, რომელიც ოფიციალურად არის დეკლარირებული ამჟამინდელი მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ.

**ტერიტორიის ნაწილი, თურქეთის ვარაუდით, უნდა იყოს მთლიანი კავკასია.**

რაც შეეხება საქართველოს, ის თურქეთისა და ამერიკის პოლიტიკური თამაშების პაიკია გუშინდელი დღიდან დღევანდლამდე. **ამერიკას ის სჭირდება საყრდენად კასპიის აუზში და ცდილობს სატრანზიტო დერეფნად კვლავ გამოიყენოს და ხელი შეუშალოს რუსეთისა და ჩინეთის „აბრეშუმის გზის“ პროექტის განხორციელებას საქართველოს ტერიტორიის გავლით.**

აქ ემთხვევა აშშ-თურქეთის ინტერესები, მანამ, სანამ ჩემი ნაცნობის მიერ ზემოთ ნახსენებ ლოზანის ხელშეკრულებას ვადა გაუვა...

ჯერ კიდევ საკითხავია, ამ ხელშეკრულებას, საერთოდ, ვადა გასდის თუ არა, როგორც ყარსის ხელშეკრულებაზე ატეხეს ერთი ამბავი, ვადა გასდის, ვადა გასდისო და სინამდვილეში, როგორც პოლიტოლოგებმა შემდეგ მითხრეს, არავითარი ვადა არ ჰქონია ყარსის ხელშეკრულებას.

მოკლედ ლოზანის შეთანხმებაზეც გეტყვით ბარემ.

1923 წელს ლოზანაში შედგა კონფერენცია, რომელიც ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის სტაბილიზაციას ისახავდა მიზნად.

ლოზანის კონვენციის თანახმად, სრუტეების ზონის დემილიტარიზაცია, ყველა ქვეყნის სავაჭრო და სამხედრო გემების თავისუფალი ნაოსნობა უნდა განხორციელებულიყო, რაც არასტაბილურ პირობებს ქმნიდა შავი ზღვის ქვეყნებისთვის...




**„ისლამური სახელმწიფოს“ გეგმებში ევროპასთან ერთად საქართველოც შედის**

# „სულ მალე აჭარაში და სამცხე-ჯავახეთში თურქული დროშა აფრიალდება...“




რუსეთმა ლოზანის კონფერენციის რატიფიცირებაზე მაშინ უარი თქვა...

საქართველომ გასული საუკუნის ბოლოს ჟივილ-ხივილით უარი უთხრა რუსეთის იმპერიის ნაწილად ყოფნას და აშშ-ის მძლავრ და გულგრილ მკლავებში დაიწყო „სასიამოვნო“ ფართხალი.

ახლა ნელ-ნელა ოსმანთა იმპერია აპირებს ჩვენი, ამ პატარა, დაუძლურებული, პირადი და კერძო ინტერესებისთვის თავგანწირული ხალხის ლამაზი ქვეყნის — საქართველოს გადასროლას მუსულმანურ სტომაქში.

ამ „სტომაქში“ უკვე „დევს“ საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი, და როგორც ზემოთაც ვთქვი, სქესობრივი მრავალფეროვნების გამოცდილებასაც ვეუფლებით და მორალსა და ზნეობასაც ვუმორჩილებთ თურქეთს.

დღესდღეობით აჭარაში 200-მდე მეჩეთი უკვე არსებობს. აჭარის მთიან სოფლებში რამდენიმე მედრესეც არის გახსნილი, სადაც ყურანის სურებს აზეპირებინებენ აჭარელ პატარებს.

თურქი ბავშვების სასწავლო სახელმძღვანელოებში კი თურქეთის გეოგრაფიულ საზღვრებში მთელი აჭარა ბათუმის ჩათვლით თურქულ ტერიტორიად არის მონიშნული.

თურქები მოხარულნი არიან, თუ თურქი მესხები საქართველოში ჩამოსახლდებიან, რაც კიდევ უფრო გაამრავლებს მუსულმანური სარწმუნოების მიმდევართა რიცხვს საქართველოში და მეტი მეჩეთისა და მედრესეს აშენება გახდება აუცილებელი.

სანამ ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი სომხური გენოციდის აღიარების საკითხს უფრო პრინციპულად დააყენებს, რაც თურქეთის სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია, მანამდე თურქულ-მუსულმანური აგრესია ქრონიკული სიმპტომებით ვინმე **ჭაღალიძის** პირით გვაფრთხილებს — დაგაჩოქებთო, ხოლო გურჯისტანის ვილაიეთის არსებობა არა და არ უნდა რომ დაიჯეროს ჩვენმა ხელისუფლებამ.

სოციალურ ქსელში კი კარგა

ხანია არსებობს ალ-ყაიდას მსგავსი ისლამისტური ბანდა, რომელიც თავისი რიგებისთვის ახალგაზრდა, დაბალი განათლების დონის მქონე მაჰმადიანებს აგროვებს იატაკქვეშა ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებებისთვის. თურქეთის მოქალაქე, ვინმე **თაჯუდინ ალ-ბაიბურთი,** რომელიც სარგებლობს თურქული სპეცსამსახურების მფარველობით, აქტიურად ამარაგებს აჭარის და პანკისის ახალგაზრდა მაჰმადიანებს ისლამისტურ-ვაჰაბისტური იდეოლოგიის შემცველი



ISIS–ის გზავნილი ქართველ ხალხს – სულ მალე დადგება თქვენი თავების დაჭრის დროც

ლიტერატურით, რის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაძლიერდეს ე.წ. „ისლამური ხალიფატის“ ბაზა.

ზემო აჭარაში და ბათუმში ათეულობით ახალგაზრდა უკვე აშკარად გულშემატკივრობს ISIS ტერორისტებს.

ვაჰაბისტების აჭარული კერის წევრები საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ნაწილზე თურქების ოცნების ასრულებით არიან დაკავებულნი, იმ თურქების, რომლებიც 1919 წელს გენერალმა მაზნიაშვილმა განდევნა აჭარიდან. სარფს გაღმა ბევრი გათურქებული "ქართველი" დევნილი სულმოუთმენლად ელის დაბრუნებას „მშობლიურ“ აჭარაში, მათთვის საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ არსებობს, რადგანაც თურქეთის სიმძლავრის იმედი აქვთ.

რადიკალური სუნიტური ტერორისტული ორგანიზაციის ISIS რიგებში უკვე არიან ქისტური წარმოშობის ახალგაზრდა მაჰმადიანები, რომლებიც იბრძვიან სირიაში და ერაყში.

ISIS-ს ქართული დაჯგუფება ჯერჯერობით შემოფარგლულია



აჭარის ტერიტორიით და ქისტი თანამოქალაქეების მეშვეობით თურქეთიდან პირდაპირ აღწევენ პანკისის ხეობამდე დუისში.

ამ საქმის სპეციალისტების მტკიცებით, **აჭარელი და პანკისელი ვაჰაბიტების უკან ჯონ მაკეინი დგას.**

**Huseyin Yusuf Rahim** – ***ვერ დაიცავით ქართველობა, ერთმანეთს დაერიეთ, ერთმანეთი მოატყუეთ, ერთმანეთი გააუპატიურეთ, ერთმანეთი გაყიდეთ, ერთობლივი და ბრძნული გადაწყვეტილებები ვერ მიიღეთ, ერთმანეთს გადააბიჯეთ, ერთმანეთს ლუკმა წაართვით და ერთმანეთს თავისუფლება წაართვით! აი, ეს გააკეთეთ და ნუღა მეწინააღმდეგებით ახლა!*** – მწერს ნაცნობი სოციალურ ქსელში.

მე კი ყოველთვის მაწუხებს აზრი, ვინ არის ხელისუფლება უცხო ქვეყნის თვალში, თუ არა ხალხის ნების გამოხატულება?!

როცა თურქეთის სახელმწიფო ინტერესებზე ვლაპარაკობთ, წარმოგვიდგება თურქი ხალხი, რომლებიც მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობს და სიზმრადაც ელანდებათ დიდი სულთანი სულეიმანი.

მაგრამ ვინ ვართ ჩვენ, ჩვენი პოლიტიკოსების ტყვეები, რომლებსაც გვეშინია საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმა და იმის აღიარება, რომ „ოკუპანტი“ რუსეთის მფარველობის ქვეშ ქვეყანა უფრო მშვიდი, სტაბილური და ერთიანი იყო, ვიდრე ახლა?!.

მე-19 ს-ის ბოლოს, რუსეთ-თურქეთის ომში, რა თქმა უნდა, რუსების მხარეს (!) ბაბუაჩემი აბესალომ კალანდაძეც მონაწილეობდა. ძველ საქალალდეში სადღაც არსებობს იმ ცხონებულის მართლაც ვაჟკაცი, ულვაშებდაწკეპილი გურული „ყაძახის“ ჩინ-მედლებით დამშვენებული ჩოხა-ახალუხიანი ფოტოსურათი.

ბუნდოვნად მახსოვს თვითონ, მაგრამ დღემდე ყურში ჩამესმის მისი ღიღინი: „უბედური ხასან-ფაშა ფთავმოჭრილი დევინახეო“.

ბაბუაჩემი წყნარად წევს ახლა მეწიეთის სოფლის სასაფლაოზე. მე კი მგონია, თუ საქართველო, ბოლოს და ბოლოს, გონივრულ პოლიტიკას არ აირჩევს, თითოეულ ჩვენგანს წყნარი საფლავიც არ გვეღირსება, ჩვენს საფლავებზე მეჩეთებს ააშენებენ და მუეძინის კივილი დააფრთხობს ჩვენს აფორიაქებულ სულებს...

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

# ტერორიზმი ქართულად

11 gv.



დგას... ე.წ მოსამართლეები დაყიალობენ შიგნით, მოსამართლის მანტიები მოუცვამთ... რა ენაღვლებათ, ისეა გათვლილი, ვადა რომ გაუვათ, ვერანაირ ურნაში ვერავინ გადააგდებთ, სულაც არ ეკითხება ეს საქმე იმავე ქალბატონ ნინოს!...

კვლავ იქ მივდივართ – სასამართლო ვიღაცის მიერ ტერორშია! პროკურატურა ტერორშია! ქვეყანაში, ის უწყები, ვინც სამართალი და სამართლიანობა უნდა დაამკვიდროს, ტერორშია და ამავდროულად კაცმა არ იცის ვინაა ტერორისტი... ან სულაც, ქართული ტერორიზმის „ფუძემდებელი“ – ასე ძალზე ბნელა? ამდენ ნერვების შლას, ხომ არ ჯობდა პირდაპირ აშშ-ის ელჩი დაგვენიშნა მთავარ მოსამართლედ, რომელიც ამავდროულად მთავარი პროკურორის ფუნქციებსაც შეითავსებდა, გვეცოდინებოდა რომ ასეა და დავწყნარდებოდით, პროტესტის გრძნობა მაინც ჩაგვინვლდებოდა, უცხო ქვეყნის წარმომადგენელ(ებ)ი ერევ(იან)ა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებშიო...

ვინც თორმეტი წლის უკან მეხსიერებასთან ჯანმრთელად იყო და არც ახლა უჩივის ამ მხრივ რაიმეს, ამავდროულად ერთგვარად მაინც აინტერესებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, აუცილებლად ემახსოვრება ამბები, რომელიც პირდაპირ ფსიქოლოგიურ ტერორში აქცევდა საზოგადოებას საინფორმაციო საშუალებიებით. პრესა და ტელევიზია ისე იყო გადასკვნილი ერთმანეთზე, აზრი არ იყო გაყოფილი – ინგრეოდა ქვეყანა თუ ე.წ „ახლაგაზრდა რეფორმატორები“ არ უშველიდნენ. რაც „უშველეს“ შემდგომში კი, ვიხილეთ და ვიწვნიეთ, მაგრამ თვით საქმის ვითარებაა საინტერესო – ტერორისტული!

„ახალგაზრდა რეფორმატორები“ ვინ იყვნენ, ვინც შემდგომში ერთმანეთი „გამოხშირეს“ მოკვდინებით ან სხვა ხრიკებით, ანუ შემდეგომში „ნაციონალები“, მაგრამ ხალხი? ხალხი ისე იყო დაშტერებული ფსიქოლოგიური ტერორით, კარგა ხანს უკრავდა ტაშს აშკარა ტერორს, უკრავდა და უხაროდა, რა კარგ ხმას გამოვცემო... მანამდე უკრა, სანამ საკუთარ თავზე არ შემოარტყმევინეს... მაინც ვერ ხვდებოდა კარგა ხანს სად მოხვდა, ჩააგონეს, ხეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივაო...

ახლა, თითზე ჩამოთვლა რომ დავიწყოთ ცალკეული ტერორისტული აქტისა, რაც ქართველმა ტერორისტებმა საკუთარ ხალხს უტარეს, არც თითები გვეყოფა და არც მეხსიერება, ამიტომ, თაროზე შემოდებული აღუდგენელი სამართლიანობა და სამართალი რომ თვითონ გამოუტანს განაჩენს მის ჩამხშობებს, არცთუ მცირე ნიშნები ჩანს.

ამდენი ნაციხარი, მოკლული, ნაწამები, ნაგვემი, ჯანმრთელობაშერყეული, ქონებაგაჩუქებული, ქონებაჩამორთმეული, „უბედური შემთხვევით“ ფეხდაცდენილი და საიქიოს გასტუმრებული – ეს ყველაფერი ამ პატარა ქვეყანაში, რა იყო, რა მოვლენასთან გვქონდა საქმე, რა ჰქვია, თუ არა ტერორი?

ერთგვარად უხერხულია გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილ ადამიანთა მოხსენიება უარყოფით კონტექსტში, მაგრამ რა ჩვენი ბრალია თუ ასე იყო – ადეიშვილი და სააკაშვილი ხომ არიან ცოცხლები და იჭყიპებიან სადღაც საუნაში ლუდით და „კრივეტკებით“ საქართველოში მორიგ სისხლისღვრას, მკვლელობებსა და სახელმწიფო გადატრიალებაზე საუბრისას – სახელმწიფო გადატრიალების



პირველი ღია მცდელობა **ეროსი კიწმარიშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** ბაასით დაიწყო, როდესაც „რუსთავი-2-ში“ უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები შევიდნენ ფინანსური დოკუმენტაციაში გარკვევის მიზნით. ერთმანეთის ინტერესები გადაკვეთეს, თორემ, თუნდაც მხოლოდ ეს ორი ადამიანი რომ ვახსენოთ, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალნენ?

**მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გივი თარგამაძე, გია ბარამიძე, ირაკლი ოქრუაშვილი, გიგა ბოკერია** და ა.შ ყველას რა ჩამოთვლის; „თავისუფლების ინსტიტუტი“, „საია“, „კმარა“, იმდროინდელი „რუსთავი-2-ელი“ ჟურნალისტები და არა მხოლოდ, გაზეთების, დღეს რომ ყელყელაობენ უმანკო სახით; ადვოკატები, პოლიციელები, სამხედრო პირები და ა.შ. ყველა ერთად და სხვადასხვა ფორმით ახდენდა ტერორს ხალხზე, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად და საბოლოოდ გადაიმხეს კიდეც ქვეყანა...

დღეს კიდევ უფრო ადვილია უკვე ნაცადი ტერორიზმის გაგრძელება, რადგან გამოცდილგაქნილი ქართველი ტერორისტები გაიზარდნენ, ათასგვარი ქურქი შემოიცვეს. ზოგი პარლამენტარია, ზოგი – უფლებადამცველი, ზოგი – მინისტრი და ა.შ ყველას ხელისუფლების რომელიღაც რგოლი აბარია, ანუ მზად ყოფნა აქვთ... ვინც მთლად ხელისგულზე დადებული იყო, როგორც დანაშაულებრივი სისტემის შემქნელ-იდეოლოგ-აღმასრულებელ-მბრძანებელი, ისეთი მფარველი ჰყავთ, უბატონოდ ხმა არ გაეცემათ და ვართ ასე დგანდგარში, გაურკვეველი დღის გათენების მოლოდინში.

ვიღაც იკითხავს, როდესაც შეიარაღებული კაცი (კაცები) მოდის მოსაკლავად, კეტს მაინც წამოავლებ ხელს, მაგრამ როცა კანონით გამოსკვნილი მარყუჟით გიჭერენ ყელში და სრული თავისუფლება აქვს მიცემული ყველანაირი მხრიდან დემოკრატიის სახელით, რა უნდა გააწყოო? – ხმა უნდა ამოიღოს ერმა, ხმა!

როდესაც ამდენი ჩანაწერი გამოქვეყნდა, სადაც ძებნილი პირები თანამოაზრეებად, ზოგ შემთხვევაში კი საიმედო საყრდენად ასახელებენ კონკრეტულ პირებს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს თავდაცვის მინისტრს (საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის გვარ-სახელიც რომ საეჭვო კონტექსტში ფიგურირებს?) და აღნიშნული პირები თანამეცხედრეებიც არიან, კიდევ იტყვის ვინმე რომ საქართველოში ტერორიზმი არ ყოფილა მისი ყველა ნიშნით და არც იმის მონაცემებია, რომ ვიღაცამ „რაღაც ხრიკებით“ (ვითომ, არ ვიცით?) მხოლოდ ჩაანაცვლა ერთი ბოროტება მეორე ბოროტებით?

**გიორგი ჩხეიძე**

**როგორც პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ეკონომისტი დავით გაგნიძე „საერთო გაზეთთან“ ინტერვიუში აცხადებს, საქართველოს დამოუკიდებლობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რადგან ეროვნულ ხელისუფლებას არავითარი ეკონომიკური ბერკეტი არ გააჩნდა. ანალოგიური ვითარება ყოფილა დანარჩენ 13 მოკავშირე რესპუბლიკაშიც, კრემლმა ყველაფერი გააკეთა, რომ ისინი რუსეთზე დამოკიდებული ყოფილიყვნენ.**



# დავით გაგნიძე:

# ბიძინა ივანიშვილი მართლაც ნიჭიერი და ჭკვიანი ადამიანი ყოფილა — მშვიდად, დავიდარაბის გარეშე ყველას გამოავლენინა, ყველას გააშიფრინა საკუთარი თავი — პოლიტიკოსებსაც, მედიასაც, არასამთავრობოებსაც

**დავით გაგნიძე:** „ჩვენ პრობლემები სათავეს არა 90-იანი წლების დასაწყისიდან, არამედ გაცილებით ადრე 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან იღებს, თუმცა საქართველოს ხელისუფლებებმაც შეგნებულად თუ შეუგნებლად ამ ყველაფერს ხელი შეუწყეს“. 70-იანი წლებიდან ცენტრალური ხელისუფლება აღარ ანვითარებდა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკას, კერძოდ, ინდუსტრიას, რაც სპეციალურად კეთდებოდა. იმ პერიოდში საქართველოში მხოლოდ „აგრეგატი“ და კიდევ რაღაც მცირე ქარხანა აშენდა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყველა დანარჩენი წარმოება მოძველებული დანადგარებით იყო აღჭურვილი და შეგნებულად არ ხდებოდა მათი გადაიარაღება. „აგრეგატის“ საგეგმო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გახლდით და კარგად ვიცი, რაც ხდებოდა ამ სფეროში. საბჭოთა კავშირის მთელი სახსრები რუსეთის განსავითარებლად იყო მიმართული,



მაშინ აშენდა გრანდიოზული მაგისტრალები, თუნდაც გაზის ტრანსპორტირების, რომელსაც დღესაც წარმატებით იყენებენ, ბოლო 25 წელია რუსეთში ჰესებიც არ აშენებულა, ყველა კომუნისტების დროინდელია. რესპუბლიკებს ენერგოდამოუკიდებლობა ფაქტობრივად წაართვეს, რაც წინასწარ იყო გათვლილი. საქართველოსა და უკრაინაში მხოლოდ სოფლის მეურნეობის სუბსიდირება ხდებოდა, მუსულმანურ რესუბლიკებში (შუა აზია და ჩრდილოეთ კავკასია) სოციალური სფერო ფინანსდებოდა, რადგან იქ იყო ყველაზე მაღალი შობადობა. 80-იანი წლების შუა პერიოდიდან, როცა მიხეილ გორბაჩოვი გახდა ქვეყნის პირველი პირი, დაიწყეს სავალუტო რეზერვებისა და ოქროს მარაგის გაყიდვა (ამას თვითონ რუსები ამბობენ), შემდეგ მსხვილი წარმოებები ყოფილ „კაგებეშნიკებს“ და თავიანთ აგენტურას დაურიგეს. მერე რომელიღაც მაღალჩინოსნის (თუ არ ვცდები ეგორ გაიდარის) ბანკი რომ გამოჩნდა ასპარეზზე, ამბობდნენ პარტიული ფულით არის შექმნილიო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, 21 მილიონი კომუნისტი იხდიდა ყოველთვიურ საწევროს, სად წავიდა ის ფული? მერე რუსეთმა უცებ მოიხსნა ფინანსური ვალდებულებები მოკავშირე რესპუბლიკებისადმი, აღარ დაგაფინანსებთო, თორემ საბჭოთა კავშირი არ დაშლილა. პარტიული ფული და ის თანხები, რომელიც 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, თუნდაც გაზისა და ნავთობის გაყიდვიდან შემოდიოდა, ოფშორულ ზონებში ირიცხებოდა, იმ პერიოდიდანვე იყო აშკარა ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა. ხელისუფლება არც ფიქრობდა საბჭოთა კავშირის დანგრევას, შეიძლება რაღაც დონეზე დაშლილიყო, მაგრამ ასეთი დიდი რეზონანსი არ უნდა მოყოლოდა. ერთი სიტყვით, რუსეთმა ასე თუ ისე, განავითარა თავისი მრეწველობა, გახდა ენერგოდამოუკიდებელი, ხოლო დანარჩენი რესპუბლიკები ენერგოდამოკიდებულებად აქცია, მას რომც გაეშვი, ძალზე მძიმე ვითარებაში ჩავარდებოდი, რაც მოხდა კიდეც. 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთმა თვითონ გაგვიშვა, თავს ნუ მოვიტყუებთ, რომ ჩვენით მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა. ქვეყნის ფულის ოფშორულ ბანკებში გადაქაჩვას რუსი პატრიოტები ახდენდენ, რადგან მიხვდნენ, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა. სხვათა შორის, რუსეთს ამ ყველაფერში აშშ-ის ხელისუფლებაც უწყობდა ხელს, თუნდაც იგივე ჯორჯ ბუში, გაიხსენეთ მისი პრეზიდენტობისას რა ღირდა ერთი ბარელი ნავთობი და რა ღირს ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ. ეს ხომ ნიშნავს, რომ ბუშმა რუსეთს სული მოათქმევინა და დამატებითი ფინანსებიც აშოვნინა, ანუ მათ შორის გარკვეული შეთანხმება იყო. პრინციპში რუს პატრიოტებს ვერც გაამტყუნებ, ისინი საკუთარი ქვეყნისთვის იბრძვიან, უბრალოდ ამერიკის საქციელია ამორალური, რადგან ორმაგ თამაშს თამაშობს. ზოგიერთს რომ ჰკითხო, მიზეზი ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ, რაც აბსურდად მიმაჩნია, 25 წელია ქართველ ერზე ეკონომიკურის გარდა ფსიქოლოგიური ზეწოლაც მიმდინარეობს, ჩვენი ხალხი ძალზე ჭკვიანია, რადგან კიდევ შეგვიძლია აზროვნება, დარწმუნებული ვარ, ვერცერთი სხვა ერი ვერ გაუძლებდა ახელა ზეწოლას. ერის წამყვანი ძალა 10-15%-ია, ისეთი პირობები შევიგქმნეს, რომ ეს რაოდენობა 2-3%-მდე დავიდა, თუმცა საბედნიეროდ კვლავ იზრდება, რაც მდინარე ვერეს ხეობაში მომხდარმა ტრაგედიამაც დაამტკიცა, როცა ახალგაზრდობა თავისი ინიციატივით გამოვიდა და კვირების განმავლობაში უსასყიდლოდ იმუშავა. ეს არის სწორედ თვითგადარჩენის ინსტიქტი.

**- ბატონო დავით, დღევანდელი ვითარება შევაფასოთ, როცა ჩვენი ქვეყანა სერიოზული საგარეო თუ საშინაო საფრთხის წინაშე დგას. შეძლებს კი მოქმედი ხელისუფლება ამ საფრთხეების თავიდან აცილებას, წინა ხელისუფლებების გაუაზრებელი პოლიტიკის გამო ხომ არაერთხელ გავმხდარვათ პროვოკაციის მსხვერპლი?**

- მართლაც ბევრი რამეა ხელისუფლების გონიერებაზე დამოკიდებული. გავიხსენოთ რა სიტუაცია იყო პანკისის ხეობაში, იქ მარტო რუსლან გილაევის ორიათასკაციანი რაზმი ხომ არ იყო, რომელმაც ომის საფრთხის წინაშე დაგვაყენა, იყვნენ სხვა საველე მეთაურები თავიანთი „ბოევიკებით“, მაგალითად არაბი საველე მეთაური ხატაბი, რომელიც მოგვიანებით მოკლეს. მასთან დაკავშირებული იყო შამილ ბასაევიც, მაგრამ ის საქართველოში შემოსვლას ვერ ბედავდა, მას ქართველები ვერ იტანდნენ, რადგან აფხაზეთის ომის დროს ჩვენს წინააღმდეგ ამაზრზენი მეთოდებით იბრძოდა. რამდენადაც ვიცი, ბასაევი ერთადერთხელ, ისიც ძალიან საიდუმლოდ იყო პანკისის ხეობაში ჩასული, მაგრამ მალევე წავიდა, ჩეჩნებს და პანკისელ ქისტებს არ უნდოდათ ჩვენთან დაპირისპირება და თვითონვე იზრუნეს ბასაევის იქიდან მოცილებაზე. რუსლან გილაევი უფრო მოგვიანებით ჩავიდა პანკისის ხეობაში, ჩემი ინფორმაციით, იგი თავის რაზმთან ერთად თიანეთის გავლით გადავიდა ჩეჩნეთში. აპირებდა თუ არა ის აფხაზეთის ქალაქების გათავისუფლებას დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით, ჩემი აზრით, უფრო ის 1998 წლის მოვლენები, როცა უკვე სისხლი დაიღვარა, პროვოკაცია ვეღარ ავიცილეთ, შეიძლება ჩვენც ასე შევეყვანეთ და მერე ყველა ჩავეხოცეთ. აქვე ერთი ამბავიც მინდა გავიხსენო, რომელიც ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებს უკავშირდება, რომლებიც აქტიურად დარბოდნენ პანკისის ხეობაში. ზუსტად არ მახსოვს რომელი წელი იყო, ის პერიოდი იყო, როცა ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ კვლავ შემოვიდა ჩეჩენ ლტოლვილთა ნაკადი ხეობაში. მე თვითონ მიწევდა ხეობაში ყოფნა და იმიტომ ვიცი დაზუსტებით ამ არშემდგარი „გარიგების“ შესახებ. ერთი სიტყვით ახალგაზრდა რეფორმატორების“ ორი წარმომადგენელი, რომელთა ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ, თუმცა იმას გეტყვით რომ დღეს ორივე პარლამენტარია, ოღონდ სხვადასხვა გუნდს წარმოადგენენ, ახმეტის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, რომ ჩეჩნები შეეიარაღებენათ და მათი ხელით გადაეგდოთ ედუარდ შევარდნაძე, რასაც ცხადია, სისხლისღვრა მოყვებოდა. ჩეჩნებმა უარი თქვეს, არ იკადრეს ამის გაკეთება. ქისტებსა და კახელებს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ, ამიტომ არ წავიდნენ ქისტები სისხლიან დაპირისპირებაზე, თორემ „რეფორმატორები“ რამდენიმე ათას კაცს აიარაღებდნენ, ყველაფერზე იყნენ წამსვლელები.

ვერსია შეეფერება სიმართლეს, რომ მას აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლა იქ მოქმედი ნარკოტიკების გადამამუშავებელი უკანონო მინი-ქარხნის მოსპობის მიზნით უნდოდა, რადგან ის „კონკურენციას“ უწევდა პანკისის ხეობაში მოქმედ ასეთივე ქარხანას. უფრო სრულ ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით, მომდევნო ინტერვიუში მოგაწვდით. სხვათა შორის, აფხაზეთში შესვლის მცდელობა უფრო ადრეც იყო, ოღონდ ზუსტად არ მახსოვს 1994 თუ 1995 წელს, მაშინ შოთა კვირაიას უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ვფიქრობ, ესეც დიდი პროვოკაცია იყო, მაგრამ საბედნიეროდ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე არ მისულა. შეგვარჩიეს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის (შსს) 30 თანამშრომელი, მხოლოდ ის გვითხრეს დასავლეთ საქართველოში მივდიოდით და სრულიად საიდუმლოდ ჩაგვიყვანეს სამეგრელოში. ადგილზე ჩასულებს შინაგანი ჯარების 3.000 წარმომადგენელი დაგვხვდა, თითოეული ჩვენი თანამშრომლისთვის ამ კონტიგენტიდან 100-100 კაცი უნდა მოეცათ და გალის რაიონში უნდა შევსულიყავით, მაგრამ სოფელ ინგირთან რუსებმა გაგვაჩერეს, იქ იყო მათი ბლოკპოსტი, იქვე გავჩერდით, სადაც კაი ხანს მოგვიწია დგომა. მაინტერესებდა რა ხდებოდა, რადგან უკვე ვიცოდი, რომ 100-კაციანი რაზმისთვის უნდა მეხელმძღვანელა, თუმცა მერე უცებ მოგვხსნეს და უკან წამოგვიყვანეს. მოგვიანებით ინფორმაცია „შემოგვიგდეს“, რომლის სიზუსტეზეც თავს ვერ დავდებ, რომ თითქოს „ამერიკის ხმამ“ გადმოსცა ინფორმაცია ჩვენი ინგირთან დგომის და გალში მოსალოდნელი შესვლის შესახებ, იმიტომაც დაგაბრუნეს უკანო. ამ შემდგომში ჩაშლილი ოპერაციის მიზეზი ის ყოფილა, რომ ვითომ რუსეთი გალის რაიონს გვიბრუნებდა. ამას მოყვა გალის

**ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ, ᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲐ ᲗᲣ ᲣᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲐᲠᲪᲗᲣ ᲪᲣᲓᲐᲓ, ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲝᲕᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲘᲨᲘᲤᲠᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ, ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲗᲣ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲙᲘ ᲕᲘᲬᲕᲐᲚᲔᲗ ᲔᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ. ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ, ᲓᲐᲕᲘᲓᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲔᲜᲘᲜᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲐᲨᲘᲤᲠᲘᲜᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ,** მაშინვე რომ დაგვეწყო ბრძოლა, ამას ვერ შევძლებდით, დაფარული ნაღმების მოქმედება შეიძლება ათ წელზე მეტ ხანსაც გაგრძელებულიყო. ეს მთავრობა ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებს, იმაზე მეტსაც კი რასაც კომუნისტები აკეთებდნენ 80-იანი წლების დასაწყისიდან, უბრალოდ ნაციონალებივით არ აპიარებენ, რომლებიც ბუზს სპილოდ წარმოაჩენდნენ, დედაქალაქში ისეთი ქუჩებიც კი შეკეთდა, რომლებზეც კომუნისტების მერე ასფალტი არ დაუგიათ. ჯანდაცვასა და სოფლის მეურნეობაშიც არის

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center
PMMG
ISFED
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
TDI
საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA
MDF
GRASS
REFORMANDA

სერიოზული დადებითი ძვრები. ვინ დაავალა დაზუსტებით ვერ ვიტყვი, მაგრამ, რაც დაავალეს, ვფიქრობ ეს მთავრობა ყველაფერს ასრულებს. ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლაც იმ გეგმის ნაწილია, მან ხომ ყველაზე კარგად იცოდა, რომ ეს გარდამავალი მთავრობაა და არ უნდოდა ხალხის ზედმეტი რისხვა დაემსახურებინა. მას ახლა როგორ ლანძღავენ ეს ვაი-პოლიტიკოსები და არასამთავრობო სექტორი და პრემიერ-მინისტრის პოსტზე რომ დარჩენილიყო, წარმოიდგინეთ მაშინ რას უზამდნენ. პროცესები იქით მიდის, რომ შეიძლება რიგგარეშე არჩევნებიც კი ჩატარდეს, ოქტომბრამდე ექვსი თვის განმავლობაში ვერ ჩატარდება, მაგრამ აპრილამდე თუ რაღაც ისეთი მოხდა, გამორიცხული არაფერია. შესაძლებელია სხვა ვარიანტიც, მთავრობამ თვითონ დაიწყოს მოქმედება, დაიწყოს გამოვლენა ცხრა წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულობების, რომ ვადაზე ჩატარდეს არჩევნები, თორემ შეიძლება ძალიან ცუდი პროცესები დაიწყოს. ხომ ხედავთ პატრიოტთა ალიანსმა შიმშილობა დაიწყო საარჩევნო სისტემის შეცვლის მოთხოვნით, ისინი არჩევნების გაყალბებაზე უკვე აღარ საუბრობენ. პრემიერ-მინისტრმა მათ შიმშილობის შეწყვეტისა და მოლაპარაკებისკენ მოუწოდა, რომც გაყალბებულიყო შუალედური არჩევნები, პრემიერი ამას ღიად ვერ დაადასტურებდა, რადგან ქვეყანაში უმართავი პროცესები წავა და შეიძლება ხელისუფლებაში ისევ ნაციონალები მოვიდნენ, ეს გვინდა? ამიტომ ვამბობ, რომ ყველაფერი მთავრობაზეა დამოკიდებული, საარჩევნო კოდექსი აუცილებლად უნდა შეიცვალოს, რახან ხელისუფლება ამას ვერ აკეთებს (დარწმუნებული ვარ მის საღად მოაზროვნე წევრებს ეს ნამდვილად უნდათ), ხალხიდან უნდა წამოვიდეს ეს მოთხოვნა, რაც ძალიან ჭკვიანური პოლიტიკაა, თორემ ხელისუფლების გარკვეული ნაწილი არ აპირებს საარჩევნო სისტემის შეცვლას. დავით უსუფაშვილი თავისი სურვილით არასდროს შეცვლის, ზეწოლა უნდა იყოს ორივე მხრიდან. მე ამ მთავრობის დამცველად ვერ გამოვდგები, მის შესაცვლელია, დროზე უნდა ჩაქრეს ცეცხლი, თორემ დიდ უბედურებას მოიტანს, შეიძლება ხალხმა ნაციონალების ფიზიკური განადგურება დაიწყოს და ხელისუფლების ზოგიერთი სულგაყიდული წარმომადგენელიც ზედ მიაყოლოს. ეტყობა რესპუბლიკელები ისევ ჯიუტობენ, მაგრამ არ დაავიწყდეთ, რომ უკმაყოფილო ხალხი მათ სახლებს მართლა მიაკითხავს, თავიანთი საკუთრება ნუ ჰგონიათ საქართველო. ვფიქრობ, ვიღაცამ ძალიან ჭკვიანურად მისცა რესპუბლიკელებს კარტბლანში და საკუთარი თავი ბოლომდე გამოავლენინა. მე ამ პარტიის რიგითი წევრების მიმართ არ მაქვს პრეტენზია, საუბარია სექტა №2-ზე, ანუ ხიდაშელი-უსუფაშვილის წყვილზე, ძმებ ბერძენიშვილებზე, თამარ კორძაიასა და დავით ზურაბიშვილზე. მგონია, გიგლა აგულაშვილი შემთხვევითაა მოხვედრილი ამ „გაუგებრობაში“, რომელსაც იმ დროიდან ვიცნობ, როცა პროკურატურის გამომძიებელი იყო, კრიმინალთან უკომპრომისო მებრძოლის სახელი ჰქონდა და არც მისი მექრთამეობის შესახებ მსმენია, პატიოსან ადამიანად ვიცნობ ვახტანგ ხმალაძესაც. რესპუბლიკელებს და ალასანიას გუნდს თავი პროდასავლელებად მოაქვთ და უხვადაც ფინანსდებიან ამერიკიდან, ისევე, როგორც ნაცები. 2008 წლის ომის დროს ოთხი მილიარდი დოლარი გამოაგზავნეს დახმარების სახით საქართველოში, მაგრამ სად წავიდა ის ფული? დარწმუნებული ვარ ამ თანხის ნახევარი უკან, გამომგზავნთან დაბრუნდა, დანარჩენი კი ოფშორულ ზონებში გადაირიცხა. რამდენადაც ვიცი, ლტოლვილთა გეტოების ასაშენებლად ხელისუფლებას ერთი თეთრი არ გაუღია, სამშენებლო კომპანიებს „შეაწერეს“. ეს რომ იცის მიხეილ სააკაშვილმა, იმიტომაც უფრთხილდებიან, აქაც აკეთებდნენ ფულს, უკრაინაშიც, ამ ე.წ. იგილშიც. ამერიკის ხელმძღვანელობას ურჩევნია იმ „რუხ ერს“ მიხედოს, რომელიც თავად „გამოიყვანეს“, ეროვნულობის, ადამიანურობის, რელიგიური გრძნობებიდან დაცლილი ადამიანები. დღე არ გავა, რომ სკოლებში და სხვა სასწავლო დაწესებულებებში არ შეცვივდნენ და ხალ-



მიმართ გარკვეული პრეტენზიები მაქვს, მაგრამ ყველაფერს კარგად რომ გაანალიზებ, სხვა გამოსავალი არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი კატაკლიზმებია მოსალოდნელი. საქართველოში უამრავი სპეცსამსახური მუშაობს, ბევრი ქვეყნის ინტერესია. სისულელეა იმაზე საუბარი, რომ მხოლოდ რუსეთს აქვს ინტერესი და მისი სპეცსამსახურები მუშაობენ. მთელი მსოფლიო დგას ტერორიზმის საფრთხის წინაშე და ბუნებრივია, რუსეთიც მიიღებს ზომებს, ამიტომ გონს დროზე უნდა მოვეგოთ. მთავრობა უნდა დაელაპარაკოს მოშიმშილეებს, იყოს თამარ ხიდაშელი პარლამენტში, სადაც ამდენ უსაქმურს ვიტანთ, რამდენიმე თვე მასაც ავიტანთ, მაგრამ საარჩევნო კანონმდებლობა ხი არ დახოცონ, არ გაინტერესებთ მაინცდამაინც ყოველთვის ამერიკაში რატომ ხდება ეს უბედურება - ეს არის მათი მახინჯი პოლიტიკის შედეგი.

**- თქვენი აზრით, მომავალი პარლამენტი რომელი პოლიტიკური ძალებით დაკომპლექტდება?**

- ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საარჩევნო კანონმდებლობა შეიცვლება და ეროვნული, პატიოსანი ადამიანებით დაკომპლექტებული ხელისუფლება და მთავრობა გვეყოლება, რომელიც მაქსიმუმ ორ წელიწადში ვითარებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ომი პარიზის ცენტრში

„ომი პარიზის ცენტრში“ – ასე დაასათაურა თავისი მოწინავე სტატია ფრანგულმა გაზეთმა „ფიგარომ“ 13 ნოემბრის ტერაქტების სერიის შემდეგ. ომი, ფაქტობრივად, მსოფლიოში ლამის ორი ათეული წელი მიმდინარეობს. თუმცა, ომები უცნაური სცენარით ვითარდება – ტერორისტები (მათ მებრძოლებს ვერ დაარქმევს ადამიანი) ხოცავენ ყველას, ანადგურებენ ისტორიულ საგანძურს და ყოველივე ამის გასამართლებლად რელიგიას იფარებენ, აქაოდა, ისლამის სახელით ვმოქმედებთო. თეოლოგები დაგვეთანხმებიან, რომ ქვეყნად არანაირი რელიგია არ ქადაგებს ბავშვებისა და ქალების ხოცვა-ჟლეტას. მათ შორის, არც ისლამი.

ომი, რომელიც ყოველგვარი წესების გარეშე მიმდინარეობს, ლამის მთელ პლანეტაზე შეიძლება გავრცელდეს. პარიზის ტერაქტებიდან ერთი კვირის თავზე აფრიკაში, მალის დედაქალაქში ტერორისტებმა, სასტუმროში, სადაც დაბინავებულები არიან სწორედ იმ ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლებიც ცდილობენ ქვეყანას დაეხმარონ, მათ შორის, ებოლას ვირუსის დამლევაში, ვანდალებმა 19 ადამიანი მოკლეს.

ბელგიის და, ფაქტობრივად, ევროპის დედაქალაქ ბრიუსელში რამდენიმე დღეა, ცხოვრება ჩამკვდარია. არ მუშაობს მეტრო, ტრამვაი, ავტობუსების მძღოლების დიდმა ნაწილმა სამუშაოზე უარი თქვა. დაკეტილია მარაზიები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. მიზეზი მოსალოდნელი ტერაქტია. ქალაქი, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ორგანიზაციები და მატ შორის ნატო-ს შტაბ-ბინა, პანიკამ მოიცვა.

წინასწარ არავინ უწყის, მართლაც განხორციელდება პროგნოზირებული ტერაქტი თუ შეძლებენ იქაური სამართალდამცველები მის განეიტრალებას, ერთის თქმა უკვე შეიძლება – ტერორისტული აქტები ევროპაში დაბადებულმა და იქაურმა მოქალაქეებმა განახორციელეს. თუ ისტორიას გადავხედავთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბელგია სხვადასხვა ჯურის კრიმინალების თავშეყრის ადგილი გახდა. იქ იყიდებოდა სხვადასხვა საბრძოლო იარაღი, ყალბი საბუთები. იქ ყალიბდებოდა დაქირავებულ მებრძოლთა რაზმები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ახორციელებდნენ საბრძოლო მოქმედებებს თუ დივერსიულ აქტებს.

პარიზის ტერაქტების შემდეგ გადარჩენილმა დივერსანტებმა თავი სწორედ ბელგიას შეაფარეს. როგორც უცხოური პრესა იუწყება, ეს ვანდალური აქტებიც იქ დაიგეგმა. ქვეყანაში, სადაც ევროპარლამენტი, ნატო-ს შტაბ-ბინა მდებარეობს და მოქმედებს, იქვე თურმე ტერორისტებიც „მოღვაწეობენ“!

მსოფლიოში ტერორისტული მოძრაობის აღზევებას აქვს თავისი მიზეზები და, თუ გნებავთ, მიზნებიც. ერთ-ერთი მიზეზი გულგრილობაა. თუ რომელიმე „უმნიშვნელო„ ქვეყანაში ხდება ტერორისტული აქტი, წამყვანი ქვეყნების მასმედია ამას ინფორმაციის სახით იუწყება. გავიხსენოთ თუნდაც ლიბანში მომხდარი აფეთქება, რომელსაც ოთხ ათეულზე მეტი ადამიანი შეეწირა, რატომღაც განგაში არავის აუტეხავს. არც მაშინ გამოუთქვამთ თავიანთი აღშფოთება-შეშფოთება წამყვან ქვეყნებს, როდესაც დამტკიცდა, რომ რუსეთის ავიაკომპანიის თვითმფრინავის ჩამოვარდნის მიზეზი ბორტზე მოწყობილი ტერაქტი გახდა. ჩვენს უცხოელ კოლეგებს თუნდაც მაშინ უნდა ეთქვათ ხმამაღლა, რომ ტერორისტებმა ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯეს. თუმცა ამის თქმის საფუძველი დიდი ხანია ჰქონდათ, თუნდაც მაშინ, როდესაც ჯალათები თავებს აჭრიდნენ ადამიანებს, მასობრივად ხვრეტდნენ, წვავდნენ ქალებს, ბავშვებს.

კიდევ ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რასაც უნდა მივაწეროთ ტერორიზმის აღორძინება, ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაა, რომელსაც ახორციელებენ მთელი რიგი ქვეყნები. არადა, მათი ლიდერების განცხადებით, ისინი თურმე ტერორიზმს ებრძვიან. მაშინ ვიკითხოთ ისიც, თუ საიდან, როგორ მოხვდა ტერორისტების ხელში ასეთი დიდი შეიარაღება, ტექნიკა და, რაც მთავარია, ფინანსები. კითხვები, იცოცხლეთ, ბევრია.

აფრიკა-აზიიდან ლტოლვილთა ნიაღვარს უამრავი „ბოევიკიც“ რომ შემოჰყვა ევროპაში, ყველასთვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ უცნაურად ჩანს ის გარემოება, რომ ევროპაში ტერაქტებს ადგილობრივი მოსახლეობა აწყობს (მართალია, ისინი არაბული წარმოშობის, მაგრამ ევროპაში დაბადებულ-გაზრდილები არიან). სირიაში, იგივე მალიში ვინც იბრძვის, მათი წარმომავლობა გაურკვეველია. როგორ მოხვდნენ იმ ქვეყანაში, სად გაიარეს მომზადება, რატომრაც ნაკლებად თუ აინტერესებს ვინმეს. თუმცა ახლა ამ თემაზე საუბარი დაგვიანებულადაც გვეჩვენება.

სირიაში ტერორისტების მხარეზე ადგილობრივი მოსახლეობის მცირე ნაწილია. მებრძოლთა ძირითად ბირთვს დაქირავებულები წარმოადგენენ. რომელ ქვეყნებს შეაფარებენ თავს ტერორისტები, ამის გათვლაა საჭირო, რადგან რუსეთმა საჰაერო იერიშები გააძლიერა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მათი საჰაერო ლაინერი და 224 მგზავრი ტერორისტულ აქტს ემსხვერპლა. საერთო ჯამში, რუსეთის 69 ერთეული საფრენი აპარატით ბომბავს ტერორისტებს. ბრძოლებში ე. წ. შორეული ავიაციაც ჩართეს, რომელიც მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზეა განლაგებული და იქიდან ასრულებს საბრძოლო ფრენებს. ავიაციას საზღვაო ფლოტიც უჭერს მხარს სარაკეტო დარტყმებით. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ობიექტების დაბომბვას, ძირითადად, კასპიის ზღვის აკვატორიიდან ახორციელებენ.



13 ნოემბრის ტერაქტის შემდეგ საფრანგეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა გააძლიეროს ტერორისტებზე შეტევები. საამისოდ ხმელთაშუა ზღვაში თავიანთი ავიამზიდი გააგზავნეს, რომელზეც 26 თვითმფრინავია განლაგებული. ფრანგები ანტიტერორისტულ ოპერაციას რუსებთან ერთად განახორციელებენ. ნატო-ს წესდებით, მათ ერთ წევრ-ქვეყანაზე თავდასხმა ყველა დანარჩენ ქვეყნებზე თავდასხმას ნიშნავს და ერთობლივად უნდა ებრძოლონ მომხვდურს. თუმცა ნატო-ს სხვა ქვეყნები ჩუმად არიან და მათი წევრი-ქვეყანა კოალიციაში რუსეთთან არის. უცნაური ვითარება შეიქმნა ნამდვილად.

დიახ, სად, რომელ ქვეყნებს შეაფარებენ თავს სირიიდან წამოსული „ბოევიკები“, განსაკუთრებით ჩვენთვის, საქართველოსთვის არის საინტერესო, გავრცელებული ოფიციალური ცნობით, კვირას რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ნალჩიკში „ისლამური სახელმწიფოს“ 11 მებრძოლი გაანადგურეს. დანარჩენების დევნა-ძიება გრძელდებაო, იუწყებიან. სირია-ერაყიდან ჩამოსულებზე თუ ადგილობრივ დაჯგუფებაზეა საუბარი, ამის შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი. საქართველოს საზღვრებზე კონტროლის გაძლიერება აუცილებლად მიგვაჩნია, რათა თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი გაუგებრობა. საერთოდაც, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები ჩვენ არაერთხელ დაგვემუქრენ. სამწუხარო ფაქტია, რომ ტერორიზმი უსაზღვროა.

ბელგიაში კი თვითმკვლელი ტერორისტისა და მის თანამოაზრეთა ძებნა გრძელდება. საქმეს ისიც ართულებს, რომ იგი ბრიუსელის მეტროში ტექნიკოსად მუშაობდა და კარგად იცნობს მიწისქვეშა კომუნიკაციებს.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# ცნობილი რეჟისორის რძალი და ექიმი-რეანიმატოლოგი დასუფთავების სამსახურს მეეზოვის ადგილს თხოვს

**საზოგადოების ნაწილისთვის დღემდე საკამათო თემაა, რა მოიაზრება ოჯახურ ძალადობაში და რამდენად მნიშვნელოვანია ამ პრობლემასთან მიმართებაში სოციალური ფონი. ჩვენი რესპოდენტი ქართულ კინემატოგრაფიაში ერთ-ერთ ყველაზე კომერციულ რეჟისორად აღიარებული კინორეჟისორის რძალი და შვილიშვილების დედაა. ადამიანის, რომელმაც ქართულ კინემატოგრაფში ეპოქა შექმნა და უკანასკნელი განსასვენებელი დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაიმკვიდრა. რეჟისორის ფილმებს კინოგაქირავებისთვის ყოველთვის არნახული მოგება მოჰქონდათ და მათ გამოჩენას მაყურებელი დღემდე დიდი ინტერესით ელის. ალბათ იკითხავთ, სად ცნობილი რეჟისორი და მისი ფილმები და სად ოჯახური ძალადობაო, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხს რეჟისორის რძალთან ინტერვიუდან მიიღებთ. „საერთო გაზეთი“ ნანა არეშიძეს ესაუბრა.**

— პროფესიით ექიმი -რეანიმატოლოგი გახლავართ. ჩემს მშობლებს ძლიერი და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ოჯახი ჰქონდათ, ამიტომ ქალაქის ცენტრში ორი ბინა დამიტოვეს. ერთი სანაპიროზე, ქორწინების სახლთან და მეორე წერეთლის გამზირზე მდებარეობდა. კ-ს რომ შევხვდი, წარუმატებელი ქორწინებიდან შვილი მყავდა. მომეწონა მისი დამოკიდებულება ჩემს შვილის მიმართ, ამასთან განათლებული პიროვნება იყო და მომეჩვენა, რომ აუცილებლად კარგი ადამიანი იქნებოდა. ჩემს არაჩვეულებრივ მამამთილზე აღარაფერს ვიტყვი. უბრალოდ, ავღნიშნავ, რომ ამ ადამიანთან ურთიერთობა ბედნიერებას მანიჭებდა. ჩემი უბედურება მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. ამ დროს ჩემი მეუღლე უმუშევარი იყო, ამიტომ ღირსეულად რომ დაგვეკრძალა, მშობლების ნაჩუქარი ბინებიდან ერთი გავყიდე, რაც ერთი წუთითაც არ მინანია, ვინაიდან ის ადამიანი გაცილებით მეტსაც იმსახურებდა. მახსოვს, ჩვენს სახლში ძალიან ცნობილი ადამიანები მოვიდნენ და მკითხეს, როგორ ფიქრობთ, თქვენი მამამთილი სად უნდა დაიკრძალოსო. მე გაკვირვებულმა ვუპასუხე, მგონი ამ ადამიანმა დაიმსახურა, რომ დიდუბის პანთეონში დასაფლავდეს თქო და ასეც მოხდა. მალე გამიჩნდა ვაჟი, რომელსაც ბაბუას სახელი დავარქვით. ბავშვის გაჩენისთანავე, ჩემმა მეუღლემ დამიწყო, მოდი გავყიდოთ შენი სამოთახიანი ბინა. ეს სახლი გავარემონტოთ და მეც რამე საქმეს დავიწყებო. მე ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც მეუღლეები ერთმანეთის სიტყვას ენდობოდნენ და ამიტომ მის სიტყვებში ეჭვი არ შემპარვია. გავყიდე ბინა, ფული მეუღლეს ჩავაბარე და თავიც დავიღუპე.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ამ ფულიდან მეუღლემ მხოლოდ აბაზანა და აივანი შეარემონტა, დანარჩენი ფული კი სადღაც გაქრა. ამ პერიოდიდან, ჩემი ქმარი სახლის იშვიათი სტუმარი გახდა. ვეკითხებოდი სახლის ფული სად არის, შენ სად დადიხარ თქო და მპასუხობდა, რომ საქმეზეა და მალე მოვა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ეს საქმე სმა და აზარტული თამაშები იყო. მალე ხასიათიც საშინლად გაუფუჭდა, მაგრამ იძულებული ვიყავი ყველაფერი ამეტანა, ვინაიდან აღარც ერთი ბინა აღარ გამაჩნდა და არ ვიცოდი, სად წავსულიყავი.

**— ამ დროს მამამთლის ბინაში ცხოვრობდით?**

— დიახ. ვაკეში, პრესტიჟულ ადგილზე მდებარე ბინაში 19 წელი ვიცხოვრე. ჩემმა მამამთილმა არაჩვეულებრივი ბინა დაგვიტოვა და რას ვიფიქრებდი, რომ ეს ბინაც არ შეგვრჩებოდა. მეუღლე გამუდმებით სვამდა და გვაწიოკებდა. მალე სახლიდან მამის დატოვებული ანტიკვარული ნივთების გატანა დაიწყო. თან მპირდებოდა, ნუ ნერვიულობ, ყველაფერს უკან მოვიტანო, მაგრამ რა თქმა უნდა, არაფერი მოუტანია. აი, ამ სიტუაციაში გავაჩინე გოგონა. მეუღლე სულ გოგონაზე ოცნებობდა და მეუბნებოდა, ოღონდ გოგო გააჩინე და ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვლებაო. სამწუხაროდ, ამჯერადაც მომატყუა. გამუდმებით გვაწიოკებდა. სახლთან მუდმივად პატრულის მანქანა მორიგეობდა. ბავშვებს ფსიქიკა დაუავადდათ და ფაქტობრივად, ბავშვობა დაკარგეს.. მერე უბანში რაღაც ჩხუბი მოხდა და ჩემი მეუღლე დაიჭირეს. მე და ბავშვები სამი წლიწადნახევარი მშვიდად და ბედნიერად ვცხოვრობდით, მაგრამ გამოვიდა ციხიდან თუ არა, ისევ ძველ ცხოვრებას დაუბრუნდა..ისევ სმა, აყალ-მაყალი და დანებით დევნა გაგრძელდა.

**— რას გედავებოდათ, ჩხუბს რამე კონკრეტული მიზეზი ჰქონდა?**

— სასმელს რომ დალევდა, მიზეზის ძებნა არ ჭირდებოდა. უბრალოდ, ჩხუბობდა. ამ დროს ოჯახიდან ყველა ღირებული ნივთი გატანილი იყო. სახლში რომ მოვიდოდი, ხან ტელევიზორი მხვდებოდა გატანილი, ხან მაცივარი და ხან ანტიკვარული ნივთები. ყველაფერი სასმელში და აზარტულ თამაშებში წავიდა.. უფროსმა ბიჭმა ადრე მოიყვანა ცოლი. ძალიან კარგი ოჯახი შექმნა და ჩვენგან წავიდა. უმცროსი კი მამამ აზარტულ თამაშებში ჩააბა და ახლა ის გვიმწარებს სიცოცხლეს მე და ჩემს გოგოს. მოკლედ, ოჯახი უკან და უკან მიდიოდა. თქო. პასუხის ღირსადაც არ გამხადა. დასუფთავების სამსახურიდანაც პასუხს დღემდე ველი.

**— ვაკეში მდებარე ბინა რატომ გაყიდეთ?**

— ბავშვების იმ გარემოში გაჩერება შეუძლებელი იყო. ყოველ წუთში უბედირებას ველოდი და ხშირად თავის მოკვლა მინდოდა, როცა შვილებს ასეთ მდგომარეობაში ვხედავდი. სამი წლის წინ, მეუღლესთან შეთანხმებით, ბინა გაიყიდა. ჩვენ ნაკლები თანხა მოგვცა, მაგრამ იმდენად გადაღლილი ვიყავი, რომ ბრძოლის თავიც აღარ მქონდა. ჩემს შვილს ახალ სახლში გადასვლისთანავე დაეწყო დეპრესია. ამ სახლს ვერ იტანს, ციხეში ვცხოვრობო, ამბობს, იმიტომ, რომ ვაკეში, კარგ სახლში ცხოვრებას იყო მიჩვეული. ჩემს მიმართ საშინელი აგრესია გაუჩნდა. ბინის გაყიდვაში მადანაშაულებს და ამას აზარტული თამაშების მიმართ დამოკიდებულებაც ემატება... ამასობაში, ქმარმა ჩემთან გაყრა გააკეთა, ბინის ფული ნახალოვკაში ვიღაც მასავით მსმელ ქალთან წაიღო და მასთან გადაბარგდა. ერთხელ, იმდენად გაუსაძლისი მდგომარეობა შეგვექმნა, რომ ბავშვებმა დახმარებისთვის მამას მიაკითხეს. ვერ წარმოიდგენთ, ეს რით დამთავრდა. იმ ქალმა პოლიციას გამოუძახა და ჩემი შვილის დაჭერას მოითხოვდა. რა თქმა უნდა, ჩემი ქმრის სახით სერიოზული შემოსავლის წყარო იპოვა და ალბათ, მის შვილებს კონკურენტებად თვლის. ბინის ფულის გარდა, მეუღლეს მამის გადაღებული ფილმებიდანაც სერიოზული შემოსავალი აქვს. ერთ ფილმში დაახლოებით 200 დოლარს უხდიან. თან ტელევიზია ერთს კი არა, ათ ფილმს ერთად იღებს, ეს კი 2000 დოლარამდე შემოსავალია. მერე ამ ფილმებს მეორე ტელევიზია ქირაობს, მერე მესამე და ა.შ. აქედან გამომდინარე, ჩემი ქმარი და მისი მეგობარი ქალი მშვენივრად ცხოვრობენ და მისი შვილები უკიდურეს გასაჭირში იმყოფებიან. ის 100 ლარიანი ალიმენტიც კი, რომელსაც ჩემი უმცროსი შვილი იღებს, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის და მისი იურისტის დამსახურებით გვაქვს. მე ადვოკატების ფული არ მქონდა და ეს ხალხი სასამართლოზე უფასოდ მომემსახურა. მადლობელი ვარ, რომ ქალბატონი მანანა გავიცანი და აქ მოვხვდი. ეს ადამიანები ძალიან დამეხმარნენ, თორემ არც კი ვიცი რა მეშველებოდა. საუბრის ბოლოს ვიტყვი, რომ მე იმან დამღუპა, რომ ძალიან წესიერ ოჯახში გავიზარდე.

**„მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრით უზრუნველყოფილ ოჯახში გავიზარდე, არც ერთი პატიოსანი სამსახური არ მეთაკილება, ოღონდ შემოსავალი მქონდეს და ბავშვებს სახლში რაღაც მივუტანო“**



მოწყალებით ხომ ვერ ვიცხოვრებდით და ექიმმა ქალმა, რომელიც კათედრაზე ვმუშაობდი, მოხუცის მომვლელად დავიწყე მუშაობა.

**— ბავშვებს სახლში მამასთან ტოვებდით?**

— სხვა გზა არ მქონდა. ოთხი წელი ვიმუშავე მომვლელად და ამ ხნის მანძილზე სულ დაძაბული ვიყავი, მამას და შვილებს ერთმანეთისთვის რამე არ მოეწიათ. სამსახურში ვიყავი, როცა უმცროსმა, ექვსი წლის შვილმა დამირეკა. ჩქარა სახლში მოდიო- ყვიროდა. მოვედი და საშინელი მდგომარეობა დამხვდა. ერთმანეთში უჩხუბიათ და ბავშვს მამისთვის ცხელი უთო დაუდია. ამის მერე ძალიან მეშინოდა, ბავშვების მარტო დატოვება, მაგრამ რომ არ მემუშავა, შიმშილით დავიხოცებოდით. აღარც მშობლები მყავს და არც ნათესაობა. მშობლების დანატოვარიც აღარ არსებობს. სრულიად მარტო, ცარიელი ხელებით აღმოვჩნდი ასეთ მდგომარეობაში. წარმოიდგინეთ, იმდენად გაგვიჭირდა, რომ დასუფთავების სამსახურში წავედი და ქუჩების მხვეტავად ვითხოვე მუშაობა.

**— თქვენი პროფესიით მუშაობის გაგრძელებაზე არ გიფიქრიათ?**

— მედიცინას სალი გონება ჭირდება, რაც მე აღარ მაქვს. 18 წლის განმავლობაში იმდენი სტრესი გადავიტანე, რომ ჩემი ტვინი ძველებურად აღარ მუშაობს. უბრალოდ, ვერ შევძლებ რეანიმაციაში მუშაობის გაგრძელებას, წარმოუდგენელია.. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრით უზრუნველყოფილ ოჯახში გავიზარდე, არც ერთი პატიოსანი სამსახური არ მეთაკილება, ოღონდ შემოსავალი მქონდეს და ბავშვებს სახლში რაღაც მივუტანო. 53 წლის ვარ და სადაც მივედი, ყველგან უფრო ახალგაზრდა ჭირდებოდათ. თავის დროზე, სასკოლო სახელმძღვანელოები რომ ფასიანი იყო, შაშკინს მივწერე, ამ და ამ ადამიანის რძალი ვარ. უკიდურესად გვიჭირს და დამეხმარეთ, რომ შვილებს როგორმე წიგნები შევუძინო მეგონა, ცუდს თუ არავის ვუკეთებდი, არც მე გამიკეთებდნენ, მაგრამ მწარედ შევცდი.. ახლა სრულიად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ვეძებ დასუფთავების სამსახურში ან ნებისმიერ სხვა ადგილას სამსახურს, რომ შვილებს სახლში პურის ფული მაინც მივუტანო. იცით, გული რაზე მწყდება? ჩემი მამამთლის ფილმებზე თაობები გაიზარდნენ და დღეს მისი შვილიშვილების მდგომარეობა არავის აღელვებს..

***„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ იურისტის მანანა ფურცხვანიძის თქმით, რეჟისორის რძლის და მისი ოჯახის ისტორია მთლიანად ცვლის შეხედულებას იმაზე, რომ ოჯახური ძალადობა მხოლოდ დაბალ სოციალურ ფენას ახასიათებს და უზრუნველყოფილ ოჯახებს არ ემუქრება. ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი და წარმატებული და რეალიზებული ქალიც კი — განაცხადა მანანა ფურცხვანიძემ.***



მანანა ფურცხვანიძე

— ქალბატონი, რომელსაც თქვენ ესაუბრეთ, ძალიან ცნობილი და წარმატებული ოჯახის რძალი იყო. ის გახლავთ პროფესიით ექიმი და სრულიად რეალიზებული ადამიანი, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ძალადობის მსხვერპლად იქცა. მისი პირადი და მისი მეუღლის ოჯახის ქონება მთლიანად აზარტულ თამაშებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულებას შეეწირა და რაც მთავარია, ამას შეეწირა შვილების სიმშვიდე და ნერვები. სტრესულ სიტუაციაში ცხოვრებამ ბავშვების ფსიქიკა სრულიად შეცვალა. სამწუხაროა, რომ ძალადობრივ გარემოში გაზრდილი შვილი მამის მსგავსად, თამაშზე დამოკიდებული გახდა. ქალბატონი ნანას ისტორია ზუსტად ის შემთხვევა, რომელიც მთლიანად ცვლის შეხედულებას, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევები მხოლოდ სოციალურად შეჭირვებულ ფენებში ხდება. სამწუხაროდ, ამისგან საზოგადოების არც ერთი ფენის და პროფესიის წარმომადგენელი დაცული არ არის, რასაც ცნობილი რეჟისორის ოჯახში დატრიალებული ისტორიაც ადასტურებს.

**ბუნებრივია, ყოფილი მეუღლის ბრალდებებზე კომენტარისთვის რეჟისორის შვილთან დაკავშირებაც ვცადეთ, თუმცა მისი კოორდინატებისა და საკონტაქტო ნომრის შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. რაც შეეხება რეჟისორის რძალსა და მისი შვილების ბედს, იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამისი სტრუქტურები დაინტერესდებიან უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახის მდგომარეობით და გამოსავლის მოძიებაში დაეხმარებიან.**

ნელი თორდია
571 35 36 88



გური ოტობაია

# „28 000“ ამაზრზენი ფაილის ისტორია

**ვუერთდები „საერთო გაზეთის“ მეტად საჭირო ღია წერილს „საქართველოს მოსახლეობის, საქართველოს პარლამენტისა დიპლომატიური კორპუსებისადმი“ და დავსძენ:**

თვეების წინათ ზუგდიდში, „ენგურქაღალდკომბინატის“ კლუბში ამაზრზენი კადრები გვანახეს დოკუმენტალისტებმა. მას ზედ დაერთო უკრაინელების საიტზე დადებული სვირინგიანი და კასტელებიანი ავხორცების ძალადობანი წაყირავებულ მამრზე და მოთმინების ძაფიც გაწყდა. გაზეთები, საეთერო მასმედია აყაყანდა იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ კადრების ჩვენება ადამიანის უფლებების გათვალისწინებით. აქ ლამის მისი გამომაშკარავებელნი ვაცვით ჯვარზე, მაგრამ ჩვენი ქვეყანის მომავალზე პასუხისმგებელი ხალხის ნაწილი ასე დოყლაპიურად არ ვაპირებთ ვერაგულად შემოგდებული თემისგან გაცლას.

ყველაზე დიდ გმირობად ჰერაკლეს ავგიას თავლების გაწმენდა ჩამოერთვა, მისი დარდუბალას სხეულზე გადატარება, და სულაც არ ვთაკილობთ ამ ტოქსიკურ გამოსხივების თემასთან ახლოს მისვლას. ჩვენ არაფერში გვეპიტნავება ამ შემთხვევაში კონკრეტული სუბიექტების ჩირქის მოცხების შიშით, გაცილებით ტრაგიკულ მოვლენაზე გაჩუმება, რაც გამოიხატება სრულიად სამეგრელოს, ამ თვალანკარა კუთხის ზნეობრიობაზე ვერაგული, წინასწარგანზრახული თავსლაფის გადმოსხმაში.

მთელი კატეგორიულობით ვაცხადებ, რომ შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც დაბეჯითებით შეისწავლის „28 000“ ფაილის ბედ-იღბალს. როცა ნარკოტიკულ კონტრაბანდას ანადგურებენ, ან რაიმე ტოქსიკურ ტოქსიკურ, ჯერ ლაბორატორიულად შეამოწმებენ მათ ნივთიერ შემადგენლობას. ააი, ამის შემდეგ, ამ დასკვნაზე დაყრდნობით კომისია მართლზომიერად მიიჩნევს მათ განადგურებას. მოისპობა საზოგადოებისთვის მავნე სუროგატი და დასკვნასაც ხელი მოეწერება თითოეული წევრისგან.

ხოლო ამ შემთხვევაში გვაინტერესებს, რა პრინციპებით მოქმედებდა მისი ლიკვიდატორი კომისია. ფფაილი, ანუ ელექტრონული მასალა, სითხე არ არის, კოვზის ერთი ამოვლებით სინჯი აუღო მთელ ორგანიზმს. აარც ჰეროინია, მსგავსი მეთოდით მისი საერთო წარმომავლობა დაადგინო. აქ საქმე გვაქვს ე. წ. „28 000“ განსხვავებულ ტრაგედიასთან, რომელიც მთელს საქართველოშია განხორციელებული და არა მხოლოდ სამეგრელოში. ამიტომაც დაბეჯითერბით მოვითხოვ ძველი თუ ახალი კომისიისგან, განგვიმარტოს, რანაირად მოახდინა თითოეული ფაილის დათვალიერება, პასპორტიზაცია, ექსპერტიზა. აი, ამგვარი, აღნუსხვის შემდეგ რომ განადგურებულიყო ეს სოდომ-გომორული სამსალა, კიდევ რაღაცნაირი გამართლდება ექნებოდა მომავლის წინაშე მის ლიკვიდაციას, არადა სხვანაირად მათი განადგურება დანაშაულებრივია. დდა თუ ეს ყველაფერი რამდენიმე დღეში მიფუჩეჩდა საწუხილო დილეტანტიზმით, მაშინ გასაგებია, სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე: ერთი ბოროტების მიჩქმალვით მოგვიხდენია მეორე ბოროტების ლეგალიზაცია. ამიტომაც დაბეჯითებით მოვითხოვ ახალი კომისიის შექმნას, რომელიც კვალიფიციურად, ტაქტიანად ნათელს მოჰფენს ჩვენი მომავლის თავზე დამოკლეს მახვილივით ჩამოკიდებულ უბედურებას – „28 000“ ფაილის წარმომავლობას.

ახლა დროებით გადავინაცვლოთ გასული საუკუნის პირველ მეოთხედში. უნიათო ეროვნული ხელისუფლება უცხოეთშია გაქცეული. ყველგან წითელი დიქტატურაა დამყარებული, მაგრამ ამ დიქტატურას საზოგადოებაში არ გააჩნია რეალური საყრდენი ძალა, რადგანაც XII არმიის შემოსვლა საქართველოში ხალხს არ მოუთხოვია, ეს შეთითხნეს მუჭა ბოლშევიკებმა და ძალადობით ააფრიალეს თბილისის თავზე წითელი დროშა. ამისი დოკუმენტური მასალები გამოქვეყნებულია სტენოგრაფიული სიზუსტით. საქართველოს უკანასკნელი ამბოხება ქაქუცა ჩოლოყაშვილის თაოსნობით სისხლშია ჩახრჩობილი. აამის ნათელი გამოხატულებაა აითმათოვის ე. წ. ქართული სინდრომი რომანიდან „პლახა“ (საქონდაქრე) ექვსი და მეშვიდეს სიმბოლური ქვესათაურით, თუ როგორ შეწყობილად მღერიან ბოლშევიკი სანდროს დანთებული კოცონის ირგვლივ დამარცხებული მენშევიკები თოხაძის მეთაურობით; როგორ შეხურდებიან ღვინით და სიმღერით. მერე როგორ გამოასალმებს ექვსივე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ჩეკისტი სანდრო და თავიდაც როგორ აღესრულება უკუღმართი იდეის უკუღმართი მონა. მ

დიახ, მოსულია წითელი დიქტატურა, მაგრამ ჯერ კიდევ იწერება საქილიკო სტრიქონები: „ჰეი, **ძმაო, სესია, რატომ აკეთებ ამასო, შავი უღელი რომ გედგა, წითლად შეგიღებესო“**. ადასტურ, არ არის სრული მორჩილება მოსახლეობისგან და აი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების ხაზს სამეგრელოს გაუსაძლისი ცხოვრების გამოსასწორებლად ხელზე დაიხვევენ კომუნისტები. ჯერ თავად ხელისუფლება გამოაქვეყნებს დეკლარაციას ფოთი-სენაკი-ზუგდიდის კულტურული ავტონომიურობის შემცველს, ქართული ენის უცოდინარი მკვიდრისთვის, დაწყებით კლასებში მეგრული ენის შემოღებას. მანმადე ხომ ცარიზმის აგენტები – იანოვსკი, ვოსტოროგოვი, ლევიცკი, აშორდია ცნობიერებას უწამლავენ ხალხს მეგრელიზმებით, აქაოდა, მეგრელი სხვა ტომის ხალხია, მათ ქართული არ იციან და უმჯობესია განათლება რუსულად მიიღონო. მოკლედ, მთავრობის გადმოგდებულ ანკესს წამოეგებიან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები და მივიღებთ **„28 ახლად მოვლინებული მესვეურის უილაჯო გამოსვლას“**. ხოლო 24 წლის სისხლში ჩახშობილი აჯანყების საპირწონედ მისი შემოქმედი ლავრენტი ბერიას სტატიის „მეგრელ ავტონომისტების შესახებ“ ჩამონათვალში №1 ტიპი მიშა დადიანია, №2 ტიპი – ვლადიმერ ბუკია. №3 – კოსტა კილასონია. №4 – გრიგოლ ახალაია. მერე მოდიან: ხურცილავა, ნანეიშვილი, საჯაია, ჯგერენაია, ჯიქია, ვეკუა, კობალია, როგავა, თორდია... სულ 28 ტიპი. მათ ბრალდებათ ავტონომისტობა, როცა სინამდვილეში ითხოვენ ოლქს ხელისუფლების დირექტივის შესაბამისად. მათ ბრალდებად სეპარატიზმი, როცა ერთიანობისთვის



იკლავენ თავს. მათ ბრალდებათ მეგრული ენის გამოცხადება მარგალისტანის სახელმწიფო ენად, როცა ეს დებულება ბოლშევიკური მთავრობის მიერაა შემოგდებული.

ისევ ვუბრუნდები ჩვენს საუკუნი სატკივარს – „28 000“ ფაილის წარმომავლობის დადგენას. როგორც თვალნათლივ დავინახეთ, ეს ამაზრზენი მითი გვარამია-ციციშვილის მონოგრაფია „მეგრული საკითხის“ გამოსვლის (2009) შემდეგ მოკოწიწებულს ჰგავს. აზემოთ დასახელებულ წიგნში აჩემებული 28 „ჩხოუშიელი“ – დადიანი-გაგუა-ჟვანიაახალაიას თაოსნობით, ხელოვნური პოლიტიკური შეუთავსებლობიდან – ანტაგონიზმიდან გადაზრდილია დამანგრეველ სულიერ დეპრესიამდე – „28 000“ ვითომდა ზუგდიდურ გაუპატიურებულ მდგომარეობამდე, როცა ეს ფაილები მთელი საქართველოს ჯილდოა თავისი დოყლაპია, უნი-





ათო პოლიტიკური სარბიელის გამო. ამდენი ოდენობის ქმედითუნარიანი მამრი საერთოდ არა ჰყავს ზუგდიდს. ამასწინდელი აღწერის მონაცემებით ზუგდიდში 18-40 წლის ასაკის 18 000 მამაკაცია დაფიქსირებული დევნილებიანად. ესეც რომ არა, სადღაც სამეგრელოს ტყეებს რომ ასახელებენ, აგერ, ზუგდიდის მახლობელ ოდიშში, ურთაში, ანაკლიაში აღმოჩენილი 4-6 კვ. მმეტრის ბუნკერები და ის საშინელებანი „28 000“ ფაილების სახით რაღაც 10-30 კოლომეტრის რადიუსშია მომხდარი, მაგრამ 28 000 კაცი რომ მიყვანილიყო იქ 2004 წლიდან 2012 წლამდე ამ 9 წელიწადში, ანუ 3385 დღე-ღამეში, სულ ცოტა 8 პიროვნება მაინც უნდა გაბახებულიყო ყოველდღიურად, თანაც ისე, რომ იმ 8 დაზარალებულს 8 გამბახებელი ჰყოლოდა. და ამ თექვსმეტს 4 მძღოლი მაინც მომსახურებოდა და ასე, დილა-საღამო, შუაღამე-სისხამი, ზამთარზაფხულ კონვეიერულად ემუშავა ამ სატანურ მანქანას ოდიშის, ურთისა და ანაკლიის ბუნკერებში. თანაც არავიასი ყურადღება მოექცია, ნემსივით ჩაკარგულიყო თივაში და ეს გამუდმებული მიმოსვლლები არავის შეემჩნია, მაღლა ცაში – ფრინველს და დაბლა დედამიწაზე – ჭიანჭველას. რას ერჩი, დამნაშავე მთავრობამ შექმნა „28 000“ უზნეო ფაილი და გამარჯვებულმა ხელისუფლებამ „გაუპრავა“ კოჰაბიტაციური მეწყვილეობით. მე კი, ამ წერილის ავტორი გური ოტიბაია, ერთხელაც ვადასტურებ, ამოვიდა ყელში თქვენი ანტიადამიანური და მოცვედანო კოჰაბიტაცია, ძვირფასებო!

ვგონებ, ჩვენი მკითხველებიცა და ფაილების გამნადგურებელი კომისიაც ჩინებულად ხვდება საუბარი საითკენ მიგვყავს – ბოლშევიკური 28 ჩხოუშიელიკენ, რომელიც ვითომდა მონსტრი მაფალუიზმ-ავტონომისტ-სეპარატიზმის არარსებული ბრალდებით არის დამძიმებული. ააი, საიდან საწყისდება, ძვირფასებო, „28 000“ ფაილის სოდომური სადაურობა. ააი, ამ 28 ციფრის სემანტიკითაა ნასაზრდოები იმ „28 000“ ფაილის გომორობა. როცა ჩვენი ისტორიული მტრები დარწმუნდნენ, რომ ფიზიკური სადამსჯელო არსენალით ქართული სულის მოდრეკა შეუძლებელია, ყველაზე საშინელი წამოაგორეს ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილივით, თანაც ისე რომ, მოგვისპეს ამ ფაილების განქიქების, განჩხრეკის ყოველგვარი საშუალება. (საბედნიეროდ პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ხმამაღლა აცხადება, რომ სისხლის დანაშაულის შემცველი ყველა მასალა საიმედოდაა შენახულიო) და რადგანაც ერის ჩაუკითხავად ჩვენთვის გაურკვეველი შემადგენლობის კომისიის მიერ განადგურებულად ცხადდებოდა ეს „სამხილი“ მასალა, მთელს კუთხეს, მთლიანად ქვეყანას სიმწრის ოფლის მოსაწურად უნდა გვქონოდა საქმე აწ და მარადის; მაგრამ სისხლის სამართლის შემცველი ფაილები შენახულია თურმე და ახალი კომისიის შექმნას რა წინააღმდეგობა უნდა გვქონდეს ამდენი ოდენობის ხელფას-პრემიით თავგამოჩენილ ქვეყანაში?! ხედავთ, კაცობრიული ფასეულობების, ქრისტეს ფეხის მკვნეტელი „ნაციონალური მოძრაობა“ ფარისევლურ კოჰაბიტაციაში ჰყავთ შეფუთნული ჯერაც სათანადო უწყებებს, სინამდვილეში კი შემწყნარებლობას უცხადებენ მათ დანაშაულებებს.

აი, რატომ ეწვით კუდი და პირი ჩვენს მოშურნეებს. ააი, რატომ იღებენ ჩვენი ხელებით ნაკვერჩხლებს კერიიდან ისინი. აი, რისთვის გლეჯენ ჩვენი ხელებით ნარებს. აი, რის გამო კილავდა ბოლშევიკური დიქტატურა სრულიად უდანაშაულო „ჩხოუშიელებს“ „მეგრელისტანიდან“; აი, რის გამო იგდებდა 28 „მაფალუელ“ „ავტონომისტს“ მათი სისხლიანი კასტა, რათა კუთხის ჩაქოლვით თავად აღზევებულიყვნენ. ააი, რის გამო იტენება პუჭურა ბუნკერში მთელი ქვეყნის ამქოთებელი „28 000“ ფაილის ჯერაც ბოლომდე დაუზუსტებელი ტრაგედია.

**გური ოტობაია**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# დაბრუნება: პუტინმა კვლავ მოიპოვა ავტორიტეტი მსოფლიო პოლიტიკაში

თურქეთის ქალაქ ანტალიაში გამართული დიდი ოცეულის სამიტის შემდეგ ვლადიმირ პუტინი რუსეთში ამაღლებული განწყობილებით დაბრუნდა. რუსეთის პრეზიდენტმა აშკარად მოახდინა დემონსტრირება იმისა, რომ მსოფლიო არენაზე ის სულაც არ არის იზოლირებულ მდგომარეობაში. მისი ურთიერთობა მსოფლიოს წამყვან ლიდერებთან, როგორც სამიტის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში, ისე მრავალრიცხოვანი ორმხრივი შეხვედრების დროს, ადასტურებს შემდეგს — სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში „მოკვეთილი“ პუტინი ელვისებური სისწრაფით გარდაიქმნა „გავლენიან პოლიტიკოსად“ (Guardian).



უკრაინის მიმართ რუსეთის პოლიტიკა დაუფარავად გააკრიტიკა კანადის ახლახან არჩეულმა პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრიუდომ. სხვა დასავლელი ლიდერების განცხადებებით კი, რუსეთის პრეზიდენტთან საუბრისას შეეხნენ უკრაინის კრიზისს... აშკარაა, რომ საუბრების ზოგადი ინტონაცია შეიცვალა: შარშან ყველა ერთსულოვნად გმობდა რუსეთის ქმედებებს, ახლა კი დასავლეთის პოზიცია უკრაინაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოიხატოს ამგვარად: „თანხმობა უთანხმოებებზე“.

ობამასთან პუტინის დაუგეგმავი შეხვედრა, აგრეთვე იმ ფოტოების პუბლიკაცია, რომლებზედაც პრეზიდენტები ადრინდელთან შედარებით ბევრად უფრო მეგობრულ პოზაში არიან, მოწმობს იმას, რომ გარკვეული ცვლილებები აშკარაა.

რასაკვირველია, სირიის კრიზისმა, აგრეთვე ევროპას მომწყდარი მიგრანტებისა და პარიზში მომხდარი ტერაქტების საკითხებმა, უკრაინის პრობლემა უკანა პლანზე გადასწია. ამ საკითხებში პუტინს ამჯერად მეტისმეტად ძლიერი უპირატესობა აქვს.

სირიაში რუსეთმა უკვე მიაღწია თავის პირველ მიზანს. ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მდგომარეობა დასტაბილურდა და განამტკიცა კონტროლი ქვეყნის იმ ნაწილებზე, რომლებიც ჯერჯერობით მის იურისდიქციაშია. რამდენიმე თვის წინ ანალიტიკოსები ასადის რეჟიმის დამხობის აუცილებლობაზე წერდნენ, ახლა კი ამაზე ხმას აღა-



რავინ იღებს. რუსეთის (და ირანის) მხარდაჭერამ ხელი შეუშალა ასადის ჩამოწერას და დაეხმარა მას, შეენარჩუნებინა სირიის მომავლის არჩევის პროცესში მნიშვნელოვანი მოთამაშის სტატუსი. დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს — და სხვა არაბულ ქვეყნებს — მოუწიათ ფეხი აეწყოთ ახალი გარემოებებისთვის. ახლა აქცენტი კეთდება ისეთი პოლიტიკური პროცესის დაწყების აუცილებლობაზე, რომელიც არ გულისხმობს ხელისუფლებიდან ასადის უცილობელ წასვლას, როგორც მშვიდობის დამყარების ერთადერთ პირობას — მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონი, პარიზი და ერ-რიადი დღემდე დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ასადს სირიაში არანაირი პოლიტიკური მომავალი არ გააჩნია.

საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად და მის გასანადგურებლად მასშტაბური კოალიციის შექმნას ითხოვს და თავის თავს წარმოაჩენს იმ გამაერთიანებელი ძალის ლიდერად, რომელსაც შეუძლია შეარიგოს ვაშინგტონი და მოსკოვი. მისი განცხადება მოსკოვში უახლოეს ვიზიტზე შესაძლოა მინიშნებაა, რომ უნდა დასრულდეს რუსეთის იზოლაციის მცდელობა უკრაინის მიმართ ჩადენილი ქმედებების გამო. ოლანდის მომავალმა ვიზიტმა ააფორიაქა არა მარტო კიევი, არამედ ცენტრალური ევროპის სხვა დედაქალაქებიც...

შვიდი წლის წინ საფრანგეთის სხვა პრეზიდენტმა ნიკოლია სარკოზიმ მოძებნა საშუალება, გადაელახა საქართველოში მომხდარი ომის შედეგები და აღედგინა მოსკოვთან ურთიერთობა. აპირებს თუ არა ოლანდი მსგავსი ნაბიჯის გადადგმას? ამის პასუხს ერთ კვირაში შევიტყობთ.

### რეალური პოლიტიკა: ომი მშვიდობისათვის

ბრძოლის ველზე სიტუაცია ყოველდღე იცვლება — ასეთია ძველი ანდაზა, რომელიც ახლა რეალურად მართლდება. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გვეგონა, რომ სირიის ომში რუსეთის აქტიური ჩაბმა კიდევ უფრო გახლეჩდა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ შექმნილ ისედაც დაქსაქსულ კოალიციას. პარიზში მომხდარი ტერაქტების შემდეგ რუსეთი, პირიქით, საკვანძო პარტნიორი ხდება ტერორისტებთან ბრძოლაში. და არა მხოლოდ იმის გამო, რომ სინაისთან ჩამოგდებულ თვითმფრინავზე პასუხისმგებლობა „ისლამურ სახელმწიფოს“ ეკისრება.

როგორც ჩანს, საერთო მტერი ძალებს აერთიანებს არა მარტო შიდასახელმწიფოებრივ, არამედ საერთაშორისო დონეზეც. ეს ერთი შეხედვით კარგი სიახლეა, მაგრამ ყველაფერი არც ასე მარტივადაა: არც რუსეთი, არც საფრანგეთი, და მით უმეტეს არც ამერიკის შეერთებული შტატები უარს ვერ იტყვიან თავიანთ ადრინდელ პოლიტიკურ-სტრატეგიულ ინტერესებზე, და უპირველესად — სირიაში. რუსეთი ასადის მოკავშირეა, დასავლეთი კი — მისი მოწინააღმდეგე. ამის შეცვლა არც ისე იოლია, „ისლამური სახელმწიფოს“ საწინააღმდეგო სამხედრო კამპანიის დროსაც კი. რუსეთი სირიის ახლანდელ მთავრობას მხარს უჭერს არა რწმენის, არამედ სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მიზეზების გამო — ასადი მისთვის დასავლეთზე ზემოქმედების საშუალებაა.

ამგვარად, ადრინდელი „ფასეულობათა ბრძოლა“, რომელიც ყირიმის ანექსიითა და უკრაინაში ომით დაიწყო, გარდაიქმნება რეალური პოლიტიკის ტრადიციულ ბრძოლად. ჩვენ დაგეხმარებით ამაში, ჩვენ კი დაგითმობთ ამას — ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. ომის დამთავრებას ჯერჯერობით პირი არ უჩანს, ამიტომაც არც რუსებს, არც ფრანგებს, არც ამერიკელებს არ სურთ დაიწყონ სახმელეთო ოპერაცია, რომელსაც შეიძლება დიდი მსხვერპლი მოჰყვეს. ასეთი „ერთობლივი ბრძოლა“ შესაძლოა, ხელსაყრელიც იყოს, განსაკუთრებით — რუსეთისთვის. სწორედ სირიაში სურს რუსეთს აინაზღაუროს ეკონომიკური და პოლიტიკური დანაკარგები, რომლებიც უკრაინაში მის მოქმედებებს უკავშირდება. სირიის მოვლენებში მხარდაჭერა ეკონომიკური სანქციების შესასუსტებლად? რატომაც არა!

ერთი შეხედვით, ეს მეტისმეტად მარტივი სქემაა და რუსეთს ამის იმედი იქნებ არც უნდა ჰქონდეს. აშკარაა ერთი რამ — რუსეთის ჩართვა დასავლეთის ოპერაციაში: ამ აუცილებლობას არავინ უარყოფს, მით უმეტეს რუსეთის ავიაციის თვითნებური ჩარევის შემდეგ. ყოველივე ეს ხელს უწყობს რუსეთის სურვილს, აღიარონ საერთაშორისო არენაზე და დაიბრუნოს ზესახელმწიფოს სტატუსი. „ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, ჩაერიოს ჩვენს საქმეებში და თავს მოგვახვიოს სხვისი ნება. ჩვენ ჩვენი ნება გვაქვს“, — განაცხადა ახლანდელმა პრეზიდენტმა პუტინმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს. სამი წელი გავიდა და უნდა ვაღიაროთ, რომ პუტინმა შეძლო დაეცვა თავისი ნება — ისტორიული შემთხვევითობებისა და დასავლეთის იმ პოლიტიკოსების დახმარებით, რომლებმაც კვლავაც არ იციან, როგორ აღიქვან მეტისმეტად ძლიერი „ძლევამოსილების



ნება“, და მით უმეტეს არ იციან, როგორ ითანამშრომლონ ასეთ ქვეყანასთან.

### პუტინი არ შეცვლილა, მაგრამ დასავლეთმა მოულოდნელად შეარბილა თავისი რიტორიკა

სულ რამდენიმე თვის წინ დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერები არგუმენტების მოშველიებით ასაბუთებდნენ, რომ მატყუარა ვლადიმირ პუტინი ყველაზე დიდი საფრთხეა ევროპული უსაფრთხოებისთვის — იგი განზრახ ძირს უთხრის მეზობელი ქვეყნების სწრაფვას დემოკრატიისკენ, ითვისებს მათს ტერიტორიებს, ამბოხებებს აწყობს ანექსირებულ რეგიონებში. ახლა პუტინი გაბოროტებულია ისლამისტებზე, რომლებმაც რუსეთის თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ამის საპირისპიროდ იხსენებენ ველებზე მიმოფანტულ დასახიჩრებულ სხეულებს იმ 293 სრულიად უდანაშაულო მგზავრისა, რომელთა ავიალაინერი მისმა მარიონეტებმა ჩამოაგდეს. ნატო-მ გაამყარა თავისი პოზიციები ფრონტისპირა სახელმწიფოებში, გაჩნდა რუსული ავიაციის გამოჩენის საფრთხე ასეთი რეგიონების საჰაერო სივრცეში, ხოლო მოპარული მილიარდების გამო პუტინის თანამზრახველების წინააღმდეგ სანქციები შემოიღეს.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი არც ისე დიდი ხნის წინ ამბობდა, რომ იმოქმედებს ურყევად და შემტევად მანამდე, ვიდრე პუტინი სხვანაირად არ მოიქცევა. ხუთი თვის წინ ობამამ განაცხადა, რომ პუტინი ასახიჩრებს რუსეთის ეკონომიკას „თავისი ჯიუტი და მცდარი მისწრაფებით, აღადგინოს საბჭოთა იმპერია. ნუთუ არ ესმის მას, რომ რუსეთის დიდება ვერ შეიქმნება სხვა სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და სუვერენიტეტის შებღალვის ხარჯზე?“ ახლა კი ობამა და სხვა ლიდერები მოულოდნელად შეიცვალნენ პუტინის მიმართ და გეგმავენ ახალი მტრის განადგურებას.

ახლა ყველა ალაპარაკდა „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურებაზე, ტელევიზიებით გაისმის შედარებები ფაშიზმთან. ეს გვახსენებს იმ მრისხანე განწყობილებებს, რაც 11 სექტემბრის შემდეგ გამეფდა და საბოლოოდ გადაიზარდა ავღანეთში სისხლიან შეტაკება-შეჯრაში. გათამამებული რუსეთის პრეზიდენტი ალაპარაკდა „ისლამური სახელმწიფოს“ საწინააღმდეგო „დიდ ალიანსზე“, დევიდ კემერონი კი, რომელიც პუტინის წინააღმდეგ სანქციების შემოღების კამპანიას ხელმძღვანელობდა, ახლა მხარს უჭერს სირიაში ინტერვენციას. არადა, ორიოდე წლის წინ მის მთავრობას სურდა დაებომბა ასადის არმია, აცხადებდა — ჩვენს უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნება, თუ ქიმიური იარაღის გამომყენებელი რეჟიმი ხელისუფლებაში დარჩებაო.

შექმნილია ვითარება, როცა ძნელია ზუსტად გარკვევა იმისა, თუ ვის ვისი გამარჯვება სურს სირიაში, ქვეყანაში, რომელსაც სამოქალაქო ომი ანადგურებს. არადა, ავიადარტყმებს ხომ თან ახლავს „თანამდევი მსხვერპლი“, ანუ ხალხის დახოცვა,

ომისკენ მოწოდებები კი გაისმის, მაგრამ არ არსებობს პრობლემის მოგვარების გრძელვადიანი გეგმები, ბოლო 12 წლის დასავლური ინტერვენციების ისტორია კი მართლაც კატასტროფულია. რატომ არის, რომ დასავლეთის საგარეო პოლიტიკა ასე უთავბოლო და აბურდულია? „ისლამური სახელმწიფო“ იმსახურებს, რომ აღიგავოს პირისაგან მიწისა, მაგრამ მისი განადგურებით არ მოგვარდება ის პრობლემა.

# „ქინძისო“




„მე ვიყო ქინძი“, - დაუბარა სააკაშვილმა სანაცეთს და მხნელის მაძიებელი გაფარჩაკებული „მთავარი ოპოზიციური ძალა“ გზად ელისო კილაძეს გადაეყარა...

წარსულ ცხოვრებაში „ნუკრიდ“ წოდებული ელისო, მყისვე გარდაიქმნა „ქინძისოდ“, თუმცა ესეც ფაქტია: თუ ელისოს სულში არ ჰყვაოდა ქინძი, ჯერ „ნუკრი“ ვერ გახდებოდა და შემდეგ ვერ გახდებოდა „ქინძისო“...

„მძიმეა მონომახის ქუდი“ — ის დაბადებიდან იყო ქინძი! უბრალოდ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა პატრონი, „ქინძისოს“ „თესლს“ სხვადასხვა ორღობის პირას მიაყრიდა და „ნუკრისაც“, როგორც შეეძლო, ისე ჰყვაოდა...

თუ პოპულარობა და ვარსკვლავობა პირდაპირ უკავშირდება დედის გინებას, ხოლო კაი ქალობა ამ გინების შერგებაა, მაშინ ელისო, იგივე ნუკრი კილაძეს თავისუფლად შეუძლია დაიკვეხნოს - ის ნამდვილად პოპულარული ქალია!

პირველად საქართველოში, არც ერთ კაცს და ქალს, მით უმეტეს, მშობელი დედის (ცნობისთვის, გამზრდელი დედის სტატუსიც არსებობს) გინება ისე ლამაზად არ შეურჩენია დედის რძესავით, როგორც ეს ელისო კილაძემ მოახერხა. ჰოდა, ასეთ ქალზე ხელის გასვრა არც ღირს, რომ არა ერთი „უმნიშვნელო დეტალი“ - ესაა მაკიაჟწაცხებული კილაძომანიის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრების აშკარა მცდელობა, რაც ოდესღაც უნდა დასრულდეს და დასრულდება კიდეც.

გინება იქით იყოს და ამ წერილის, რომელსაც ახლა კითხულობთ, გამოქვეყნება განაპირობა ელისო კილაძის მორიგმა „შედევრმა“, რაც მან გამოაქვეყნა თავისი გაზეთის „ქრონიკა+“-ის ბოლო ნომერში, სათაურით: „მეზღაპრე მწერალი, აგენტი ქეთინო და ოცნების „გმირი“ ლადო“. ორგვერდიან „სტატიას“ თან ერთვის ოთხი ფოტო - თამაზ თამაზაშვილის, ვახტანგ ხარჩილავასი, ლადო ბედუკაძის და ჩემი, ქეთევან ზარნაძის. „სტატიას“ მინუს ოთხი სურათი უდრის გაზეთის ერთგვერდიან ტექსტს. თავად ტექსტი რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნებული მსგავსი „სტატიის“ გადამღერებაა, რაზეც თავის დროზე ამომწურავი პასუხი გავეცი და თან არა კილაძესავით ზედაპირულად (უფრო სწორად, მეზღაპრესავით), ამიტომ, ამჯერად, დეტალურად აღარ გავიმეორებ უკვე ნათქვამს და არ შევეხები „სტატიის“ „სიბრძნის სიმფონიას“. მე ვიტყვი იმას, რაც ყველამ იცის და არავინ ამბობს:

დავიწყებ „სტატიაზე“ თანდართული ჩემი ფოტოთი. საქმე ის გახლავთ, რომ კილაძემ, როგორც მისი ბელადი მიშა იტყოდა, ამ „მაღალხარისხიანმა“ ჟურნალისტკამ გამოიჩინა ჟურნალისტური სიბეცე და გამოაქვეყნა ფოტო, რომელიც ჩემს მეგობრებთან ერთად მაქვს გადაღებული. ეს არის ჟურნალისტური ეთიკის დარღვევა და ახლა ჩემმა მეგობრებმა კილაძეს რომ უჩივლონ, ეს „მუდმივად გამარჯვებული“ ქალი „იდაყვზე იკბენს“ და თან ისე, რომ „გარე განათების ბოძის“ ისტორიას სამუდამოდ დაავიწყებს. შემდეგი და მე ვიტყოდი, უკვე დანაშაული, კილაძე „სტატიას“ ასე ამთავრებს: „წამლის ბარიგა და „კუდის“ ყოფილი აგენტი, ქეთევან ზარნაძე, ოჯახის წევრებთან ერთად ნარკოლოგიურში მიბარებს. რატომ მიწა არ გამისკდება ფეხქვეშ?! ჯერ ერთი, ჩემი ოჯახის ყველა წევრს ნარკოლოგიური შემოწმება უკვე გავლილი აქვს და ამ ინფორმაციის მოპოვება უმარტივესია; მეორეც, ქალბატონ ბარიგას ვთხოვ, ჩააზუსტოს, თავად რომელი ოჯახის წევრთან ერთად მელოდება ნარკოლოგიურში - ბავშვების ძიძად რომ ყავს სახლში ე.წ. ქმარი, ციხის ყოფილი უფროსი, იმასთან ერთად? ბოლოს, ერთი უფასო რჩევა - ისევ ჯადოების კეთებას მიაწექი ქეთევან, წერა აშკარად არ გამოგდის“.




მე, ქეთევან ზარნაძეს, მყავს სრულწლოვანი შვილები - ქალ-ვაჟი. ძალიან მაინტერესებს, ვინ იქნება პასუხისმგებელი ჩემი შვილების მოსალოდნელ რეაქციაზე, როცა წაიკითხავენ კილაძის „სტატიას“? ასევე ძალიან საინტერესოა, ვინ იქნება პასუხისმგებელი ჩემი შვილების ვითომდა „ძიძის“ ოჯახის წევრების რეაქციაზე? კიდევ უფრო მეტად მაინტერესებს შესაბამისი სამსახურები „სტატიის“ ამ ნაწილს აღიქვამენ თუ არა კანონის დარღვევად და საკმარისი იქნება თუ არა მათთვის, კანონის დარღვევისათვის პასუხი მოსთხოვონ „სტატიის“ ავტორს? არა უშავს, ჯერ დაველოდები, რას მოიმოქმედებენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ და შემდეგ, მე თავად მივმართავ მათ, ვინც წესით უნდა იცავდნენ ყველა ადამიანის უფლებებს!

არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ყველაფრისმცოდნე „ჩიტი-ქინძისოს“ წარმოსახვაში ყოფილი პროკურორი ვარ, არადა ერთი დღე არ მიმუშავია პროკურატურაში. არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ მე ვარ „ბარიგა“, რომ თურმე ჩემი კორპუსის სადარბაზოში, ლიფტთან დამონტაჟებული ვიდეოთვალის ჩანაწერი არის უტყუარი მტკიცებულება, არადა, ვიდეოთვალი ვერანაირად ვერ დააფიქსირებდა რას ვაკეთებდი მე სახლის კართან, ერთი მარტივი მიზეზით - ლიფტი ჩემს სართულზე არ ამოდის არც ახლა და არც არასდროს. შესაბამისად, არც ჩანაწერი არ არსებობს. არაფერს ვიტყვი იმაზეც, რომ 12 წელი კი არა 15 წელი მქონდა მისჯილი და ბრალი არასდროს არ მიღიარებია, საქმეში არ იყო არც ერთი მტკიცებულება და დაკავების დღიდან ხმამაღლა ვამბობდი ირაკლი კოდუას პირადი პატიმარი რომ ვიყავი. არაფერს ვიტყვი არც იმაზე, რომ პატიმარი თუ ბრალს არ აღიარებს, ის ვერასდროს მოითხოვს სასჯელის შემსუბუქებას. არც იმაზე ვილაპარაკებ ვრცლად, რომ, თურმე, პრივილიგირებული ვიყავი და ამიტომ სასჯელი „მალალეტკებში“ მოვიხადე, მაგრამ რაღაცნაირად მოხდა ისე, რომ ე.წ. ქალთა ციხის ბუნტის დროს „მალალეტკებიდან“ მოვახერხე დამენახა, რა ხდებოდა ქალთა ზონაზე და ა.შ. და ა.შ. შემდეგ. ამასთანავე, თურმე, ჩემი კლასელის, სოსო თოფურიძის, აგენტი ვიყავი, ეს იმ დროს, როცა მე 17 წლიდან ვმუშაობდი შს სისტემაში, ხოლო თოფურიძე ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გახდა „ცნობადი სახე“ ამ სფეროში. „ქინძისოს“ „ლოგიკით“, არ ვიცი, როგორაა, მაგრამ, კოდუა და კოდუასნაირები რომ არ ყოფილიყვნენ, თოფურიძე, ისე როგორც კილაძის ქმარი, ჩემი აგენტები იქნებოდნენ, თუ ამის სურვილი და საჭიროება მექნებოდა. ვინ იცის, კილაძის ქმარს გრიგოლ (გია) ხარშილაძეს, როგორ გაუმართლებდა ჩემს აგენტურულ ქსელში რომ მოხვედრილიყო, ბოლო–ბოლო სხვა რომ არაფერი, უფროსობასთან არ მოუწევდა ცოლის ფოტოებით სირბილი...

„ქინძისო“ თუ „ვერ მიხვდება“ რას ვგულისხმობ, დავუკონკრეტებ და მერე აშკარად დაეკარგებოდა სურვილი ეთქვა: ჩემზე კომპრომატი არ არსებობსო.

არასდროს ვიყავი ედპ-ს წევრიო, - წერს „ქინძისო“.

„პარდონ“, „ზვიოზდოჩკა“, პარტიული არ ყოფილხარ და შეგვეშალა. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცით, გია ჭანტურიამ ნამდვილად გამოაგზავნა ქუთაისში ერთი პარტმუშაკი დავალებით: მოაშორეთ ეს ქალი ედპ-სო. ახლა თუ ძალიან გაინტერესებს ეს პარტიული ვინ იყო, დაიძაბე, გაიჭინთე და გაიხსენე, შემთხვევით იმ გამოგზავნილთან, სხვა დროს, სხვა ვითარებაში, რაიმე უხერხული სახის შემხებლობა ხომ არ გქონია?

„ქინძისო“ ახლა წერს, რომ, თურმე, ყოფილი ნარკომანი ვარ, ადრე წერდა ნარკომანიაო. ჰოდა, ახლა კარგად მისმინე საქინძეთის თვალის ჩინო — ან ქურდულს მიაწექი, ან ბოზურს, ჩამოყალიბდი და მერე აიქაფე ეგ შენი „ბიოტუალეტი“ და თან გაიხსენე, პირველი: ახლადჩამოყალიბებული მაგ პროვოკატორული გაზეთიდან ერთი ქუთაისელი რატომ გააგდე? მეორე, შემთხვევით რომელიმე შენს ყოფილ თანამშრომელს, რედაქციის ოფისის ტუალეტში „ბაიანები“ ხომ არ უპოვია? ასევე შემთხვევით, შენს ერთ ყოფილ თანამშრომელს ფარულად ხომ არ ჩაუწერია „გარე განათების ბოძს“ გადარჩენილი ერთი ვირთხა, რომელიც ჰყვება, როგორ და ვის შემოაქვს მისთვის უკრაინიდან „წამალი“? ნუ, ახლა, არ ღირს იმის თქმა, რედაქციაში ბიჭებს ბოზები რომ მოჰყავთ და ამის გამო მეზობლები არიან მანდ შეწუხებულნი. ბიჭები არიან, ქალებში უნდა იარონ, აბა, რაა და თან რედაქციაში უნდა „აყარონ“, „ქინძისოს“ რედაქციაზე უკეთეს შენიღბულ ბორდელს და „სახარშავს“ სხვაგან სად იპოვიან?“

ჰო, კარგი, მე, ვიცე-პოლკოვნიკი ზარნაძე, „ნუკრის“ მრუდე წარმოსახვით, აგენტი ვიყავი და ყველგან „წითელ ხალიჩებს“ მიფენდნენ, აი, „ქინძისოს“ ქმარი, გრიგოლ ხარშილაძე, მხოლოდ „გარე განათების ბოძის“ უშედეგო ვარდნის გამო დანიშნეს უკონკურსოდ უფროს ინსპექტორად მომსახურების სააგენტოს ქუთაისის განყოფილებაში? ვერა და ვერ ამოვხსენი ეს ერთუცნობიანი ქინძ-განტოლება: კაცი, თადარიგის ოფიცერი, უკონკურსოდ როგორ მიიღეს სამსახურში, იმ დროს, როცა შს მინისტრის მოადგილის დავით ხუციშვილის ვიზირების გარეშე სააგენტოში ჭიანჭველაც ვერ გაივლის? დავიჯერო, „ქინძისოს“ კომპრომატები აქვს ხუციშვილზე, ან იმ კაცზე (თუ ქალზე), ვინც ხუციშვილს თვალები დაუხუჭა? სხვათა შორის, ეს საკითხი უკვე ორჯერ გამოვიტანე საჯაროდ და ვერა და ვერ მივიქციე გენერალური ინსპექციის ყურადღება. ხედავთ, „ქინძისო“ როგორი „დაკრიშულია“? ჰოდა, ახლა, პირადად, ოფიციალურად შევიტან საჩივარს „სადაც ჯერ არს“ და მერე „ნუკრი“ უნდა გარე განათების ბოძს შემოეხვიოს, უნდა „პირიმზეში“ „დაიბარცხნოს“... ისიც საინტერესოა, ხარშილაძე რომ მიიღეს სამსახურში და კონკურსი ამის შემდეგ გამოაცხადეს ვაკანსიაზე, რა შედეგით დასრულდა ის კონკურსი? ისე, ბოროტი ენები ამბობენ, ყველაფერი ეს ზედელაშვილმა „გააიმასქნაო“, ხუციშვილი ამ საქმეში პაიკია თუ მხედარი, სხვამ არკვიოს, მაგრამ ფაქტი სახეზეა - ხარშილაძე უკონკურსოდ დანიშნეს. „ქინძისო“ კი ამბობს: იმდენი ვიომეთ ქვეყნის საკეთილდღეოდ, ამაზე მეტი გვეკუთვნოდაო.

რაც შეეხება „საერთო გაზეთის“ მთავარ რედაქტორს ბატონ ვახტანგ ხარჩილავას, ზის და იცინის „ქინძისოს“ ნაღრძობი ტვინის ფანტაზიებზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მალე ელისოს სატირლად გაუხდეს საქმე...

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ქართველი მიქელანჯელოს სევდიანი ზამთრისპირი...

## ანუ რატომ ისმის მერიასა შინა საქართველოს პრემიერის ნათქვამი — ხმად მღაღადებლისა?!



ვერ არის კარგად მერაბ ბერძენიშვილი... რვა ათეულ წელს გადაცილებული დიდი ქართველი მოქანდაკე... აბა, ექიმები... აბა, წამლები... თავს დასტრიალებს უკეთილშობილესი და უძვირფასესი თანამეცხედრე, ქალბატონი კირა — მიქელაძის ქალი... ყურადღებას ვინ მოაკლებს... იგი მაინც თავისთვისაა, თავის სევდანარევ ფიქრებთან... მოგონებებთან... მაშ... გაფრენილა დრო... ბევრი ძვირფასი ადამიანი გააცილა ამ ქვეყნიდან... თითქმის აღარავინ დარჩა... შორიდან ჩანს ბირჟა ვერაზე, ვარდისუბნის ქუჩის ასახვევთან, უკეთილშობილესი კაცის დათიკო ქემერტელიძის აფთიაქის წინ... აი, დათო ციცი შვილი, აი, ნოდარ დუმბაძე, აი, დოდო აბაშიძე (დიდი ხნის შემდეგ იქვე ძეგლი რომ დაუდგა), თენგიზ კეკელიძე... მორჩა მკერდგაღეღილი, ლაღი სიარული რუსთაველზე... 35-ე საფეხბურთო სკოლაში სწავლობდა, დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ემზადებოდა. ტრავმის გამო ყველაფერი მხატვრობით შეიცვალა, თუმცა ქართველ ხალხს, ჩვენს სახვით ხელოვნებას ამით არაფერი წაუგია, პირიქით, უკიდეგანოდ გაბრწყინდა მერაბ ბერძენიშვილის ნიჭიერება.

კარგა ხნის წინათ, ვაკის ბოლოში, კუს ტბის ასახვევში, მწვანეში ჩაფლულ სამფლობელოში, თავისი თაობის შესახებ რომ მესაუბრებოდა, ასეთი რამ მითხრა:

— ამ თაობამ ბევრ ჭირს გაუძლო — საბჭოთა პერიოდში ეროვნული ხელოვნება, ქართული კინოს, თეატრის ფენომენი შექმნა... ახლა ლიტერატურას არ იკითხავთ? ვაი, ჩვენი ბრალი, ზოგ-ზოგი ჩიტირეკია ირონიით საბჭოთა პერიოდში დაბადებულებს გვეძახის, არადა, ავიწყდება ის საბჭოთა პერიოდის ახალგაზრდები, უდიდესომგამოვლილი, ნახევრად მშიერი ქალ-ვაჟები, გასული საუკუნის 70-იანი წლების — ჭეშმარიტად ქართული კულტურის რენესანსის ავტორები არიან! ერს, რომელსაც ჟამთა სიავის გამო არ შემორჩა მონუმენტური ხელოვნების ნამუშევრები, ვაკუუმი ჩემმა თაობამ შეუვსო. მონუმენტური ხელოვნება კი ერის სულიერების, წარსულის, აწმყოს, მომავლის ფერშეუცვლელი მემატიანეა... პირველი ასეთი ნაწარმოენი ჩვენს დროში ელგუჯა ამაშუკელმა შექმნა — დიდმა ხელოვანმა...

...საერთოდ, საკუთარ თავზე ძალიან ცოტას საუბრობდა, სამაგიეროდ, მის ხელოვნებას, დიდკაცობას ხოტბას ასხამენ მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატები, მარტო შოთა ნიშნიანიძის დასახელ;ება რად ღირს, რომელიც გენიალურ ქმნილებას — „კიდევაც დაიზრდებიან" — ერთიანად შეუძრავს:

„ჰოი, ოსტატო, რა გვიანბანე,
რად ჩაგვაფიქრე, მტერიც, მოყვარეც,
ცოცხლებს რა უშავთ — მამა-პაპანი
საფლავებიდან რად წამოყარე!
გვიყივის შენი სული ძლიერი,
ჯიშის, მძლეობის ვზღებით მორწმუნე:
ეს რა გვიყავი, შე ღვთისნიერო,
რა სიამაყის ცრემლი მოგვწურე!"

მის შემოქმედებას განიხილავენ მსოფლიოში ცნობილი ხელოვნებათმცოდნენი. აი, მაგალითად, რას ამბობს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი მოისეი კოგანი:

„ქართველი კაცი მერაბ ბერძენიშვილის ქმნილებებში მომატებული სიმძლავრით გრძნობს რაღაც თავისას, თანხმიერს, მშობლიურს, თუმცა საქართველოში ჩამოსული უცხოელიც აღიქვამს და იგებს ამ ქმნილებებს არა როგორც ეგზოტიკურ-ეთნოგრაფიულ პერსონაჟებსა და მოვლენებს, არამედ როგორც მისდამი მიმართვას, მასთან გამართულ დიალოგს, როგორც მისი სულის ამამაღლებელ ძალას, რომელ ერსაც არ უნდა ეკუთვნოდეს თვითონ... ჩემი აზრით, ეს ყოველივე იმიტომ ხდება, რომ მერაბ ბერძენიშვილი არა მხოლოდ ნიკოლოზ კანდელაკის მოწაფეა, არამედ მიქელანჯელოს მოწაფეც არის. ჰოდა, მზად ვარ, მერაბ ბერძენიშვილს ვუწოდო „ქართველი მიქელანჯელო". და მე ამ დასკვნას მკარნახობს მონუმენტური ქანდაკების ბუნების წვდომა და ის როლი, რომელიც ბერძენიშვილის შემოქმედება ხელოვნების ამ დარგის იატორიაში თამაშობს ეროვნული და, იმავდროულად, ზოგადსაკაცობრიო ისტორიაში".





...წამოიწია საწოლიდან, უკეთესად მოეწყო... რაღაცის თქმას აპირებს... დავასწარი:

— ბატონო მერაბ, მერიიდან ხომ არავინ შეგეხმიანათ?.. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი რომ მთავრობის სხდომაზე განაცხადებს, მერაბ ბერძენიშვილის „დავით აღმაშენებელი" დიღმის ველიდან გადმოვიტანოთ უკან, იქ, სადაც იდგაო, ეს თბილისის მერიისთვის არაფერს ნიშნავს?! რამდენიმე თვის წინათ თქვა ეს ირაკლი ღარიბაშვილმა... გასაკვირია ნარმანიას საქმე!..

— აბა, რა გითხრა, საქართველოს დღევანდელ ბედუკუღმართობაზე ფიქრს და სევდას, ჭკუასუსტი სააკაშვილის ქუთაისში ჩემი კომპლექსის მიმართ ნამოქმედარს, ახლა ესეც დაემატა!.. ნეტა, სულ არ ეთქვა ეს ფრაზა პრემიერს!.. შეგუებული ვიყავი უკვე!.. ჰოდა, რაკი ითქვა, ნუღა გადადებენ ცხრა მთას იქით!.. იქნებ მოვესწრო!..

...ჩვენ სიახლოვეს „თავშესაქცევ" მაგიდას აწყობს ქალბატონი კირა...

— სანთლის არაყი არ დაგავიწყდეს, მე არ მესმება, მაგრამ, თუ არ გამამხელ ექიმებთან, ერთს გადავკრავ ვილენთან!.. — და განაგრძობს: — დღეს ხელოვანი ჰგავს ადიდებული მდინარის გაღმა ნაპირზე დარჩენილ კაცს, რომელიც კივის, ყიჟინებს, მაგრამ სოფელს მისი ხმა არ ესმის... წუწუნი არ მჩვევია და არც ახლა ვწუწუნებ, ცხოვრების გრძელ გზაზე უამრავი ტკივილი მახსოვს... მაგრამ იყო ნათელი წერტილებიც, რასაც უდიდესი სიხარული მოუტანია. ეს არის მშობელი ხალხის სიყვარული, რომელსაც ყოველ წუთში ვგრძნობ. არ დამკლებია ოფიციალური და არაოფიციალური დაფასება, თუმცა, ხალხის სიყვარულს ყველაზე დიდ ჯილდოდ მივიჩნევ, რაც ხანდაზმულობის ჟამსაც კი ძალას მმატებს!.. აბა, დაასხი, მოგეწონება, ისეთია!

არყიან ჭიქას სწევს და მიჭახუნებს, წამით სახე უნათდება: — როგორც გურულები იტყვიან, აწი რომ კარგად ვიქნებით, იმას გაუმარჯოს!

— იცოცხლეთ, ბატონო მერაბ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**მინაწერი:** ამასობაში თბილისის მოსახლეობამ, საერთოდ, ბევრმა თბილისელმა, მასმედიამ... ფართო ფრონტით შეუტია დავით ნარმანიას... ამ დღეში კი, სწორედაც რომ თავისმა დაუმთავრებელმა და უშნოდ გადადებულმა საქმეებმა ჩააგდეს იგი. დავით აღმაშენებლის ძეგლის თავის ადგილზე დაბრუნების საკითხიც ხომ გადადებულ-მიყურისძირებულ საქმედ ითვლება... ამ საქმეს ეშველება, სხვა მიხედავს, მაგრამ ნარმანიას რა ეშველება, ნარმანიას!..

**ვ.მ.**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — მთლიანობაში ეს პერიოდი თქვენთვის წარმატებული იქნება, თუმცა შესაძლოა, მოგიწიოთ გარკვეული დაძაბული საუბრები. თუ დასასვენებლად გამგზავრებას ვერ ახერხებთ, მაშინ მცირე ხნით განმარტოვდით.

**კურო** — თუ თქვენ ხელოვნებას რაიმე კუთხით ემსახურებით, მაშინ, შეეცადეთ, დასვენებაცოტა ხნით გადადოთ და ეს დრო გამოიყენოთ.

**ტყუპები** — მეტ-ნაკლებად წარმატებული კვირა გელით, მოსალოდნელია პერსპექტიული წინადადებების მიღება, ამიტომ ყველა საკითხი სერიოზულად უნდა გაანალიზდეს.

**კირჩხიბი** — შეეცადეთ ახალი არაფერი წამოიწყოთ და ცოტა ხნით ყოველდღიური საქმით შემოიფარგლოთ ან ჩაერთოდ დაისვენოთ.

**ლომი** — დაასტაბილურეთ ურთიერთობები გარშემომყოფებთან და პარტნიორებთან, ნუ იქნებით კონფლიქტური და ნუ შეეცდებით საკუთარი პირობების ხაზგასმას.

**ქალწული** — გააქტიურდება თქვენი საქმიანი ურთიერთობები, შეეცადეთ, არ იყოთ კრიტიკული და ზედმეტი ანალიზითა და აუდიტით მომავალი პარტნიორები არ დააფრთხოთ.

**სასწორი** — იყავით მშვიდი და დიპლომატიური, ამავე დროს შეეცადეთ, ამ პერიოდში ყველა პერსპექტივა თუ შანსი გამოიყენოთ.

**მორიელი** — კვირის დასაწყისი და კვირის ბოლო წარმატებული იქნება, ამ დღეებში მოსალოდნელია სასარგებლო შეხვედრები და მოლაპარაკებები.

**მშვილდოსანი** — მკვეთრად გაუმჯობესდება თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება.

**თხის რქა** — მოგიწევთ საკმაოდ ბევრი ინფორმაციის მიღება-გადამუშავება, თუმცა, მოსალოდნელია აქ ცრუ და ფსევდო-ინფორმაციებიც იყოს.

**მერწყული** — ამ კვირაში გარკვეული გამართლების ალბათობაც გექნებათ, მოსალოდნელია სასიამოვნო ინფორმაცია მიიღოთ უცხოეთიდან.

**თევზები** — ეს კვირა საკმაოდ მშვიდ ტემპში ჩაივლის და რაიმე გართულებას ადგილი არ ექნება. მოგიწევთ საოჯახო პრობლემების გადაწყვეტა. შესაძლოა საჩუქრებით მიიღოთ.

ISSN 2233-3983
9 772233 398001